ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის,
აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის, ხსოვნას

ვალერი ვაშაკიძე

საისტორიო - წყაროთმცოდნეობითი ძიებანი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

უაკ (UDC) 94(093)
ვ-251

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების ნაწილი. მათში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ანტიკური ხანის სოციალურ - პოლიტიკური ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, საისტორიო გეოგრაფიის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, ვფიქრობთ, თავისი ფასი დღესაც არ დაუკარგავს.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. არახამია

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ალ. დაუშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლ. შენგელია

კრებულის გამოსაცემად მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვწირავთ პროფ. ი. დიაკონიძეს და პროფ. თ. ფანცულაიას.

© ვ. ვაშაკიძე, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-350-1

შინაარსი

თინათინ ყაუხჩიშვილი 5

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტის ერთი ადგილის გაგებისათვის.....9

სტრაბონის „გეოგრაფიის “ XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის.....18

შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე.....38

„ქართლის ცხოვრების“ სიმფონია - ლექსიკონი, I; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა; არჩილის წამება, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1986წ. რეცენზია 49

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის.....58

ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის 69

მემნონის ერთი ცნობა და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი 81

სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში დაცული ცნობის დათარიღებისათვის 91

Терминологические разыскания и вопросы социальной структуры древней Картли 102

„მეფეთა ცხოვრება“ და ბერძნული „ალექსანდრიანი“ 112

ტერმინი „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში 127

აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ 152

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და ელინისტური ხანის ქართლის სოციალური სტრუქტურის საკითხები 162

ძველი ქართული წარმართული ღვთაებები და სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა ერთიანი ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე 173

ფლეგონის ცნობა ქართლის (იბერიის) სამეფოს შესახებ .. 187

თინათინ ყაუხჩიშვილი

თინათინ ყაუხჩიშვილი გამორჩეული პიროვნება, ნაღდი მეცნიერი და სამაგალითო აღმზრდელია. ათეული წელია, რაც იგი რუდუნებით ემსახურება ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას და სპეციალისტთა არაერთი თაობის აღზრდას.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ქართველ მკვლევართათვის ბერძნულ-რომაული წყაროების მხოლოდ უცხოენოვანი თარგმანი იყო ხელმისაწვდომი. ყაუხჩიშვილების გვარის უდავოდ დიდი დამსახურებაა, რომ საქართველოს შესახებ ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში დაცული ცნობების გამოყენება, კარგახანია, არაჩვეულებრივად ზუსტი ქართული თარგმანების მეშვეობით ხდება. თ. ყაუხჩიშვილი თავისი სახელოვანი მამის - სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის მართლაცდა ღირსეული წარმომადგენელია.

თ. ყაუხჩიშვილის მეცნიერული კვლევის სფერო მრავლისმომცველია. იგი იკვლევს ქართული კულტურის, ენის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის საკითხებს. არჩეული საქმისადმი საოცარი ერთგულება, საკუთარი თავისადმი არაჩვეულებრივი მომთხოვნელობა, დიდი პროფესიონალიზმი, გამორჩეული პიროვნული ღირსებები, ოსტატ-შეგირდობის ინსტიტუტისადმი ქართული დიდაქტიკური სკოლისათვის დამახასიათებელი მიდგომა - აი ის თვისებები, რომლებიც ქმნიან თ. ყაუხჩიშვილის პორტრეტს.

თ. ყაუხჩიშვილის მრავალრიცხოვანი და თემატურად მრავალფეროვანი ნაშრომებიდან უცილობლად აღნიშვნის ღირსია ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების თარგმნა და მეცნიერული შესწავლა. ჰეროდოტეს „ისტორია“ (2 ტომად), აპიანეს

„მითრიდატეს ომების ისტორია“, სტრაბონის „გეოგრაფია“, 6 ტომად გამოცემული „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ სანიმუშოა როგორც ტექსტის გადმოცემის, ასევე კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. სამაგალითოდ ძველი ბერძენი გეოგრაფოსის - სტრაბონის „გეოგრაფიაც“ კმარა. თ. ყაუხჩიშვილი გამოწვლილვით სწავლობს ავტორის ენას, ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს, ტოპონიმებს, ეთნონიმებს და მხოლოდ ამის შემდეგ მსჯელობს „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობების სანდოობის შესახებ. როცა თ. ყაუხჩიშვილის აღნიშნულ ნაშრომს ეცნობი, სერიოზული კვლევისათვის თითქმის აღარაფერი გრჩება. მეცნიერის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული თითოეული მოსაზრება ცალკე დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს. იძულებული ხდები, დაეთანხმო თ. ყაუხჩიშვილის დასკვნებს.

თ. ყაუხჩიშვილმა უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოში შემორჩენილი ბერძნული წარწერების სრულად შესწავლისა და გამოცემის საქმეს. იგია ფუძემდებელი ჩვენში ბერძნული ეპიგრაფიკის დარგის განვითარებისა. საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ბერძნული წარწერები ქრონოლოგიურად მოიცავს ძვ. წ. ა. V - ახ. წ. ა. XIX სს. ამ წარწერების მოძიების, შესწავლის და სათანადო მეცნიერული აპარატით გამოცემის პირველი ცდა იყო 1951 წელს. ეს იყო ენით აუწერელი ხანგრძლივი და მძიმე შრომის შედეგი. თ. ყაუხჩიშვილისათვის დამახასიათებელმა თვისებამ, რომ ყოველი გამოკვლევა დაგროვილი ცოდნის მხოლოდ გარკვეული ეტაპის ასახვაა და მას მუდმივად სრულყოფა სჭირდება, მეცნიერი აიძულა 1980-89 წლებში განმეორებით მიბრუნებოდა ბერძნული ეპიგრაფიკის კვლევის საკითხებს. საქართველოს ყველა მხარეში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად, 1999 წელს „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის“ პირველი ტომი გამოიცა. 2000 წ.- მეორე ტომიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სრულიად

ახალი გამოკვლევა, რომელმიც კონკრეტული პრობლემატიკის გვერდით, დიდი ადგილი ეთმობა ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს. აღნიშნული გამოცემა დღევანდელობის ყველაზე უმკაცრეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბერძნული პალეოგრაფიის და სხვა არაერთი საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის უთუოდ სამაგიდო წიგნია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თ. ყაუხჩიშვილი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, დიდი რუდუნებით იკვლევს ყველა პრობლემას, ხოლო მეცნიერული დასკვნების გაკეთებისას დიდი სიფრთხილესა და მოკრძალებას იჩენს. ამიტომაც ძნელია ძირითადად არ გაიზიაროთ თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოთქმული მეცნიერული შეხედულებები.

განსაკუთრებული თემაა თ. ყაუხჩიშვილი, როგორც პედაგოგი და აღმზრდელი. უპირველეს ყოვლისა, იგი შეგირდისგან მოითხოვს არჩეული სპეციალობისადმი უანგარო სიყვარულს, საქმისადმი თავგანწირვას, სათანადო ცოდნასა და განათლებას, ხოლო მოსაზრებების გამოთქმისას - ზომიერებას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თ. ყაუხჩიშვილთან მუშაობისას და ურთიერთობებისას, სპეციალობასთან ერთად, სწავლობ პუნქტუალობას, ნაღდი მეცნიერისათვის დამახასიათებელ კეთილსინდისიერებას, ეჩვევი კამათის კულტურას, მოკლედ, იღებ იმ ყველა საუკეთესო თვისებას, რომლებიც ასე ჭარბად აქვს თ. ყაუხჩიშვილს. ის არ ზღუდავს ახალგაზრდა მკვლევარს გამოთქვას მისგან განსხვავებული მოსაზრება, თუნდაც არ იზიარებდეს მას, მაგრამ მოთხოვნა არის უმკაცრესი: მეცნიერული დასკვნა უნდა ემყარებოდეს არგუმენტებს და უნდა შეჩერდეს იქ, სადაც წყარო არ იძლევა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას. საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ თ. ყაუხჩიშვილთან ურთიერთობის პირველ ეტაპზე შეგირდისათვის წაყენებული ყველა ეს მოთხოვნა გარკვეულ გაღიზიანებასაც კი იწვევს, მაგრამ

უგუნური უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე - ყველაფერი კეთდება შენს სასიკეთოდ.

არაერთხელ მითქვამს, რომ თ. ყაუხჩიშვილის, როგორც გამორჩეული პიროვნების, ნაღდი მეცნიერისა და სამაგალითო აღმზრდელის შესახებ წერა იოლიცაა და ძნელიც. იოლია თითქოს იმიტომ, რომ თ. ყაუხჩიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა შეფასებებისათვის აუარებელ მასალას იძლევა, ხოლო ძნელია იმიტომ, რომ, ადვილი შესაძლებელია, ღირსეულ შემფასებლად ვერ გამოდგე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავის თხზულებაში ათქმევინებს ალექსანდრე დიდს (ალექსანდრე მაკედონელს): „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს". ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად პირიქითაა. მე, როგორც თ. ყაუხჩიშვილის ერთ-ერთმა მოწაფემ, თავს უფლება მივეცი, ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემი უსაყვარლესი მასწავლებლის შესახებ. ვთვლი, რომ თ. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდება. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა.

კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა,
IX, თბ., 2000

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტის ერთი ადგილის გაგებისათვის

ძველი ბერძენი ავტორის, სტრაბონის, თხზულებაში - „გეოგრაფია“ (XI, 3, 1-6) - დაცულ ცნობაზე, რომელიც იბერიის (ქართლის) საზოგადოების სოციალური ვითარების აღწერას შეიცავს, საქართველოს ისტორიის მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი. პირველად ეს წყარო მ. ბროსემ გამოიყენა, მაგრამ არ უცდია მისი ახსნა (Brosset). შემდეგში ამ ცნობას ბევრი მეცნიერი შეეხო: დ. ბაქრაძე, ალ. ჭყონია, ს. გორგაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიშჩენკო, ვ. ლატიშევი, ი. მანანდიანი, ა. ბოლტუნოვა და სხვა (დაწვრილებით იხ. ყაუხჩიშვილი, 1976, 135-158).

ზემოჩამოთვლილი მეცნიერები „გეოგრაფიის“ ტექსტს იცნობდნენ საყოველთაოდ აღიარებული გ. კრამერის, კ. მიულერ-ფ. დიუბნერის, ა. მაინეკეს და ჰ. ჯონზის სტრაბონის „გეოგრაფიის“ გამოცემებით, ან მათზე დაფუძნებული თარგმანების მეოხებით.

დასახელებულ გამოცემებში თხზულების ერთი ადგილი ასე იკითხება:

„ἐν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τούς βασιλέας καθιστᾶσι κατ᾽ ἀγχιστείαν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον. “

ამ წინადადების მრავალი თარგმანი არსებობს. მოგვაქვს რამდენიმე:

ა) ივ. ჯავახიშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, იყენებდა ვ. ლატიშევის თარგმანს*, ოღონდ ზოგიერთი შესწორებით:

---

*სინამდვილეში, ვ. ლატიშევის კრებულში შესული ეს თარგმანი ეკუთვნის პ.ი. პროზოროვს (ვ.ვ).

„Один и первый из них, из которого ставят царей, по близости возрасту самого старшего (после умершего царя)“ (Джавахов, 8).

ბ) ს. ჯანაშია ასე თარგმნის ამ ადგილს:

„პირველია მათ შორის ის, რომლიდანაც სვამენ (ტახტზე) მეფეს, ახლობელ ნათესაობისა და ასაკის უხუცესობის მიხედვით“(ჯანაშია, 137).

გ) თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი ასეთია:

„ერთი (გვარი) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“(ყაუხჩიშვილი, 1957, 129-130).

დ) თ. მიშჩენკოსეული თარგმანია:

„Первый тот, из которого они выбирают царей по ближайшему родству и самого старшего по возрасту“ (Мишенко, 511).

ე) უახლესი თარგმანი "გეოგრაფიისა" ეკუთვნის გ. სტრატანოვსკის. აღნიშნული წინადადების თარგმანია:

„Один разряд самый главный – из него они выбирают царей старших по родству и возрасту“ (Стратановский, 475).

როგორც ვხედავთ, ყველა თარგმანი ერთმანეთს წააგავს, რაც იმის შედეგია, რომ X-XIV სს-ის ნუსხებზე დამყარებულ კრამერის, მიულერ-დიუბნერის, მაინეკესა და ჯონზის გამოცემებში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ყველგან ერთნაირია და მკვლევართ, ბუნებრივია, ერთი და იგივე ბერძნული ტექსტი ჰქონდათ ხელთ.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ დღემდე ცნობილ ნუსხათა შორის უძველესია (დაახლ. V-VIსს.) ე.წ. პალიმფსესტი, რომელშიც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ტექსტის ნაწყვეტი სხვაგვარად იკითხება. გამოცემებში ეს უძველესი ხელნაწერი გამოყენებული ჯერ არსად არის.

1875 წელს, რომის მახლობლად, გროტაფერატის სააბატოში კოცა-ლუცამ აღმოაჩინა „გეოგრაფიის“ შემცველი პალიმფსესტი, სადაც ტექსტი დაფარულია რელიგიური

ხასიათის თხზულებით და 1875- 1895 წწ. გამოსცა „გეოგრაფიის“ ფრაგმენტები.

1956 წელს ვ. ალიმ, რომელსაც განსაზღვრული ჰქონდა სტრაბონის „გეოგრაფიის“ ყოველმხრივი შესწავლა (რაც მან ბოლომდე ვერ მიიყვანა, მაგრამ ბევრის გაკეთება ამ მიმართულებით მაინც მოასწრო) კვლავ გამოსცა პალიმფსესტი თავისი ტრანსკრიფციით (De Strabonis codice rescripto).

პალიმფსესტი ამჟამად დაცულია ვატიკანში. იგი დაწერილია სამ სვეტად, სიტყვები გამოყოფილი არაა, სპირიტუსები და ι-სუბსკრიპტუმი არ იხმარება, სამაგიეროდ გამოყენებულია ι-ადსკრიპტუმი; ხშირია ι და ει -ის მონაცვლეობა (ე.წ. იტაციზმი).

პალიმფსესტში დაცული „გეოგრაფიის“ ტექსტი დასაწყისში ფრაგმენტულია და ძალზე დაზიანებული. მას მოჰყვება თითქმის მთლიანი ტექსტი VIII-XVII წიგნებისა. XI წიგნის დასაწყისში საუბარია ევროპისა და ლიბიის საზღვარზე (XI, 1, 4-ის ბოლო), ხოლო ჩვენთვის საინტერესო წინადადება ასე იკითხება:

„. . .ENME
ΚΑΙΠΡΩΤΟΝΕΞΟΥ
ΤΥCΒΑCΙΛΕΑCΚΑΘΙ
C . ΑCΙΚΑΤΔ . ΑΠ
ΡΑΝΤΕΚΑΙΕΛΙΚΙ
ΑΝΤΟΝΠΙΡΕCΒΥΤΑ
ΤΟΝ“ (De Strabonis codice rescripto, 59).

როგორც ზემოთ ვთქვით, „გეოგრაფიის“ სხვა ხელნაწერებზე დაფუძნებულ გამოცემებში იკითხებოდა „ἀγχιστε_αν“, პალიმფსესტში კი მის ადგილას გვაქვს

„αδ. απραν“. აშკარაა, რომ არც ასოების გრაფიკული მოხაზულობით და არც მათი რაოდენობით ეს სიტყვები ერთმანეთს არ წააგავს.

შევეცადეთ „αδ. απραν“ - ის გამოცნობას, მისი შინაარსის გახსნას.

წინადადებაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ამ დაწერილობის სიტყვა უნდა იყოს „ἡλικ_α“ -ს ტოლფასი. ე.ი. ეს არის არსებითი სახელი, α -ზე დასრულებული, ხოლო

ν მხოლობითი რიცხვის Acc-ის ნიშანია. თუ ვ. ალის წაკითხვას დავეყრდნობით (და ეს კანონზომიერიცაა, რადგან იგი უშუალოდ და ობიექტურად სწავლობდა პალიმფსესტს), მაშინ „αδ. απραν“-ში წინა α „κατ“ - ს უნდა ეკუთვნოდეს და გვექნება:

„κατα δ. απραν“. დაგვრჩა „δ. απρα“, მაგრამ ასეთი სიტყვა ძველბერძნულ ენაში საერთოდ არ იძებნება.

შევუდექით პალიმფსესტის შედარებას სხვა გამოცემათა ტექსტებთან იმის დასადგენად, ხომ არ არის მოტანილი სიტყვა შემოკლებული ან დაქარაგმებული.

შედარებამ ცხადყო, რომ პალიმფსესტის ავტორი წერისას ხშირად მიმართავს სიტყვების შემოკლებას და ამ დროს იცავს გარკვეულ კანონზომიერებას.

მაგალითად:

პალიმფსესტი		სხვა გამოცემები	
1. KIMMERIKO	-გვ. 53 (38)	κιμμερικὸν	– (XI, 2, 5)
2. ΥΠΑΝΙ	- გვ. 54 (25)	Ὕπανιν	- (XI, 2, 10)
3. ΚΑΤΑΤΕ	-გვ. 54 (1)	κατὰ τὴν	- (XI, 2, 10)
4. CKHΠΤΟΥΧW	-გვ. 56 (2)	Σκηπτούχων	- (XI, 2, 13)
5. CΤΑΔΟVC	-გვ. 59 (1-2)	σταδίυς	- (XI, 3, 5)
6. ΕΠΙΜΕΛΟΤΑΙ	-გვ. 59 (24-25)	ἐπιμελοῦνται	-(XI, 3, 6)

პირველ ოთხ შემთხვევაში სიტყვა შემოკლებულია ბოლოკიდური ν-ის ხარჯზე, მეხუთეში სიტყვას შუაში

აკლია ι, რომელიც სიტყვის კიდეზე მოდიოდა, ხოლო ბოლო შემთხვევაში შუაში სიტყვას υν აკლია (ასევე სვეტის კიდეში).

ამგვარად, სვეტის ბოლოს ჩვეულებრივი მოვლენაა ასოს ან ასოების დაკლება. ჩვენთვის საინტერესო „δ. απραν“ სვეტში ასოთა განლაგების მიხედვით ასეთია:

„δ. απ

ραν“

ე.ი. მოსალოდნელი ყოფილა, რომ δ. απ-ს რაღაც კიდევ აკლდეს. ლექსიკონებში დავძებნეთ დელტაზე დაწყებული ყველა სიტყვა, რომელიც ρα-ზე ბოლოვდება. ძიებამ გვიჩვენა, რომ ეს სიტყვაა - „ἡ διάπειρα“, რაც ნიშნავს „გამოცდილებას“.

საბოლოოდ, ჩვენთვის საინტერესო წინადადებამ ასეთი სახე მიიღო:

„ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι κατὰ διάπειραν τε καὶ ἡλικ..αν τὸν πρεσβύτατον.“

ანუ „ერთი და უპირველესია, რომლისაგანაც მეფეებს აყენებენ გამოცდილებისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“.

როგორც ვხედავთ, სტრაბონის „გეოგრაფიის“ დღეს-დღეობით ცნობილი უძველესი ხელნაწერის მიხედვით, ტექსტში გვაქვს „διάπειρα“ (გამოცდილება) და არა „ἀγχιστε..α“ (მახლობლობა, ახლობელი ნათესაობა), რაც უეჭველად გასათვალისწინებელია „გეოგრაფიის“ ამ ადგილის გაგებისას.

სხვა საკითხია, თუ მათ შორის რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ყველა ხელნაწერის უშუალო შემოწმებით, შესაძლოა, დადგენილიყო საიდან ან როდის გაჩნდა ტექსტში „ἀγχιστε..α“ „διάπειρα“-ს ნაცვლად ან პირიქით, მაგრამ ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არსებობს.

ვფიქრობთ, მაინც შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოტანა პალიმფსესტის ტექსტში დაცული „διάπειρα“-ს სასარგებლოდ. ჯერ ერთი, პალიმფსესტი „გეოგრაფიის“ უძველესი ხელნაწერია და მას უნდა მიეცეს უპირატესობა გვიანდელ ნუსხებთან შედარებით და მეორეც, ვ. ალი,

სტრაბონის თხზულებათა ავტორიტეტული მკლევარი აცხადებს: პალიმფსესტიდან ჩანს, რომ ტექსტი ჯერ კიდევ V ს-ში კარგ მდგომარეობაში იყო და შენარჩუნებული ჰქონდა ავგუსტუსის დროინდელი ორთოგრაფიის თავისებურებანი. არქეტიპს (დაახლ. I-IIსს), დაწერილს მინუსკულით (ნუსხური -ვ.ვ.), ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი: გამოტოვებული ადგილები, ლაქები, ჩამოხეული გვერდები (Aly, 396).

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოტანილ წინადადებას პალიმფსესტის ტექსტის მიმართ გამოთქმული ნაკლი არ ეხება, რადგან იგი შუა სვეტში მდებარეობს და დაუზიანებელია. გარდა ამისა, უცილობლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თ. ყაუხჩიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სტრაბონის ტერმინოლოგია, აღნიშნავს: „ამ ტერმინის (ἀγχιστε...α) შესასწავლად გადავათვალიერე მთელი ტექსტი და, სამწუხაროდ (თუკი არ გამომრჩა), ასეთი ფორმა მეტი ვერ ვნახე“ (ყაუხჩიშვილი, 1957, 60).

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და დავუშვებთ, რომ პალიმფსესტის ტექსტში დაცული ტერმინი „διάπειρα“ უძველესია და სტრაბონის „გეოგრაფიის“ დედნისეული, მაშინ საქართველოს ძველი ისტორიისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე ცნობის ტრადიციულმა ინტერპრეტაციამ იბერიის პირველი „γένος“-ის შესახებ, შესაძლოა, სხვა სახე მიიღოს.

ვფიქრობთ, შემდგომი კვლევა მართებული დასკვნის გაკეთების საფუძველს მოგვცემს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

2. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

3. ჯანაშია ს. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952.

4. Aly W. Strabon von Amaseia, Untersuchungen über Text, Aufbau u. Quellen d. Geographica, Bonn, 1957.

5. Brosset M. Histoire de la Géorgie, I, SPb, 1958.

6. De Strabonis codice rescripto, Studi e testi 188, 1956.

7. География Страбона в семнадцати книгах. перевод Ф. Г. Мишенко, М., 1879.

8. Джавахов И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, СПб., 1905.

9. Стратановский Г.А. Страбон, География, М., 1964.

ვ. ვაშაკიძე

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტის ერთი ადგილის გაგებისათვის

რეზიუმე

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იბერიის სოციალური სტრუქტურის შესახებ დაცული ცნობის (XI, 3,6) შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მკვლევარნი იყენებდნენ „გეოგრაფიის“ X-XIV სს-ის ხელნაწერებზე დაფუძნებულ გ. კრამერის, კ. მიულერ-ფ. დიუბნერის, ა. მაინეკეს და ჰ. ჯონზის გამოცემათა ტექსტს, რომელიც ყველგან ერთნაირად იკითხება:

„ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὐ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι κατ' ἀγχιστε_αν τε καὶ ἡλικ_αν τὸν πρεσβύτατον. "

მითითებულ გამოცემებში არ არის გათვალისწინებული სტრაბონის „გეოგრაფიის" ე.წ. პალიმფსესტი, რომელიც V-VIსს. განეკუთვნება. მასში ტერმინ „ἀγχιστε_α" (ახლობელი ნათესაობა) ნაცვლად იკითხება „διάπειρα" (გამოცდილება).

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ წაკითხვას ვანიჭებთ უპირატესობას, რაც, უდავოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს სტრაბონის ზემოდასახელებული ცნობის ინტერპრეტაციისას.

В. В. Вашакидзе

К ПОНЯТИЮ ОДНОГО МЕСТА В ТЕКСТЕ „ГЕОГРАФИИ" СТРАБОНА

Резюме

Многие историки изучали данные „Географии" Страбона о социальной структуре Иберии. Они пользовались известными изданиями „Географии" (Крамера, Мюллера-Дюбнера, Майнеке, Джонза), основанными на рукописях X-XIVвв.

В них XI, 3,6 текста читается так:

„ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὐ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι κατ' ἀγχιστε_αν τε καὶ ἡλικ_αν τὸν πρεσβύτατον. "

В указанных изданиях не учитывается вариант, сохранившийся в палимпсесте V-VIвв., содержашем текст „Географии" Страбона, в котором вместо „ἀγχιστε_α" (близкое родство), читается „διάπειρα" (опыт).

Интерпретируя указанные сведения Страбона, должны быть учтены и данные палимпсеста.

V. Vashakidze

To the concept of a single location in the text "Geography" of Strabo

Summary

Many historians have studied the data "Geography" of Strabo about the social structure of Iberia. They used the known editions of "Geography" (Cramer, Mueller-Dyubner, Meinecke, Jons), based on the manuscripts of X-XIV centuries.

They XI, 3,6 text reads:

„ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὐ τούς βασιλὲας καθιστᾶσι κατ' ἀγχιστε_αν τε καὶ ἡλικ_αν τὸν πρεσβύτατον."

This publication is not included in the surviving variant palimseste V-VIvv., That contain the text of the "Geography" of Strabo, in which instead of "ἀγχιστεα" (close relationship), read "διάπειρα" (experience).

Interpreting the data is Strabo, must be observed and data palimpsest.

ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 2, 1982

სტრაბონის „გეოგრაფიის “ XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის

სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. გასულ საუკუნეში ამ საკითხით მრავალი ევროპელი მეცნიერი იყო დაინტერესებული. კ. ნოიმანმა „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროებს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა, სადაც გააკეთა დასკვნა, რომ სტრაბონის წყარო კავკასიის ქვეყნების აღწერისას თეოფანე მიტილენელი იყო (Neumann, 344). მსგავსი აზრი გამოთქვა კ. არნოლდმა (Arnold, 195). მ. დიუბუამ შესაძლებლად მიიჩნია, რომ კავკასიის აღწერისას სტრაბონი პოსიდონიოსს ეყრდნობოდა, მაგრამ ალბანეთის და იბერიის დახასიათებისას პოსიდონიოსის წყაროდ გამოყენება უარყო (Dubois, 320). ფართოდ შეეხო აღნიშნულ პრობლემას ე. ჰონიგმანი, რომელმაც, ზოგადად, დააჯგუფა სტრაბონის წყაროები (Honigman, 952-972). მ. როსტოვცევი არსებითად იმეორებს კ. ნოიმანისა და კ. არნოლდის შეხედულებას (Ростовцев, 143) და, თავის მხრივ, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროდ ასახელებს მითრიდატეს ისტორიკოსებსაც, კერძოდ, ჰიფსიკრატეს (Ростовцев,140).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული ავტორები „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროების შესწავლისას არ ინტერესდებოდნენ ტექსტის ამა თუ იმ კონკრეტული ადგილის წყაროთმცოდნეობითი ანალიზით. ეს საკითხი იმ მეცნიერებმა დააყენეს, ვინც კავკასიის ქვეყნების ისტორიას სწავლობდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სტრაბონის ცნობების გამოყენებას ასზე მეტი წლის ისტორია აქვს. მკვლევარნი განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას „გეოგრაფიის“ იმ ადგილზე, სადაც იბერიის სოციალური ყოფის ამსახველი სურათია მოცემული (XI, 3, 6). ცნობა უაღრესად საინტერესოა

იმდენად, რამდენადაც პირველია და უძველესი იმ წყაროთა შორის, რომელიც კი ძველი იბერიის (ქართლის) შესახებ მსგავსი ხასიათის მასალას იძლევა. სწორედ ამიტომ, სანამ გამოვიყენებდეთ მას, უნდა ვიცოდეთ თუ საიდან მომდინარეობს ის, როდინდელია, ე.ი. აუცილებელია სტრაბონის პირველწყაროს დადგენა.

ივ. ჯავახიშვილი დიდ ნდობას უცხადებდა სტრაბონის ცნობას და თავის შრომებში არაერთი საინტერესო დასკვნა გააკეთა მასზე დაყრდნობით. მეცნიერს ცალკე არ უკვლევია „გეოგრაფიის"(XI, 3, 6) პირველწყარო, მაგრამ მისი დასკვნებიდან ჩანს, რომ ტექსტის აღნიშნულ ადგილს ივ. ჯავახიშვილი თვით სტრაბონისეულად თვლიდა. „სტრაბონის აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვ.წ. Iს.-ში . . ." (Джавахов, 9) - არაერთგზის აღნიშნავს ხოლმე იგი.

არც ს. ჯანაშია შეხებია სტრაბონის ცნობის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საკითხს, მაგრამ თავის მრავალრიცხოვან შრომებში, ივ. ჯავახიშვილის დარად, იგი ხშირად ლაპარაკობს ე.წ. სტრაბონის ხანაზე (საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIXს.-ის დამდეგამდე, 67).

ნ. ბერძენიშვილი ფრიად საინტერესო აზრს გამოთქვამდა „გეოგრაფიის" აღნიშნული ადგილის წყაროზე. მისი აზრით, „ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა" (ბერძენიშვილი, 369). ეს იყო სტრაბონის პირველწყაროთა არსებობის პირველი აღიარება ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რაც სხვა წყაროთა ანალიზიდან გამომდინარეობდა. ნ. ბერძენიშვილი განაგრძობს: „უფრო მართებულად მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა საკითხი დაისვას სტრაბონის ცნობათა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ" (ბერძენიშვილი, 373).

1947 წელს ჟურნალ „Вестник древней истории"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა ა. ბოლტუნოვის წერილი, რომელშიც ავტორი შეეცადა ეჩვენებინა სტრაბონის წყარო იბერიის

სოციალური სტრუქტურის აღწერისას. ასეთად მან მიიჩნია პოსიდონიოსის (140-57წწ. ძვ. წ.) ისტორია. ამის სამტკიცებლად ა. ბოლტუნოვამ ორი მთავარი არგუმენტი დაასახელა: 1) პოსიდონიოსი ხალხთა (ამ შემთხვევაში პართელთა - ვ.ვ.) ყოფითი სურათების ჩვენების გარდა იძლეოდა მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრების და კანონების აღწერას, რისთვისაც იყენებდა იმ ტერმინოლოგიას, რომელიც დამახასიათებელი იყო ელინისტური აზიისათვის; 2) ზოგიერთი გამოთქმა, რომლებიც საერთო აქვთ პოსიდონიოსსა და სტრაბონს. მაგ., პართელთა ყოფის აღწერას პოსიდონიოსი ასე ამთავრებს:„ἐξ ὧν ἀμφοῖ τοὺς βασιλέας καθιστᾶσθαι“, ხოლო სტრაბონი იბერებზე ამბობს: „ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι“. ე.ი. შესაბამისად „რომელთაგან, ორივედან, მეფეებს სხამენ“ და „რომლისგანაც მეფეებს სხამენ“. ამ ორ არგუმენტს ა. ბოლტუნოვა კიდევ იმას უმატებს, რომ პოსიდონიოსი სირიიდან, სელევკიანთა სახელმწიფოს უდიდესი ცენტრიდან აპამეიდან იყო და ამის გამო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა საქართველოს სინამდვილესთან. ყოველივე აქედან გამომდინარე ავტორი აკეთებს დასკვნას: იბერიის შესახებ ცნობები, რომლებიც ჰქონდა პოსიდონიოსს უნდა განეკუთვნებოდეს ძვ. წ. II-ს-ის 40-30-იან წლებს (Болтунова, 160).

ადრედასახელებულ ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევათაგან განსხვავებით ეს წერილი არის პირველი, რომელშიც სტრაბონის „გეოგრაფიის“ მე-6 პარაგრაფის წყაროს ძიებას იბერიის ისტორიით დაინტერესებული პირი აწარმოებს. „ამდენად, მისი (ა. ბოლტუნოვას -ვ.ვ.) მასალა და დაკვირვებები, თუ ბოლომდე სარწმუნო არ არის, მაინც საინტერესოა“ - შენიშნავს თ. ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი, 14).

თ. ყაუხჩიშვილი თავის შრომაში „სტრაბონის გეოგრაფია“ ვრცლად მიმოიხილავს სტრაბონის წყაროებს, მის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, მაგრამ § 6-ის წყაროს საკითხს ღიად ტოვებს.

იბერიის სოციალური სტრუქტურის მომცველი ცნობის წყაროთმცოდნეობითი შესწავლა აწარმოა ოთ. ლორთქიფანიძემ. იგი არ ეთანხმება ა. ბოლტუნოვას მოსაზრებას და აღნიშნავს: „ეს ორი ადგილი, მართლაც, ძალიან ჰგავს ერთმანეთს სტილისტურად და სინტაქსურადაც, მაგრამ, შესაძლოა, რომ სტრაბონმა ისესხა პოსიდონიუსისგან მხოლოდ გამოთქმა. . . ან თავისი საკუთარი სიტყვებით გადმოსცა პოსიდონიუსის ცნობა. გარდა ამისა, გვაქვს ტერმინოლოგიური განსხვავებაც“ (ლორთქიფანიძე, 370-371). ოთ. ლორთქიფანიძე, თავის მხრივ, აყენებს ახალ ვარაუდს: „ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობა იბერიის საზოგადოებრივი წყობის შესახებ ერატოსთენეს მეოხებით პატროკლედან მომდინარეობს, რის შესახებ პირდაპირი მითითება მოგვეპოვება სტრაბონისავე „გეოგრაფიაში“ (XI, 2.15). კავკასიის საერთო აღწერისას იგი პირდაპირ მიუთითებს ერასტოსთენეზე, როგორც თავის წყაროზე. მკვლევარნი ერასტოსთენეს თხზულებით სარგებლობის კვალს ხედავენ აგრეთვე XI,3,2, და XI,2, 12-19-ში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სხვა ცნობა: დიდი სავაჭრო გზის აღწერისას, რომელიც მიემართებოდა ოქსოსის მიდამოებიდან კასპიის ზღვისაკენ და მტკვარ-ფაზისის გავლით შავი ზღვისაკენ, სტრაბონი ასახელებს არისტობულეს, რომელმაც, „ისევე როგორც ერატოსთენემ, ეს ცნობები აიღო პატროკლესაგან“ (XI,7,3)... სავსებით სავარაუდებელია, რომ პატროკლეს ექსპედიცია აგროვებდა ცნობებს აგრეთვე იმ ხალხების შესახებ, რომელთა ქვეყანაზეც გადიოდა სავაჭრო გზები, მათ შორის, იბერიის შესახებაც“ (ლორთქიფანიძე, 371).

შემდეგ ავტორი იბერიის სოციალური ვითარების არქაულობას ამტკიცებს, მოაქვს პარალელები ასირიის, მიკენის, სპარტის ყოფიდან და დაასკვნის, რომ ხელისუფლების ფუნქციების განაწილება, რასაც ადგილი აქვს იმდროინდელ იბერიაში „დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი აპარატის განვითარების ადრეული ეტაპისათვის“

(ლორთქიფანიძე, 373). ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს ეპოქაა ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა ძვ. წ. IIIს.-ის 80-70-იან წწ. (ლორთქიფანიძე, 374), რაც თითქმის ემთხვევა პატროკლეს მოღვაწეობის ხანას. პატროკლე, როგორც ვიცით, სელევკოს ნიკატორის და მისი ვაჟის ანტიოქოსის დროს მართავდა კასპიის ზღვისპირა ოლქებს. მან ძვ. წ. IIIს.-ის 90-იან წლებში ნიკატორის დავალებით გამოიკვლია აღნიშნული ტერიტორია ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით (Gisinger, 2263-2264).

როგორც ვხედავთ, ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყარო პატროკლეა და იგი ძვ. წ. IIIს.-ით თარიღდება.

1976 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები" თ. ყაუხჩიშვილი კვლავ უბრუნდება სტრაბონის წყაროს საკითხს. იგი დიდ ნდობას უცხადებს XI, 3,6-ში დაცულ ცნობას და აღნიშნავს: „რისი შემოწმების საშუალებაც გვაქვს, იქ სტრაბონი სწორი აღმოჩნდა (შემოსასვლელები იბერიაში, არმაზციხე, წიწამური, კრამიტიანი ნაგებობებიAc.). რაღა საზოგადოების სტრუქტურის გადმოცემაში ცდება (ან ის, ან მისი წყარო)? მისი ცნობები სავარაუდოა, რომ აქაც სწორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ გავიგოთ სწორად, თუ რომელ საზოგადოებას გვიხასიათებს, რა დროს აგვიწერს" (ყაუხჩიშვილი, 1976, 152). მკვლევარი აქვე დასძენს, რომ: „სტრაბონის წყარო, მართლაც, გაცილებით უფრო ადრინდელია, ვიდრე ის თვითონ ცხოვრობდა და შესაძლოა ვიდრე პოსეიდონიოსია, თუ პატროკლე" (ყაუხჩიშვილი, 1976, 152). აქაც, ისევე როგორც ადრე დასახლებულ შრომაში, ავტორი ერიდება სტრაბონის ცნობის პირველწყაროს დასახელებას, მაგრამ საყურადღებო ვარაუდს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ეს წყარო უფრო ადრინდელი უნდა იყოს და მისი არსებობა უცილობლად სავარაუდებელია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სხვა აზრი აღარ გამოთქმულა. მკვლევარნი, თავის შეხედულებისამებრ, ჩვენ მიერ მოტანილი დასკვნებიდან ერთ-ერთს იზიარებენ.

1980 წელს გამოვიდა ა. ნოვოსელცევის წიგნი „Генезис феодализма в странах Закавказья". ავტორი მე-2 პარაგრაფის - „იბერიის წოდებები სტრაბონის მიხედვით და ძველი ამიერკავკასიის არქაული საზოგადოებრივი წყობილების პრობლემა" - შესავალში იძლევა სტრაბონის ცნობის წყაროთმცოდნეობით ანალიზს. იგი არ ეთანხმება იმ შეხედულებებს, რომ §6-ის წყარო ძვ. წ. III-IIსს.-ით იქნეს დათარიღებული (ოთ. ლორთქიფანიძე, ა. ბოლტუნივა), თუმცა თვლის, რომ იბერიის სოციალური ყოფის სურათი ფრიად არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს. დასახელებულ შეხედულებებს ა. ნოვოსელცევი მცირედ შემაგრებულ ჰიპოთეზებად მიიჩნევს. ავტორის აზრით, სტრაბონის ცნობის ძირითადი საფუძველი პომპეუსის ლაშქრობის აღწერაა. დასკვნა ასეთია: ამგვარად, სრულიად დასაშვებია, რომ საზოგადოების არქაული დაყოფა „გენოსებად" იბერიაში ძვ. წ. Iს.-ში არსებობდა. თუმცა, მისი სათავე უეჭველად, უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება (Новосельцев, 107).

როგორც ვხედავთ, ა. ნოვოსელცევი ძირითადად ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას აზრს იზიარებს და სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყაროს ძვ. წ. I საუკუნისად თვლის.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, ზემოდასახელებულ ავტორთა შეხედულებანი ოთხ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1. „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყარო სტრაბონისდროინდელია ან სტრაბონისეული, ე.ი. ძვ. წ. I - ახ. წ. Iსს.-სა - ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ნოვოსელცევი;

2. აღნიშნული ადგილის წყარო პოსიდონიოსის „ისტორიიდან" არის აღებული და განეკუთვნება ძვ. წ. IIს.-ის 40-30-იან წლებს - ა. ბოლტუნოვა;

3. იბერიის სოციალური სტრუქტურის შესახებ არსებულო ცნობა მომდინარეობს პატროკლედან ერატოსთენეს გზით და თარიღდება ძვ. წ. IIIს.-ის 80-70-იანი წლებით - ოთ. ლორთქიფანიძე;

4. „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყარო სტრაბონისდროინდელი არ არის, რომ ის გაცილებით ძველია, მაგრამ მისი ავტორი უცნობია და ამდენად, დათარიღებაც არ ხერხდება - ნ. ბერძენიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი.

ჩვენ საგანგებოდ არ ვჩერდებით ევროპელ მკვლევართა შეხედულებებზე, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ §6-ის წყაროებს არ სწავლობდნენ და მხოლოდ ზოგადად იძლეოდნენ XI წიგნის, ან მთლიანად გეოგრაფიის წყაროთა დაჯგუფებას. გარდა ამისა, მათი შეხედულებანი ყველა შემდგომდროინდელი მეცნიერისთვის იყო ცნობილი და, როგორც დავრწმუნდით, ეს უკანასკნელნი სამართლიანად არ იზიარებდნენ მათ აზრს.

საჭიროდ მიგვაჩნია გადავხედოთ მკვლევართა მოსაზრებებს სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროს შესახებ.

როგორც ვნახეთ, ავტორთა ერთი ნაწილი აღნიშნული ცნობის წყაროს სტრაბონისდროინდელად თვლის ან ეს ცნობა თვით სტრაბონისეულად მიაჩნია. ვფიქრობთ, ამ შეხედულებას მრავალი წინააღმდეგობა აქვს. გავიხსენოთ სტრაბონის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილი: „ერთი და პირველი [გვარია], რომლისაგანაც მეფეებს სხამენ ახლობელი ნათესაობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს. მეორე მოსამართლეობს და სარდლობს“. გამოდის, რომ იბერები მეფეს სამეფო გვარში ახლობელ ნათესავთაგან უხუცესობის პრინციპით ირჩევენ, გარდა ამისა, სამეფო გვარის მეორე წარმომადგენელი ფლობს ორ დიდ სახელოს - მართლმსაჯულებასა და მხედართმთავრობას, ე.ი. სამეფო ხელისუფლების ფუნქციები გაყოფილია მეფესა და ე.წ.

„მეორე პირს“ შორის.* არსად, არცერთ თხზულებაში მსგავსი ხასიათის ცნობა არ იძებნება.

სტრაბონის ხანის იბერიის შესახებ მრავალი პარალელური წყარო მოგვეპოვება, რათა აღვადგინოთ იმდროინდელ ქართლში არსებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი თუ მეფის ფუნქციები. პირველ რიგში ქართულ ორიგინალურ წერილობით ძეგლებს გადავხედოთ. ლეონტი მროველისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ისეთი კონსერვატული წესის არსებობა, როგორიცაა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ამიტომაც მისთვის სავსებით ბუნებრივია სამეფო ხელისუფლების მამიდან შვილზე გადასვლა.

როდესაც ასე ხდება, ლეონტი ყოველგვარი კომენტარის გარეშე აღნუსხავს ფაქტებს. მაგ., ფარნავაზის შემდგომ „ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“ (ქართლის ცხოვრება, 26)., ან „და მოკუდა არტაგ და დაჯდა მის წილ ძე მისი ბარტომ“ (ქართლის ცხოვრება, 30) და მრავალი მისთანი.

როდესაც ადგილი აქვს სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრეობის წესის დარღვევას, ლეონტი მროველი წამსვე განმარტავს, თუ რატომ მოხდა ეს. მაგ., მეოთხე მეფემ ფარნაჯომ „შეიყუარა სჯული სპარსთა..., ამისთვის მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ.

მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა“ და გამოსთხოვეს ქართლის მეფედ ძე მისი არშაკ (ქართლის ცხოვრება, 29). საინტერესოა, რომ უბეოდ გადაგებულ მეორე მეფის საურმაგის შემდეგ „მეფე იქმნა მის წილ შვილებული მისი მირვან“ (ქართლის ცხოვრება, 27) და არა მის უახლოეს ნათესავთაგან უხუცესი. ოცდამესამე მეფეს, ასფაგურს, „არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი“. მისი გარდაცვალების შემდეგ

---

* განსხვავებული აზრი აქვს ოთ. ლორთქიფანიძეს (იხ. სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ).

„შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი " და, მაეჟან სპასპეტის რჩევით, ითხოვეს სპარსთა მეფისაგან „ძე მისი მეფედ ჩუენდა, და გევედრნეთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი" (ქართლის ცხოვრება, 62-63). ამდაგვარი მაგალითებით სავსეა „ქართლის ცხოვრება", რაც უეჭველად ადასტურებს ანტიკური ხანის იბერიაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზით გადასვლის წესის არსებობას.

გარდა ქართული მწერლობისა, იბერიის მეფეთა უფლებებზე, აგრეთვე ტახტის მემკვიდრეობის წესზე საინტერესო ცნობები აქვთ დაცული ანტიკურ ავტორებს. ისინი განსაკუთრებით ყურადსაღებნი არიან იმიტომ, რომ მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს.

ტაციტუსის (50-117 ახ. წ.) „ანალებში" XII წიგნის 44-ე თავში, სადაც ლაპარაკია არმენებსა და იბერებს შორის ამტყდარ ომზე (ახ.წ. 51წ.) ნათქვამია, რომ „იბერებზე ფარსმანი მეფობდა მამაპაპური უფლებით" (ტაციტუსი, 71). ვფიქრობთ, ეს ცნობა კომენტარს არ საჭიროებს.

აპიანე (ახ.წ. IIს.) იბერიის მეფე არტაგს (ტექსტში არტოკე - ვ.ვ.) ხატავს როგორც სუვერენულ ხელისუფალს, ნამდვილ მონარქს. აპიანე აღნიშნავს, რომ პომპეუსს ზოგიერთი ტომი თავისუფლად ატარებდა თავის ტერიტორიაზე, ხოლო ოროძეზე კი, ალბანთა მეფე და არტოკე, იბერთა მეფე 70000 [კაცით] ჩაუსაფრდნენ მას მდინარე კირნოსთან (მტკვართან - ვ.ვ.) (აპიანე, 199). აქ სრულიად გარკვევით ჩანს, რომ არტაგი თავად მხედართმთავრობს იბერთა ჯარს. სტრაბონის ცნობით კი სარდლობა „მეორე პირის" ხელშია. სხვაგან აპიანე აღნიშნავს, რომ პომპეუსის ტრიუმფის დროს მოჰქონდათ ფირფიტა, რომელზეც ეწერა: „...ძლეულნი არიან მეფეები: ტიგრანე არმენიელი, არტოკე იბერი, ოროძეზე ალბანი, დარიოს მიდიელი..." (აპიანე, 226). ვფიქრობთ, ასევე მრავლისმეტყველია არტაგის მეფედ მოხსენიება არმენიის და მიდიის მეფეთა გვერდით, რომელთა მონარქიული

უფლებები ან სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი ეჭვს არ იწვევს.

დიონ კასიუსი (153-235წწ.) თავის „რომის ისტორიაში“ არაერთხელ იხსენიებს იბერიას და მის მეფე არტაგს (ტექსტში არტოკე - ვ.ვ.). თხზულების XXXVII, 2-ში არის ასეთი ცნობა: „პომპეუსმა მიიღო ძღვენი, რათა ის (არტოკე - ნ. ლომოური) ზავზე დაიმედებული არ წასულიყო სადმე უფრო შორს, მაგრამ დაზავებაზე უარს ეუბნებოდა, სანამ ის წინასწარ არ გამოუგზავნიდა თავის შვილებს მძევლად“ (დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ). ამ ფაქტზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილეს ს. ჯანაშიამ, ნ. ლომოურმა, თ. ყაუხჩიშვილმა და სამართლიანად აღნიშნეს, რომ იგი არტაგის მონარქიულ უფლებებზე მიუთითებს, რადგან პომპეუსი მძევლებად სწორედ მეფის შვილებს, ტახტის მემკვიდრეებს, ითხოვს და არა სხვას ვისმე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უნიკალურ ცნობებს გვაწვდიან ეპიგრაფიკული ძეგლები. მათ შორის ძალზე საინტერესოა ე.წ. ვესპასიანეს წარწერა (ახ.წ. 75წ.), რომელიც 1867 წელს იქნა აღმოჩენილი მცხეთასთან ახლოს. წარწერაში იხსენიება იბერთა მეფე მითრიდატე, „მეფე ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძე“ (წერეთელი, 1958,14). ე.ი. გამოდის, რომ მითრიდატეს იბერიის სამეფო ტახტი მამისაგან მიუღია მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზით.

სერაფიტის ეპიტაფიაში, რომელიც დაახლოებით II-III სს.-ით თარიღდება, გვხვდება, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო ცნობა, რომელიც არაპირდაპირი ჩვენებით კიდევ ერთხელ ადასტურებს იბერიაში ხელისუფლების მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზის არსებობას. აქ ნათქვამია, რომ სერაფიტი იყო მეუღლე ეზოსმოძღვარ იოდმანგანისა, რომელიც, თავის მხრივ, იყო ეზოსმოძღვარ პუბლიკიოს აგრიპას ვაჟი (წერეთელი, 1943, 16-17). ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამდებობის გადაცემის მემკვიდრეობის პრინციპი, რომელიც დადასტურებულია II-III სს.-ის იბერიაში,

გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ გამოვთქვათ საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი: ამ მოვლენას დიდი ხნით წინ უსწრებდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზის არსებობის წესი.

როგორც ვხედავთ, ქართული სინამდვილისათვის საერთოდ უცხოა უხუცესობის პრინციპზე აგებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის არსებობა, მით უმეტეს ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე, როცა არსებული წყაროებით კარგად შეიძლება იმდროინდელი ვითარების აღდგენა. ჩვენ საგანგებოდ არ გავამახვილეთ ყურადღება სამეფო ხელისუფლების გაყოფაზე, რომელიც სტრაბონის ცნობიდან გამომდინარეობს, რადგან ამ საკითხზე ოთ. ლორთქიფანიძის შეხედულებას ვიზიარებთ.

ამგვარად, ყველა წყარო ნარატიული (ქართული, ბერძნულ-ლათინური), თუ ეპიგრაფიკული, ნათლად აჩვენებს, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში დაცული ცნობა სტრაბონის დროინდელი კი არა, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ა. ბოლტუნოვამ ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყაროდ ისტორიოგრაფიაში პირველმა დაასახელა პოსიდონიოსის „ისტორია“ და ეს მოსაზრება ორი მთავარი არგუმენტით გაამაგრა. რაც შეეხება პირველს, რომ პოსიდონიოსი თავის თხზულებაში ხალხთა ეთნოგრაფიის გარდა სახელმწიფოებრივი წყობისა და კანონების აღწერასაც იძლეოდა და ამით სტრაბონს წააგავს, ჩვენ იგი დამაჯერებლად არ გვეჩვენება. ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობისათვის უცხო არა არის ამა თუ იმ ხალხის სოციალური და სახელმწიფოებრივი ვითარების მომცველი სურათების აღწერა. ბევრ ასეთ ავტორს სტრაბონი კარგად იცნობს და იყენებს კიდეც მათ ცნობებს თავის „გეოგრაფიაში“. მაგ., „გეოგრაფიის“ I, 3,1; II, 4,2, და VII, 3,6,-პარაგრაფებში სტრაბონი იხსენიებს ევემეროსს (IV-IIIსს. ძვ. წ.), რომელსაც მოეპოვება არაბეთის მოსახლეობის აღწერა

(Die Fragmente...,306-308). ეფოროსი (დაახლ. 405-330წწ.ძვ. წ.), რომელსაც სტრაბონი X, 4, 19-ში ასახელებს, იხსენიებს კრეტაში ლიკურგოსის გამეფების ფაქტს და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძალზე საინტერესო წესს (Die Fragmente..., 37-109). ინდოეთის სოციალური ვითარების აღწერისას - XV,I, 39-49. სტრაბონი მთლიანად ემყარება მეგასთენეს (ძვ. წ.IVს-ის დასასრული და IIIს.-ის დასაწყისი) ცნობებს და მეფეთა დასმის წესსაც ვრცლად გვამცნობს (Fragmenta Historicorum Graecorum..., 427-428).

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ პოსიდონიოსიც ერთ-ერთ იმ ავტორად მივიჩნიოთ, ვისი ცნობებითაც სტრაბონი სარგებლობდა „გეოგრაფიის“ წერისას, კერძოდ პართელთა ყოფის გადმოცემისას (XI, 9, 3).

რაც შეეხება ა. ბოლტუნოვას მტკიცების მეორე არგუმენტს, ეს არის ფრაზეოლოგიური მსგავსება პოსიდონიოსის და სტრაბონისა იქ, სადაც მეფეთა დასმა-დაყენებაზეა ლაპარაკი. ჯერ კიდევ ოთ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა სტრაბონმა „თავისი საკუთარი სიტყვებით გადმოსცა პოსიდონიოსის ცნობა“, ან „სტრაბონმა ისესხა პოსიდონიოსისგან მხოლოდ გამოთქმა“ (ლორთქიფანიძე, 370-371). ამ მოსაზრების შესამოწმებლად განვიხილოთ სხვა ბერძენ ავტორთა მსგავსი ცნობები.

ძვ. წ. Vს.-ის ავტორი თუკიდიდე თავის „ისტორიაში“ (V,16), სადაც ლაპარაკი აქვს, ლაკედემონელებზე ამბობს: ლაკედემონელები „τοὺς βασιλέας καθίσταντο“ (Θουκιδίδης, 420) - „ლაკედემონელები სხამდნენ მეფეებს“.

მეგასთენეს ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომელიც ინდოეთს ეხება, ნათქვამია: „καθίστασθαι Ἰνδοὺσι βασιλέας“ (Fragmenta Historicorum Graecorum...,418) - „სხამდნენ ინდოელებთან მეფეებს“.

ძვ. წ. IIს.-ის ავტორს ბიონს აქვს ასეთი ფრაზა: „καθίστων δὲ καί πολλοὶ τοὺς καλλίστους βασιλέας“ (Fragmenta

Historicorum Graecorum..., 351) - „მრავალნი აყენებენ ულამაზეს მეფეებს“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინები „βασιλεὺς“ და „καθίστημι“ ძალზე გავრცელებულია ბერძნულ მწერლობაში. „βασιλεὺς“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ცნებას გადმოსცემდა - ხალხის წინამძღოლიდან, ბელადიდან დაწყებული, მეფით გათავებული (ყაუხჩიშვილი, 1957, 37-48). „καθίστημι“ ზმნაა და აქვს შემდეგი მნიშვნელობები: დაყენება, დასმა და სხვა. როგორც ვნახეთ, ამ ორ ტერმინს იყენებენ არა მხოლოდ პოსიდონიოსი და სტრაბონი, არამედ თუკიდიდე, მეგასთენე, ბიონი და სხვანი. იგივე ზმნა გამოიყენებოდა არამარტო მეფის, არამედ აგრეთვე სხვა, ხელისუფლების მქონე პირის დასმა-დაყენების შემთხვევაშიც. მაგ., Vს.-ის ისტორიკოსის ოლიმპიოდოროსის ჩვენამდე მოღწეულ ერთერთ ფრაგმენტში, სადაც ლაპარაკია გოთების წინამძღოლის დაყენებაზე, ნათქვამია: „Ἡγεμῶν δὲ τῶν Γὐτθων καθίσταται“ (Fragmenta Historicorum Graecorum..., 442-444) - „გოთების ჰეგემონად დააყენეს“.

ამგვარად, მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ბერძენ ავტორთაგან ვისაც კი სჭირდებოდა „მეფის დასმაზე“ ლაპარაკი, ის ამ გამოთქმას გვერდს ვერ აუვლიდა. ამიტომ პოსიდონიოსისა და სტრაბონის ტექსტების ზემოთ მოტანილი ადგილების მხოლოდ ფრაზეოლოგიური მსგავსებით იმის მტკიცება, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროდ პოსიდონიოსის „ისტორია“ უნდა მივიჩნიოთ, დამაჯერებელი არ ჩანს.

როგორც ვნახეთ, ოთ. ლორთქიფანიძემ სტრაბონის წყაროდ პატროკლე (ერასტოსთენეს გზით) დაასახელა. მკვლევარი აცხადებს: ეს რომ ასეა „პირდაპირი მითითება მოგვეპოვება სტრაბონისავე „გეოგრაფიაში“ (XI, 2, 15) (ლორთქიფანიძე, 371). „გეოგრაფიის“ აღნიშნულ ადგილას ლაპარაკია კავკასიონის ქედის შესახებ და ნათქვამია: „ერასტოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ

კავკასიონი იწოდება კასპიად“ (ყაუხჩიშვილი, 1957, 121). ჩვენი აზრით, ეს ფრაზა იმის დასტურად გამოდგება, რომ კავკასიის აღწერისას სტრაბონი ერატოსთენესაც ემყარება (ისევე, როგორც მითრიდატეს ისტორიკოსებს თუ სხვა ავტორებს) და არა იმისთვის, რომ პატროკლეა სტრაბონის წყარო იბერიის სოციალური სტრუქტურის აღწერისას. ვფიქრობთ, ამის სამტკიცებლად უეჭველ საბუთად არც ის ივარგებს, რომ პატროკლე სელევკოს ნიკატორის და მისი ვაჟის ანტიოქოსის დროს კასპიისპირა ოლქებს განაგებდა და გამოიკვლია კიდეც ეს ტერიტორია. ის, რომ სტრაბონი თავისი თხზულების წერისას პატროკლესა და პოსიდონიოსის ცნობებს იყენებდა, უდაო ფაქტია, მაგრამ იმ მცირედი არგუმენტებით, რომელიც ზემოხსენებულმა მკვლევარებმა მოიხმეს, ეჭვმიუტანლად, მათი „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროდ აღიარება შესაძლებლად არ მიგვაჩნია.

პატროკლეს სულ შვიდი ფრაგმენტია ჩვენამდე მოღწეული (Fragmenta Historicorum Graecorum...,442-444) და ყველა სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ დაცული. სხვა ბერძენი ავტორები არავითარ ცნობებს არ იძლევიან პატროკლეს შესახებ. სტრაბონი თავის თხზულებაში პატროკლეს ახსენებს კავკასიის, არმენიის, პონტოს, ალბანეთის, კასპიის ზღვის აღწერისას და იმოწმებს მას. ასეთ კონტექსტში ლოგიკური იქნებოდა დაესახელებინა ის იბერიის აღწერის შემთხვევაშიც. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა სახის ცნობები აქვს პატროკლეს ჩვენამდე მოღწეულ იმ შვიდ ფრაგმენტში. გამოირკვა, რომ დაცული ცნობები მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ხასიათისაა და არაფერი აქვს საერთო იმ სოციალურ სურათთან, რომელიც „გეოგრაფიის“ XI, 3,6-შია მოცემული.

ოთ. ლორთქიფანიძის უმთავრესი არგუმენტი პატროკლეს სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროდ გამოცხადებისას ისაა, რომ იბერიის სოციალური ვითარება არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ სავსებით ვიზი-

არებთ მკვლევრის ამ აზრს, მაგრამ სტრაბონის თხზულების აღნიშნული ადგილის წყაროდ პატროკლეს დაბეჯითებით დასახელებისათვის საფუძველს ვერ ვხედავთ. თუმცა შესაძლებელია, რომ „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობით იბერიაში არსებული სოციალური ვითარება ქრონოლოგიურად ახლოს იდგეს პატროკლეს ხანასთან (ძვ. წ. III ს.).

და ბოლოს, გვინდა გავიზიაროთ იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში დაცული ცნობის წყაროს არსებობას უდავოდ აღიარებენ და უფრო ძველად მიიჩნევენ, ვიდრე თვით სტრაბონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ მასალათა უკმარისობის გამო ვერ ასახელებენ მას.

ვფიქრობთ, მათი აზრი კიდევ უფრო მტკიცდება ჩვენი მსჯელობით. ცოდნის ამ ეტაპზე, როცა მხოლოდ კ. მიულერის და ფ. იაკობის ფრაგმენტებით ვეცნობით ბერძენ ისტორიკოსთა შრომებს, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროს გამოვლენის საფუძველი არ არსებობს. ყველა სხვა მოსაზრება მეტად თუ ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებში რჩება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთი თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

2. ბერძენიშვილი ნ. ჯანაშია ს. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (რეცენზია), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.

3. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და

შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966.

4. ლორთქიფანიძე ოთ. სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, №3, 1953.

5. პატროკლის შესახებ, ვრცლად იხ. G. Gisinger, Πατροκλῆς , Pauly-Wissowa, Realenzyklopädie..., XVIII.

6. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIXს.-ის დამდეგამდე , ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943.

7. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973.

8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

9. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

10.ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბეძრნული წყაროები, თბ., 1976.

11.წერეთელი გ. არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XVIII, თბ., 1943.

12.წერეთელი გ. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958.

13.Arnold C. Untersuchungen über Teophans von Mitylene und Posidonius von Apamea (Jahrb. f. class. Philologie, herausg. von Alfr. Fleckeisen), Leipz., 1884.

14.Die Fragmente der griechishen Historiker, von Felix Iacoby, Erste teil., Berlin, 1923; № 3.

15.Dubois M. Examen de la Geographie de Strabon, Paris, 1891.

16.Fragmenta Historicorum Graecorum, Car. Et Theod. Mülleri, vol. secondum, Parisiis, MDCCCLXXVI.

17.Θουκιδίδης. Thucydidis de Bello Peloponnesiaco, Libri octo,curanit Georg Aenotheus Koch, Lipsiae, MDCCCXLV.

18.Honigman E. Strabon, Paulys Real – Encyclopädie der classischen Altertum-swissenschaft, Neue Bearbeitung, begonnen von Georg Wissowa, Herausgegeben von Wilhelm Kroll und Karl Mittelhaus, Sibter Habband, Stuttgart, 1931.

19.Neumann K. Strabons Landes kunde von kaukasien ((Jahrb. f. class. Philologie, herausg. von Alfr. Fleckeisen), Leipz., 1884.

20.Болтунова А.И. Описание Иберии в „Географии" Страбона (XI, 3, 1-6). ВДИ, 1947, №4.

21.Джавахов И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, СПб., 1905.

22.Новосельцев А.П. Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1980.

23.Ростовцев М.И. Скифия и Боспор, М., 1925.

ვ. ვაშაკიძე

სტრაბონის „გეოგრაფიის " XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის

რეზიუმე

სტრაბონის „გეოგრაფიის" წყაროთა მეცნიერული კვლევა ჯერ კიდევ XIX ს. დაიწყო (კ. ნოიმანი, კ. არნოლდი, გ. დიუბუა). XX ს. დასაწყისში ე. ჰონიგმანმა, მ. როსტოვცოვმა და სხვა მკვლევარებმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს თხზულების წყაროთა შესახებ, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი კონკრეტულად „გეოგრაფიის" XI, 3, 6-ის წყაროებით არ ინტერესდებოდნენ. ამ პარაგრაფს უშუალოდ ძველი ქართლის (იბერიის) ისტორიის შესწავლით დაკავებული მეცნიერები ეხებოდნენ. სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3, 6-ის პირველწყაროს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს:

1. ზემოხსენებულ პარაგრაფში დაცული ცნობა თავად სტრაბონის არის და, ამდენად, ძვ. წ. I - ახ. წ. Iსს.-ით თარიღდება (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ნოვოსელცევი).

2. „გეოგრაფიის“ აღნიშნული ცნობის წყარო პოსიდონიოსის „ისტორიაა“ და იგი ძვ. წ. IIს. 40-30-იან წლებს განეკუთვნება (ა. ბოლტუნოვა).

3. „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 პატროკლესგან მომდინარეობს და ძვ. წ. IIIს.-ის 80-70-იან წლებით თარიღდება (ოთ. ლორთქიფანიძე).

4. „გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყარო უცილობლად არსებობდა, ის „გეოგრაფიის“ შედგენის პერიოდთან შედარებით გაცილებით ადრინდელია, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ცნობათა სიმწირის გამო წყაროს ავტორი არ იძებნება (ნ. ბერძენიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი).

„გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის სპეციალურმა წყაროთმცოდნეობითმა შესწავლამ აჩვენა, რომ ზემოხსენებულ მოსაზრებათა შორის ყველაზე მეტად მისაღები და გასაზიარებელი სწორედ ბოლო შეხედულებაა.

В.В. Вашакидзе

К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКЕ XI, 3,6 „ГЕОГРАФИИ“ СТРАБОНА

Резюме

Научным исследованием источников „Географии“ Страбона занимались еще в прошлом веке (К.И. Нойманн, К.Ф. Арнольд, М. Дюбуа).

В начале XX в. Э. Хонигманн, М. Ростовцов и другие исследователи имели интересные соображения об источниках сочинения, но, естественно, они не интересовались конкретно

XI, 3,6 „Географии". Данный параграф занимает ученых, непосредственно изучающих историю древней Иберии (Картли).

Об источнике XI, 3,6 „Географии" в историографии имеется несколько мнений.

1. Упомянутый параграф принадлежит самому Страбону или эпохе Страбона (И. Джавахишвили, С. Джанашия, А. Новосельцев).

2. Источник данного места из „Географии" Страбона - „История" Посидония, датируемая 40-30 годами II в. до н. э. (А. Болтунова).

3. Источник XI, 3,6 „Географии" – Патрокл, 80-70гг. III в. до н. э. (О. Лордкипанидзе).

4. Источник исследуемого параграфа „Географии" Страбона несомненно существует, и он датируется более ранним временем, чем создание самой „Географии". Из-за скудности дошедших сведений автор источника не уточняется (Н. Бердзенишвили, Т. Каухчишвили).

Специальное изучение нами источников „Географии" Страбона дает основание согласиться с этим последним мнением.

V. Vashakidze

On the Source of Strabo's 'Geography' XI, 3, 6

Summary

Scientific research of the sources of Strabo's 'Geography' was started in XIX century (K. Neumann, K.Arnold, G. Diubua). In the beginning of XX century E. Honigman, M. Rostovtsov and other scholars expressed interesting views about the sources of the above mentioned geography, but they were not interested in the sources of XI, 3, 6.

This paragraph was only referred to by the scientists studying the history of Old Kartli (Iberia). There are several approaches in the scientific literature about the origin of the source of Strabo's 'Geography' XI, 3, 6. They are the following:

1. The data provided in the paragraph belongs to Strabo himself; therefore, it is dated to 1st century B.C - 1st century A.D. (Iv. Javakhishvili, S. Janashia, A. Novoseltsev).
2. The source of 'Geography' is the 'History' by Posidonius' and it is dated back to 40-30s of II century B.C. (A. Boltunova).
3. Source of Strabo's 'Geography' XI, 3, 6 comes from Patroclus and are dated to III 80-70s of III century B.C (Ot. Lortkipanidze).
4. The source of the paragraph from 'Geography" that is interesting to us, undoubtedly existed. It is much older than the composition of 'Geography'. However, due to the lack of information that came to us, it is impossible to identify the author of the source. (N.Berdzenishvili, T.Kaukhchishvili).

The special study of the source of Strabo's 'Geography' XI, 3, 6 proved that the most acceptable and real is the last viewpoint cited above.

ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 1, 1983

შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ყოველი ცნობის კრიტიკულ შესწავლას, მისთვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებას ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამა თუ იმ საკითხის სწორად გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ წინა თაობის ქართველი მეცნიერნი ვალში არ დარჩენილან, მაგრამ ასეთი ხასიათის ძიებანი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტია არამარტო ახალი წყაროების გამოვლენა და მათი მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა, არამედ უკვე არსებული ცნობების ხელახალი, საგულდაგულო კვლევა და ახლებურად გააზრება (Шмидт, 43-44). სწორედ ამგვარ მიდგომას საჭიროებს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი, რომლის ავტორად (თუ რედაქტორად) ლეონტი მროველია მიჩნეული. მასში მოთავსებული თითოეული ცნობის სანდოობის ჩვენება, ვფიქრობთ, თანდათანობით გააქარვებს იმ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, რომელსაც დღემდე იჩენენ ქართველი ისტორიკოსნი „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის მიმართ.

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ „მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა. და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ “ (ქართლის ცხოვრება, 26). ქართლის მეფე საურმაგს იცნობს მეორე ქართული ნარატიული წყაროც, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 82). ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრება“ ქართლის პირველ მეფედ ფარნავაზს მიიჩნევს, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ - აზონს (აქედან გამომდინარე, პირველში საურმაგი რიგით მეორე მეფეა, მეორეში კი -მესამე), ცალკე საკვლევი

პრობლემაა. ამჯერად საინტერესო ისაა, რომ ორივე ქართული წყარო ასახელებს ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პირველ მეფეს - საურმაგს, რომლის ხელმწიფობაშიც, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო პოლიტიკურ მოვლენას ჰქონია ადგილი.

გამეფდა თუ არა საურმაგი, „მას ჟამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ. განამტკიცეს განზრახვა და მოკვლა საურმაგისა " (ქართლის ცხოვრება, 26) -წერს მემატიანე.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას მოვლენათა შემდგომი განვითარების აღწერა მოსდევს. საურმაგი დედითურთ დურძუკეთს გაიქცა, სადაც ბიძების დახმარებით დიდძალი ლაშქარი შეკრიბა. ქართლის ლტოლვილი მეფისათვის ხელი გაუმართავს „ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა“ (ქართლის ცხოვრება, 27). საურმაგი მთიელთა მრავალრიცხოვანი მხედრობით ქართლში დაბრუნდა. მეფემ განდგომილ ერისთავთა ნაწილი გაწყვიტა, ნაწილი დაინდო, ერთგულები კი „წარჩინებულ ყვნა... და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ“ (ქართლის ცხოვრება, 27). ამის შემდეგ მას მორჭმით კიდევ მრავალი წელი უმეფია. ასეთია მოკლედ „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობი. საინტერესოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს ამბობს მომხდარი ამბის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ თხზულების ავტორი სხვა დიდ მიზანს, ქართლის გაქრისტიანების ისტორიის გადმოცემას, ისახავდა და მირიანამდელი ქართლის მეფეთა ცხოვრების წვრილად აღწერა მისი ინტერესის სფეროში არც შედიოდა. ამდენად, მეფე საურმაგის წინააღმდეგ ქართლის ერისთავთა გამოსვლას მხოლოდ და მხოლოდ ერთი წყარო - „ქართლის ცხოვრება“ - გვამცნობს. მოგვიანებით, ვახუშტი

ბაგრატიონმა იგი თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა (ვახუშტი, 58).

ახლა ვნახოთ, რა ასახვა ჰპოვა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულმა ამ ცნობამ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ წყაროს ეს, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო მონათხრობი მთლიანად უგულვებელყოფილია ისტორიოგრაფიაში. ის მეცნიერნი, რომლებიც უკრიტიკოდ ეკიდებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, პირდაპირ იმეორებდნენ მას, მეორენი უნდობლობას უცხადებდნენ, მესამე ნაწილი კი საერთოდ არ ამჩნევს ქართლის მეფესა და ერისთავთა შორის წარმოებულ ბრძოლას.

მ. ბროსე იძლევა საურმაგის მეფობის თარიღს (237-162 წწ.) და შემდეგ მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ ზემომოტანილ ცნობას იმეორებს (Brosset, 43-44).

დ. ბაქრაძეც ახსენებს მეფე საურმაგს, მ. ბროსეს მსგავსად განსაზღვრავს მისი ზეობის წლებს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ საურმაგმა დურძუკთა ჭარბი მოსახლეობა მთიანეთში, დიდოეთიდან სვანეთამდე, ჩაასახლა და კერპები „აინანა და დანანა“ აღმართა (ბაქრაძე, 89). რა თქმა უნდა, დ. ბაქრაძე ზუსტად მიჰყვება „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ფაქტს რატომღაც გვერდს უვლის.

თითქმის ერთნაირი ვითარება გვხვდება ალ. ჭყონიასა და მ. ჯანაშვილის ნაშრომებში. ავტორები საურმაგის მეფობის ერთნაირ (ბროსესეულ) თარიღს იძლევიან და ქართლის ერისთავთა მეფისაგან განდგომის ამბავსაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გადმოგვცემენ (ჭყონია, 188; ჯანაშვილი,1894, 12; ჯანაშვილი, 1906, 97-98).

მათგან განსხვავდება ს. გორგაძის „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი დამოკიდებულება. მეცნიერი მეფე საურმაგთან დაკავშირებულ ამბებში საერთოდ არ იზიარებს ქართული წყაროს მონაცემებს. ს. გორგაძე იძლევა ამ მეფის

ზეობის განსხვავებულ თარიღს (დაახლ. 206-162წწ.) და წერს, რომ სწორედ საურმაგის ხელმწიფობაში ასურასტანის მეფის ანტიოქოს დიდის ორმა სარდალმა არტაშესმა და ზარიადრმა ძვ. წ. 189 წლის მახლობლად სომხეთს დამოუკიდებლობა მოუპოვეს. მათი მცდელობით მეზობელმა სახელმწიფოებმა რამდენიმე პროვინცია დაკარგეს. ქართლისათვის ამ მეფეებს არაქსისა და ჭოროხის ხეობებში მდებარე მიწები ჩამოუჭრიათ (გორგაძე, 1910, 43; გორგაძე, 1915, 50).როგორც ვხედავთ, ქართლის მეფესა და მის ერისთავებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე არც აქაა რაიმე ნათქვამი.

ივ. ჯავახიშვილი ზედმეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილისადმი. „მისი (ლეონტი მროველის - ვ. ვ.) თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, ახლა თითქმის სრულებით გამოუსადეგარია“ (ჯავახიშვილი, 187) - წერდა იგი.

ამ აზრს იზიარებდა ს. ჯანაშიაც. ერთგან იგი შენიშნავს: „ჩვეულებრივად, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას იწყებენ რომაელთა შემოსვლით ამიერკავკასიაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ დროიდან მოყოლებული განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოს შესახებ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში“ (ჯანაშია, 173).

ნ. ბერძენიშვილი სპეციალურად არ დაინტერესებულა საქართველოს უძველესი ისტორიის საკითხებით და, ამდენად, არც „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ცნობაზე გამოუთქვამს თავისი აზრი.

უკანასკნელი ოთხი-სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოს უძველესი წარსულის ამსახველი ორიგინალური ნარატიული წყაროებისადმი რამდენადმე სასიკეთოდ შეიცვალა და შედარებით ობიექტური გახდა. ამას დიდად შეუწყო ხელი არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაფართოებამ და უცხოენოვან წყაროთა სამეცნიერო მიმოქცევაში ინტენ-

სიურად შემოტანამ. სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ყოველმხრივმა წყაროთმცოდნეობითმა შესწავლამ, მასში დაცული ცალკეული ცნობების ანალიზმა. მეცნიერნი ამა თუ იმ ცნობის კრიტიკულად განხილვისას, მაშინაც კი, როცა საკონტროლო მასალა არ მოიპოვება, ცდილობენ გაითვალისწინონ კონკრეტული ისტორიული ვითარება და ლოგიკური მსჯელობით სათანადო ადგილი მიუჩინონ წყაროში დაცულ რეალიებს.

ამ დიდი სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, ჩვენ მიერ ზემომოტანილი ცნობა, რომელიც საურმაგ მეფისაგან ქართლის ერისთავთა განდგომაზე მოგვითხრობს, არც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აისახა. მხოლოდ ქართლის პირველი მეფეების კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ ტომებთან დამოკიდებულების განხილვისას გვხვდება ასეთი შენიშვნა: „საურმაგი დურძუკთა დახმარებით იბრუნებს ტახტს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 462). ის კი, თუ რა ვითარებაში მოხდა საურმაგ მეფის დროებით ტახტიდან ჩამოგდება, არც იხსენიება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობის შესამოწმებლად სხვა მასალა არ მოგვეპოვება, ჩვენი აზრით, ისტორიულად არსებული პროცესების გათვალისწინებით და ლოგიკური მსჯელობის გზით, მაინც შეიძლება მის ავკარგიანობაზე ლაპარაკი. ამისათვის კი იმ ფაქტებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ერთიანი ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისას.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბება ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე მომხდარ იმ დიდ ძვრებს რომ ემთხვევა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა სპარსეთის განადგურებას, შემდეგ კი თვით მისი იმპერიის დაშლას მოჰყვა, კარგა ხანია სადავო არ არის (Болтунова, 43; Меликишвили, 266-283; Ломоури, 481-494; ლორთქიფანიძე, 12; მამულია, 162). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე

ამას წინ უსწრებდა ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომების მრავალსაუკუნოვანი ეთნო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ძვ. წ. VII-VI სს.-ში გვაროვნული საზოგადოების წიაღში აღმოცენდნენ თვისობრივად სრულიად ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები. ძვ. წ. VI-IV სს-ით დათარიღებული ახალგორის, ყანჩაეთისა და წინწყაროს მდიდრული სამარხები იმის მოწმობაა, რომ აქ დაკრძალულთა სახით საქმე გვაქვს არამარტო ქონებრივად დაწინაურებულ, არამედ სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგარ პირებთან. ეს ძეგლები, წერს ოთ. ლორთქიფანიძე, „სრულიად გარკვევით მითითებენ, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს სრულიად აშკარად გამოხატული კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ერთეულები“ (ლორთქიფანიძე, 17). ასეთ ერთეულებს „ხევები“ წარმოადგენენ (მუსხელიშვილი, 40-43).

ქართლის სამეფო სწორედ ზემოდასახელებულ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ურთიერთბრძოლის შედეგად წარმოიქმნა. ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სხვადასხვა გაერთიანებებს შორის პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ამტყდარი ჭიდილი ნათლად აისახა „ქართლის ცხოვრებაში“. „იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსავე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანეთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშუდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან “ (ქართლის ცხოვრება, 10) - წერს მემატიანე.

როგორც ვხედავთ, ქართლში პირველობისათვის ბრძოლა ხანგრძლივი პროცესი იყო. შეტაკებისას სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულები მოკავშირეებს იძენდნენ, დამარცხებულს გამარჯვებულნი იერთებდნენ და იქმნებოდა კიდევ უფრო დიდი გაერთიანებები. საბოლოოდ, ერთიანი

ქართლის სამეფოს შექმნა ორი დიდი პოლიტიკური ერთეულის შერწყმით მოხდა. „ქართლის ცხოვრება“ ვრცლად მოგვითხრობს ფარნავაზისა და აზონის ბრძოლაზე. იმარჯვა პირველმა. ფარნავაზის ლაშქარმა მტრის ბანაკი აოტა, აზონი კი ბრძოლაში მოკლეს. მცხეთას შემობრუნებულმა ფარნავაზმა ქვეყანა შემოიმტკიცა და დიდი რეფორმები გაატარა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზმა სამეფოს ტერიტორია საერისთაოებად დაჰყო. საერისთაო ქვეყნებზე დაკვირვებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ისინი „იგივე ქართლოს-მცხეთოსის (და ეგროსის) ძეთა სამამასახლისო ქვეყნებია... აშკარაა, ფარნავაზი ამ თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით, ძველიდანვე არსებული ქვეყნების, ე.ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების, მონათესავე ტომების... პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის“ (ბერძენიშვილი, 152-153). ოთ. ლორთქიფანიძის აზრითაც, ქვეყნის საერისთაოებად დაყოფა არსებითად შექმნილი ვითარების ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების აღიარება იყო (ლორთქიფანიძე, 15).

მკვლევართა ეს შეხედულებები ნაწილობრივ არქეოლოგიური გათხრების შედეგებითაც მტკიცდება. უფლისციხის მიდამოებში, დაბა ბამბებში ძვ. წ. III-II სს.-ის სამარხში აღმოჩენილ იქნა თიხის საბეჭდავი, რომელსაც ოფიციალური ბეჭდის ფორმა აქვს. დ. ხახუტაიშვილის აზრით, მისი პატრონი რიგითი პირი არ უნდა ყოფილიყო. „ოფიციალური საბეჭდავის ქონება, - წერს დ. ხახუტაიშვილი, - ამ დროისათვის, როგორც ჩანს, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ დაბის განმგებელი ფორმალურადაა თემის მიერ არჩეული უხუცესი, ხოლო ფაქტობრივად იგი სამეფო მოხელეა, მამასახლისია... სამეფო ხელისუფლება არა მარტო ამ დროს, არამედ უფრო გვიანაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინასახელმწიფოებრიობის ხანიდან შემორჩენილ ტრადიციებს“ (ხახუტაიშვილი, 32).

ამრიგად, ჩვენი აზრით, ნათელია, რომ ფარნავაზის ერისთავები ერთიანი ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე არსებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების უფლები იყვნენ. ყველა ამ ერთეულის გაერთიანების შემდეგ, რასაც წარმართულ ღვთაებათა კერპების გვერდიგვერდ აღმართვაც მოწმობს, ფარნავაზმა ყოფილი დამოუკიდებელი ხელისუფალნი თავის მოხელეებად-ერისთავებად - აქცია, რითაც სწორედ მათ მეფისადმი ქვეშევრდომობას გაუსვა ხაზი.

სახელმწიფოებრიობის ხანამდე ქართლის ერისთავთა სრულ დამოუკიდებლობას მათივე სიტყვები ცხადყოფენ: „ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ“. ამიტომ ვფიქრობთ, ერისთავთა განდგომა საურმაგ მეფისაგან და მათი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა სრულიად ბუნებრივი მოვლენა ჩანს. „ქართლის ცხოვრების“ ჩვენ მიერ ზემომოტანილ ცნობაც სწორედ ამას გვამცნობს. ისტორიაში, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის ისტორიაშიც, არაერთი მაგალი გვაქვს, როდესაც ამა თუ იმ ძლიერი მეფის მიერ შევიწროებული წარჩინებულნი მისი გარდაცვალებისთანავე წამოჰყოფდნენ თავს და ცდილობდნენ შელახული პატივისა და დიდების აღდგენას.

ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ის ცნობა, რომელიც ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე სახელმწიფოში დატრიალებულ შინაპოლიტიკურ ბრძოლას გვიხატავს, სრულიად სანდოა და მან სათანადო ადგილი უნდა დაიმკვიდროს სამეცნიერო ლიტერატურაში. ქართველ ისტორიკოსებს ქვეყნის უძველესი წარსულის აღსადგენად არც თუ ისე მრავალრიცხოვანი წყაროები გვაქვს ხელთ, რომ ამგვარ საინტერესო ცნობაზე უარი ვთქვათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოსი, უძველესი დროიდან X ს.-ის დასასრულამდე. ტფილისი, 1889.

2. ბერძენიშვილი ნ. საერისთაო ქვეყნების ცვლა. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.

3. გორგაძე ს. საქართველოს ისტორია, მოკლე სისტემატური კურსი მოზრდილთათვის, I, თბ., 1910.

4. გორგაძე ს. საქართველოს ისტორია, მოკლე სისტემატური კურსი, ქუთაისი, 1915.

5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა., ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

6. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968.

7. მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ., 1979.

8. მოქცევაჲ ქართლისაჲ - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1963.

9. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977.

10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბ., 1955.

12. ჭყონია ალ. ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის (უძველესი დროდან ბაგრატიონთ გამეფებამდე), ტფილისი, 1890.

13. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, II. თბ., 1970.

14. ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, თორმეტ ტომად, VIII. თბ., 1977.

15. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია. თბ., 1894.

16. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია, 1, უძველეს დროითგან 985წლ. ქრ. შ. ტფილისი, 1906.

17. ჯანაშია ს. უძველესი პოლიტიკური ისტორია, შრომები, I, თბ., 1949.

18. Brosset M. Histoire de la Georgie, I, StP. 1849.

19. Болтунова А.И. Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, - ВДИ, 1956.

20. Ломоури Н. Ю. Возникновение древнеиберийского (Картлийского) государства, - Проблемы античной культуры, Тб., 1975.

21. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, - Тб.,1959.

22. Шмидт С.О. Современные проблемы источниковедения. В кн. Источниковедение, теоретические и методологические проблемы, М., 1969.

ვ. ვაშაკიძე

შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა, რომელიც ქართლის მეფის, საურმაგის, წინააღმდეგ ერისთავთა მიერ მოწყობილ შეთქმულებას ეხება.

მოვლენების ლოგიკური ანალიზით და იმ ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, რომელიც წინ უსწრებდა ერთიანი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებას, მოცემულია დასკვნა, რომ ცნობა იმდროინდელ ქართლის სამეფოში შინაპოლიტიკური დაპირისპირების შესახებ სინამდვილეს შეესაბამება და მან სათანადო ადგილი უნდა ჰპოვოს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

В. В. Вашакидзе

ИЗ ИСТОРИИ ВНУТРИПОЛИТИЧЕСКОЙ БОРЬБЫ НА НАЧАЛЬНОМ ЭТАПЕ СТАНОВЛЕНИЯ КАРТЛИЙСКОГО ЦАРСТВА

Резюме

В статье дана попытка всестороннего источниковедческого изучния одного сведения из „Картлис цховреба", где сообщается об отступлений картлийских эриставов от царя Саурмага. Логический анализ событии с учетом исторического процесса становления Картлийского государства подверждает правдивость указанного сведеня.

V. Vashakidze

From the History of the Inner Political Fights at the Early Stage of Establishment of Kartli Kingdom

Summary

The work discusses one source from 'Kartlis Tskhovreba' (The life of Kartli) that deals with the plot against Kartli king Saurmag arranged by the Eristavs (dukes).

Through logical analysis of the events, taking into the consideration those historical processes that preceeded the establishment of unified Kartli Kingdom, the following conclusion is drawn: The data about the inner political controversy in Kartli Kingdom is true and it must be adequately reflected in Georgian Historiography.

ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 3, 1985

„ქართლის ცხოვრების“ სიმფონია - ლექსიკონი, I; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა; არჩილის წამება, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1986წ. რეცენზია

ძველქართულ საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ ეროვნული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება. ამის გამო ნ. ბერძენიშვილი მოსწრებულად შენიშნავდა: „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. ბუნებრივია, ამ „წმინდა“ წიგნებს ქართველოლოგ მეცნიერთა ყურადღება არასოდეს მოჰკლებია. სხვადასხვა თაობის სწავლულთა მრავალწლიანმა შრომამ ზემოაღნიშნული თხზულებების სიმფონია-ლექსიკონების შედგენის მტკიცე ნიადაგი შექმნა. ამიტომაცაა, რომ უკვე ჩვენს ხელთაა ივ. იმნაიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (თბ., 1948-1949 წწ.); აკ. შანიძის ხელმძღვანელობით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (თბ., 1956 წ.); ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, „ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“ (თბ., 1973 წ.). ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილების სიმფონია-ლექსიკონის გამოცემას, რომელმაც დღევანდელობის პოზიციიდან უნდა ასახოს „ქართლის ცხოვრების“ მრავალმხრივ კვლევაში მოპოვებული ყველა წარმატება.

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრება“ „ჟამითი ჟამად“ იწერებოდა და იგი სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილ ნაწარმოებთა კრებულია. აღნიშნული სიმფონია-ლექსიკონის პირველი ტომი (შემდგენელი: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია. რედაქტორი ზ. სარჯველაძე) „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილისათვის შედგენილ სიმფონია-ლექსიკონს წარმოადგენს. ეს მონაკვეთი, როგორც დღესაა მიღებული, XI ს.-ის ქართველ მემატიანეს ლეონტი მროველს მიეწერება და ორ თხზულებას მოიცავს. ესენია: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „არჩილის წამება“. თუ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შექმნის ისტორიას გავითვალისწინებთ, სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელთა მიერ შემუშავებული პრინციპი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ავტორთა ტექსტების სიმფონია-ლექსიკონები ცალ-ცალკე უნდა შედგეს, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი და ამთავითვე გასაზიარებელია. ამგვარად შექმნილი სიმფონია-ლექსიკონები გააადავილებს „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ცალკეულ თხზულებათა ენის ლექსიკური ფონდის კვლევას, რაც, ვფიქრობთ, მათი ავტორთა ვინაობის საკითხს სრულიად ახლებურად წარმოაჩენს.

„ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონში (I) აღნუსხულია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „არჩილის წამებაში“ დაცული ყველა სიტყვა როგორც სრულმნიშვნელოვანი (სახელები, ზმნები, ზმნიზედები), ასევე დამხმარე (კავშირებული, თანდებულები, ნაწილაკები). თითოეულ მათგანთან მოტანილია მათი შემცველი კონტექსტები გვერდებისა და სტრიქონების მითითებით, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ I ტომს (თბ., 1955 წ.) ემყარება. იქვე სიტყვას მიწერილი აქვს ძირი, რომელიც ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამოყოფილი.

სიმფონია-ლექსიკონში სიტყვათა უმეტესი ნაწილი განმარტებულია, ცალკეა მოცემული ანთროპონიმები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ეთნიკური და წარმომავლობის სახელები. ნაშრომს დართული აქვს ძირთა ინდექსი, სადაც მითითებულია მოცემულ ტექსტში არსებული მისგან ნაწარმოები ყველა ფორმა. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ მას დამოუკიდებელი ენათმეცნიერული მნიშვნელობა აქვს, ზემოჩამოთვლილთან ერთად კიდევ უფრო აადვილებს ამა თუ იმ საინტერესო ფორმის დაძებნას და, ამდენად, საერთოდ სიმფონია-ლესიკონზე მუშაობას. ეს ლექსიკონისათვის უპირველესი მოთხოვნაა და ვფიქრობთ, ამ გამოცემის მაღალ მეცნიერულ დონეზე მიუთითებს.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროთა რიგს განეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, ისტორიკოს - წყაროთმცოდნისათვის უპირველესი საზრუნავია ტექსტის კრიტიკული დადგენა. ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძეგლის ბევრი ადგილი გასწორდა, ბევრი მართებული წაკითხვა შევიდა მეცნიერულ მიმოქცევაში, მაგრამ ამ ხაზით მუშაობა დღესაც აქტუალურია. ამის მრავალ მიზეზთა შორის ისიცაა, რომ, „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის შემდეგ, ისტ. მეცნ. კანდ. აკ. კლიმიაშვილმა მიაკვლია კრებულის ძველი რედაქციის კიდევ ერთ ხელნაწერს. იგი 1697 წელსაა გადაწერილი, კარგად არის შემონახული (ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q-1219) და, ხშირ შემთხვევაში, სხვა ნუსხების წაკითხვას ასწორებს. დასახელებული ხელნაწერი ჯერჯერობით გამოუცემელია და ამიტომაც სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელთა მიერ მისი ზოგიერთი კითხვა-სახვაობის გათვალისწინება კიდევ უფრო მისასალმებელია.

როგორც უკვე ითქვა, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შერყვნილი ადგილების გამართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ სიმფონია-ლექსიკონის შემდგენლებს დიდი შრომა გაუწევიათ. ნაშრომის შესავლის მეორე თავი - „ტექსტთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის“ - სწორედ აღნიშნულ პრობლემას ეხება. ამის საჩვენებლად, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა აქ ჩატარებული კვლევა, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

1. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხჳ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი. . . “ (ქ. ც. 3, 11-4,2).

გამოდის, თითქოს თარგამოსს მრავალცოლიანი ვაჟები ჰყოლია. სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელნი ამ კონტექსტს ასე ასწორებენ: „თარგამოსს... ესხნეს ცოლმრავალ, ძენი და ასულნი“ (გვ.12). აქედან კი აშკარაა, რომ მრავალი ცოლი თურმე თარგამოსს „ესხნეს“ და არა მის ვაჟიშვილებს. თუ რაოდენ თვალშისაცემია განსხვავება ზემომოტანილ ორ ფრაზას შორის, კომენტარს არ საჭიროებს.

2. სიმფონია-ლექსიკონში სასვენი ნიშნების სწორად დასმით „ქართლის ცხოვრების“ რიგი პასაჟის გაგება გაადვილებულია. „მეფეთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა“ (ქ. ც., 13, 7-8). უნდა იყოს: „და მოსრა ყოველი, რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა“ (სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 15).

3. ზოგიერთი ფორმა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება, ძველი ქართული ენის ნორმებისათვის მიუღებელია, რის გამოც, მათ ნაცვლად, სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელნი, სავსებით მართებულად, სწორ ფორმებს გვთავაზობენ.

„მეფეთა ცხოვრებაშია“: „რომელთა ქცევისა წარმოთქმა უჴმ არს“ (ქ. ც., 17, 10-11). სიმფონია-ლექსიკონში ვკითხულობთ: „უჴმ ძველი და საშუალო ქართულისათვის უცნობი ფორმაა... უნდა გვქონოდა: უჴმარ არს“ (გვ.17).

4. სიმფონია-ლექსიკონის შექმნელთა შენიშვნების დიდი ნაწილი კომპოზიტების სწორად დაწერილობის საკითხს შეეხება (იხ. გვ. 22-27). უნდა ითქვას, რომ შენიშვნების უმეტესობა გასაზიარებელია და დიდ დახმარებას გაუწევს ძველი ქართული თხზულების მომავალ გამომცემლებს.

საერთოდ, „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონის (I) ის ნაწილი, რომელიც „მეფეთა ცხოვრებისა“ და „არჩილის წამების“ ტექსტების დაზუსტებას ეხება, დამოუკიდებელი მეცნიერული გამოკვლევის ტოლფასია. იგი დიდად შეუწყობს ხელს „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის შემდგომ ტექსტოლოგიურ შესწავლას.

სიმფონია-ლექსიკონის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა თუ სურვილი. ეს ეხება ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობის ახსნას. მაგ., სიტყვა „სეფექალს“ სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელნი ასე განმარტავენ: „სეფექალი - დიდგვაროვანი ქალი. მოვიდა სეფექალი ერთი, სახელით შროშანა“ (კონტექსტში ლაპარაკია ნანა დედოფლის მიერ წმინდა ნინოსთან გაგზავნილ ქალზე -ვ. ვ.). ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის აქ მოტანილი ფრაზიდან, რომელსაც სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელნი ეფუძნებიან „სეფექალის“ განმარტებისას, არ ჩანს შროშანას წარმომავლობა და მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ შროშანა სამეფო გვარის წარმომადგენლის, ამ შემთხვევაში ნანა დედოფლის, მსახური ქალია.

სიმფონია-ლექსიკონის შესავალში მისი შემდგენლები აღნიშნავენ, რომ სიტყვათა განმარტებაში მათ დიდი დახმარება გაუწია ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილმა ლექსიკონმა,

რომელიც ერთვის „ქართლის ცხოვრების“ I ტომს, აგრეთვე სულხან-საბასა და ი. აბულაძის ლექსიკონებმა (გვ.8). ამ უკანასკნელში ტერმინი „სეფექალი“ შემდეგნაირად, და, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, არის განმარტებული: „სეფექალი - სასახლის კარის მოსამსახურე ქალი“ (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 387). იქვე მოტანილია აღნიშნულის სამტკიცებელი მასალაც.

მართლაც, სიტყვასიტყვით „სეფექალი“ ის არის, ვინც სეფეს, სამეფო გვარის, სამეფო კარის კუთვნილებას წარმოადგენს და მას ემსახურება (შდრ. „სეფე-კაცი“)..„ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანში, იქ, სადაც ლაპარაკია შროშანაზე, ვკითხულობთ: „ხოლო ფერისცვალების დიდ დღეს, როცა უფალმა მამის ხატი უჩვენა მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს, მოვიდა ჩემთან სამეფო კარის ერთი მხევალი, სახელით შუშანი“ (ი. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველსომხური თარგმანი, თბ., 1953, გვ. 86). შევნიშნავთ, რომ შუშანი ქართული შროშანის სომხური შესატყვისია. რაც შეეხება ტერმინ „სეფექალს“, მას ძველსომხური աղախին (აღახინ) შეესაბამება.

„აღახინი“ ძვ. სომხურში შემდეგი მნიშვნელობით იხმარება:

1. ფულით ნაყიდი, ან ომში დატყვევებული ქალი, რომელიც მფლობელის სრული ბატონობის ქვეშაა; მონა ქალი;
2. უაზნო ფენის წარმომადგენელი ქალი, რომელიც მფლობელს ემსახურება;
3. აზატი ქალი, რომელიც ვინმეს ემსახურება გარკვეული ანაზღაურებით (სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი. სტ. მალხასიანცის შედგენილი, ტ. I, ერევანი, 1944, გვ. 37).

დასახელებული ტერმინის იგივე განმარტება მოეპოვება ა. ხუდაბაშიანსაც (ძვ. სომხურ-რუსული ლექსიკონი)*.

როგორც ვხედავთ, „სეფექალის“ ტოლფასი ძვ. სომხური ტერმინი „აღახინი“ ზუსტად გადმოსცემს ქართული სიტყვის მნიშვნელობას. ამასვე ადასტურებს სხვა ქართული წყაროც. ბექა-აღბუღას სამართლის 24-ე მუხლი გვამცნობს: „თუ კაცმან კაცს სეფექალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოს“ (სამართალი ბექასი და აღბუღასი, ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 433). აქედან სრულიად აშკარაა, რომ „სეფექალი“ მსახური ქალია, მოახლეა. ზემოდასახელებული სამართლის 72-ე და 73-ე მუხლებიც მსგავსი დასკვნის საშუალებას იძლევა.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა ამტკიცებს, რომ „სეფექალის“ სიმფონია-ლექსიკონისეული განმარტება დაზუსტებას მოითხოვს. ეს სიტყვა აქ ისე უნდა იყოს ახსნილი, როგორცი ი. აბულაძის ძველი „ქართული ენის ლექსიკონშია“, ანუ „სეფექალი - სასახლის კარის მოსამსახურე ქალი“.

„ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონის“ (I) მიმართ ჩვენ მიერ გამოთქმული ეს შენიშვნა, როგორც ზოგიერთი სხვა წვრილმანი უზუსტობა, რომელთა შესახებაც სიტყვის გაგრძელება არ ღირს, სრულებითაც ვერ დაამცროს სომფონია-ლექსიკონის დიდ მეცნიერულ ღირებულებას. მის შემდგენელთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომი სამაგიდო წიგნი იქნება ყველა ქართველოლოგი მკვლევარისათვის, ვინც თავისი მეცნიერული ძიებით დაკავშირებულია ქართული საისტორიო მწერლობის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლთან.

---

* დასახელებულ ლექსიკონთაგან მასალა მომაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლიანა დავლიანიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ვ. ვაშაკიძე

„ქართლის ცხოვრების“ სიმფონია - ლექსიკონი, I; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა; არჩილის წამება, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1986წ.

რეზიუმე

ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია - ლექსიკონის“ პირველ ტომზე, რომელიც ორ თხზულებას - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „არჩილის წამება“ - მოიცავს. აღნიშნულია, რომ „სიმფონია - ლექსიკონი“ მაღალმეცნიერულ დონეზეა შედგენილი და მას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ზემოხსენებული ნაწარმოებების მრავალმხრივი კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

V. V. Vashakidze

Симфония – словарь «Картлис цховреба»– I; Леонти Мровели, Житие Картлийских царей; Мученичество Арчила, Тб., изд. «Наука», 1986 г.

Резюме

Работа представляет рецензию на первый том словаря – симфонии «Картлис цховреба» («История Грузии»), включающий два сочинения – «Житие Картлийских царей» и «Мученичество Арчила». Отмечается, что «Симфония-словарь» составлен на высоконаучном уровне и имеет большое значение для разностороннего исследования вышеупомянутых произведений, входящих в состав «Картлис цховреба».

V. Vashakidze

'Kartlis Tskhovreba' (The Life of Kartli) Symphony-Dictionary,Volume I; Leonti Mroveli , The Life of Georgian Kings; Archil's Martyrdom, Tbilisi, Publishing house "Metsniereba', 1986

Summary

The work is the review on the 1st Volume of "Kartlis Tskhovreba' (The Life of Kartli) Symphony - Dictionary, that consists of two essays: 1. 'The Life of Georgian Kings'; 2. Archil's Martyrdom'. In the work it is mentioned that "Symphony-Dictionary' is made at a high level from scientific point of view and it has great significance for multilateral research of the above mentioned essays included in 'Kartlis Tskhoveba' (The Life of Kartli).

ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 3, 1986

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის

იმ წყაროთა შორის, რომლებიც ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესასწავლად გვაქვს ხელთ, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. თითქმის ერთნახევარი საუკუნეა, რაც მეცნიერნი გულისყურით იკვლევენ „გეოგრაფიის“ ზემოაღნიშნულ პარაგრაფს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა (ყაუხჩიშვილი, 1976, 136-158; ვამაკიძე, 145-154). ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი მაინც ისაა, რომ „XI, 3,6-ის გაგებისას... ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა სპეციალისტი სხვადასხვა შინაარსს სდებს“ (ყაუხჩიშვილი,1957, 25).

მართლაც, სტრაბონის (და საერთოდ ანტიკური ხანის მწერლების) ცნობების გამოყენებისას, ფრიად ყურადსაღებია ის, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს ავტორი ამა თუ იმ ტერმინს. ხშირად სტრაბონთან ერთი და იგივე ტერმინი ერთი ქვეყნის აღწერის შემთხვევაშიც კი არ იხმარება ერთნაირი მნიშვნელობით. მაგ., სიტყვა „ὁ βασιλεύς“ (მეფე, ხელისუფალი. .) ალბანეთის აღწერისას (XI, 4 ,6). გარდა ამისა, ტერმინოლოგია, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურიც, იცვლის თავის მნიშვნელობას და ძალიან სწრაფადაც (Новосельцев, 15). გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხოელ ავტორთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური ვითარების დახასიათებისას, ზოგიერთი ტერმინი, შესაძლოა, ზუსტად არ გადმოსცემდეს ადგილობრივი ინსტიტუტის რეალურ შინაარს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI,

3,6-ის კვლევა ამ პარაგრაფში დაცული ტერმინების შესწავლას უნდა ეყრდნობოდეს.

ამ სახის სამუშაოს უდიდესი ნაწილი შესრულებულია. სტრაბონის „გეოგრაფიაში" საქართველოს შესახებ დაცული ცნობების შესწავლისას, თ. ყაუხჩიშვილმა ვრცელი ადგილი დაუთმო ბერძენი გეოგრაფოსის ტერმინოლოგიის კვლევას და მრავალი საყურადღებო დასკვნა გააკეთა (ყაუხჩიშვილი, 1957, 25-62). მაგრამ საკითხის ყოველმხრივ გაშუქებაში მეცნიერს რიგმა ფაქტორმა შეუშალა ხელი. ჯერ ერთი, აღნიშნული მონოგრაფიის შემდეგ გახდა ჩვენთვის ხელმისაწვდომი „გეოგრაფიის" უძველესი ხელნაწერი (პალიმფსესტი V-VI სს.); მეორეც, რომ თხზულების ყველაზე პოპულარულ გამოცემებში (გ. კრამერის, კ. მიულერ-დიუბნერის, ა. მაინეკეს, ჰ. ჯონზის) XI, 3,6-ის ტექსტი ერთმანეთს ემთხვევა. არადა „გეოგრაფიის" შესწავლისას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებას, რადგან ის, რაც უცხოელ სპეციალისტთა თვალთახედვის მიღმა დარჩა, შესაძლოა, ჩვენთვის ფრიად საგულისხმო აღმოჩნდეს.

დღესდღეობით სტრაბონის „გეოგრაფიის" ყოველმხრივ კრიტიკული გამოცემა არ გაგვაჩნია. შესაძლოა, თხზულების ყველა ნუსხის (ასეთი კი 30-მდე ხელნაწერი და ეპიტომეა, რომლებიც X-XV სს. განეკუთვნებიან) და პალიმფსესტის (V-VI სს.) წაკითხვები გათვალისწინებული იყოს „გეოგრაფიის" უკანასკნელ გამოცემებში (Belles Letres-ის სერიაში Germaine Aujac-ისა და Francois Lasserre-ს რედაქციით; W. Aly-სა და F. Sbordone-ს გამოცემები), მაგრამ, როგორც ჩანს, მათი გამოქვეყნება არ დასრულებულა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ჯერ ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. დაბეჯითებით მხოლოდ ის ვიცით, რომ დაიწყო მათი გამოცემა (Bengston, 200) და 1972 წლისთვის მარტო პირველი 6 წიგნი იყო გამოქვეყნებული.

მიუხედავად იმისა, რომ „გეოგრაფიის“ყველა ხელნაწერის თუ გამოცემის გათვალისწინება გაძნელებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად გამოყენებულ ზოგიერთ ძველ გამოცემაში დაცული კითხვასხვაობათა საფუძველზე მაინც შესაძლებელი ხდება თხზულების XI, 3,6-ში ხმარებულ ამა თუ იმ ტერმინზე დამატებით მსჯელობა.

ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ზემოაღნიშნულ პარაგრაფში დაცულ ერთ-ერთ ტერმინზე - „ὁ λαὸς“. მისი ეტიმოლოგია უცნობია. ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძირითადად აღნიშნავს ხალხს, მეომრებს, მოსახლეობას და სხვა. გავიხსენოთ, რა კონტექსტში გვხვდება ეს ტერმინი „გეოგრაფიის“ დასახელებულ პარაგრაფში. სტრაბონი იბერიის საზოგადოების პირველი სამი გენოსის აღწერის შემდეგ ამბობს: „მეოთხე [გვარი] არის ხალხისა (τῶν λαῶν), რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის არის საჭირო“. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ გ. კრამერის, კ. მიულერ-დიუბნერის, ა. მაინეკეს, ჰ. ჯონზის გამოცემებში ყველგან გვაქვს „τῶν λαῶν“, მაგრამ ა. კორაისის მიერ გამოცემულ „გეოგრაფიაში“ ამ ადგილას გვხვდება სრულიად სხვა ტერმინი - „τῶν λοιπῶν“ (Στραβὸνος Γεωγραφικῶν, 315).

თუ ამ მეორე სიტყვას ზემომოტანილ წინადადებაში ამ მეორე სიტყვას ჩავსვამთ, ეს უკანასკნელი ასეთ სახეს მიიღებს: „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენებისა (τῶν λοιπῶν), რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო...“. ამ „დანარჩენებში“ კი უნდა ვიგულისხმოთ ქართლის სამეფოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნებოდა პირველ, მეორე და მესამე გენოსებს.

ახლა ვნახოთ, ამ ორი ტერმინიდან (τῶν λαῶν, τῶν λοιπῶν) რომელი უფრო მისაღებია ჩვენთვის და რატომ.

უნდა შევნიშნოთ, რომ სტრაბონის ტერმინოლოგიის შესწავლისას თ. ყაუხჩიშვილი „λαὸς“-ის შესახებ წერს: „უნდა ითქვას, რომ საერთო ტერმინი „ხალხი“ ნიშნავს საზოგადოებას, სიმრავლეს, რაც თავისთავად ჭრელი შემადგენლობის შეიძლება იყოს. წარჩინებულ საზოგადოებას, მხოლოდ რჩეულთ, ამ სიტყვით არ აღნიშნავენ, მაგრამ სტრაბონს არ ეტყობა, რომ სიტყვა „λαὸς“ ჰქონდეს მანცდამაინც დაბალი საზოგადოებისათვის“ (ყაუხჩიშვილი, 1957, 50). თვით „გეოგრაფიაში“ ამ ტერმინის კვლევისა და მრავალი მაგალითის მოხმობის შედეგად თ. ყაუხჩიშვილი ასკვნის, რომ ჩვენთვის საინტერესო სიტყვას სტრაბონი თავის თხზულებაში ხმარობს მხოლოდ ორი მნიშვნელობით: 1. „ჯარი“; 2. „ახალმოშენე“(ყაუხჩიშვილი, 1957, 49).

ახლა კი უნდა გავიხსენოთ „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ იბერიის სამეფოს საზოგადოების პირველი გენოსი არის მეფეთა, მეორე - ქურუმთა, მესამე კი - მეომართა და მიწისმოქმედთა. მაშ როგორ უნდა ავხსნათ, რომ ტერმინით „λαὸς“, რომელიც სტრაბონთან ქართულ „ჯარსა“ და „ახალმოშენეს“ შეესატყვისება, იწოდება იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსი და არა მესამე? მიუხედავად იმისა, რომ თ. ყაუხჩიშვილისათვის „გეოგრაფიის“ ტექსტის შესაბამის ადგილას სიტყვა „λοιπῶν“-ის არსებობა უცნობი იყო, მან სამართლიანად ივარაუდა, რომ ტერმინი „λαὸς“-ით მესამე გენოსი უნდა ყოფილიყო აღნიშნული და არა მეოთხე (ყაუხჩიშვილი, 1957, 50).

ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მნიშვნელობით გადმოჰქონდათ ძველ ქართველ ავტორებს ნათარგმნ ძეგლებში ტერმინი „λαὸς“ ოთხთავის ქართული ტექსტის ბერძნულთან შეჯერებამ ცხადყო, რომ სიტყვა „λαὸς“ მდაბიო მოსახლეობას არასოდეს არ აღნიშნავს და მისი ქართული შესატყვისი არის „ერი“. მაგ., „ἐν τῷ λαῷ“// „ერსა შორის“ - მთ. 26,5; „οἱ πρεσβύτεροι τοῦ λαοῦ“// „მოხუცებულნი ერისანი“ - მთ. 21, 23; იხ. აგრეთვე: მთ. 26, 3; 26, 47; 26, 57; 26, 59; 27, 3; 27, 20; 27, 41;

28, 12; ან კიდევ: „οἱ πρῶτοι τοῦ λαοῦ“// „მთავარნი ერისანი“ - ლკ. 19, 47. „ὁ λαὸς“// „ერი“ - ლკ. 19,48; 20, 1; 22, 2; 22, 66; იე. 8, 2 და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ „ერს“ ბერძნულში შეესაბამება სხვა ტერმინებიც:

1) „ὄχλος“ // „ერი“ - მთ. 13, 2; 13, 36; 14, 5; 14, 14; 19, 2; მრკ. 5, 21; 5, 24; 6, 34; ლკ. 4, 42; 5, 1; იე. 6, 2 და სხვ.

2) „στρατιῶται“// „ერი“ - მთ. 22, 7; იე. 19, 2; 19, 32; 19, 34 და სხვ.

3) გვაქვს ისეთი შეთხვევაც, როცა ქართულ „ერს“ გადმოსცემს ბერძნული „πλῆθος“ - მრკ. 3, 7.

როგორც ვხედავთ, ბერძნული „λαὸς“, „ὄχλος“, „στρατιῶται“ (მისი ძირითადი მნიშვნელობაა „მოლაშქრენი“ - ვ. ვ.) და „πλῆθος“ თანაბრად გადმოსცემენ ქართული „ერის“ მნიშვნელობას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც ცნობილია, ტერმინი „ერი“ ძველ ქართულში აღნიშნავდა როგორც „ხალხს“, ისე - „ჯარს“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობა ელინისტური ხანის იბერიის სამეფოს მოსახლეობის სოციალური ყოფის შესახებ გვამცნობს, რომ ქართლის სახელმწიფოში მესამე გენოსს შეადგენდნენ „მეომრები და მიწისმოქმედნი“. როგორც ოთხთავის ნათარგმნი ბეგლების ბერძნულთან შედარებამაც აჩვენა, მისი ქართული სახელწოდება „ერი“ უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება მიღებული და გაზიარებულია ჩვენ ისტორიოგრაფიაში (მელიქიშვილი, 493; Новосельцев, 119).

მაშ როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული ის გაუგებრობა, რომ ტერმინ „λαὸς“ით, რომელიც ქართულად „ერს“ შეესატყვისება და იბერიის საზოგადოების მესამე გენოსს აღნიშნავს, მეოთხე გენოსი იწოდება?

თუ გავიხსენებთ, რომ ა. კორაისის მიერ გამოცემული სტრაბონი „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში „λαῶν“-ის ნაცვლად

გვაქვს „λοιπῶν“ და ამ უკანასკნელს მივანიჭებთ უპირატესობას, მაშინ შესაძლებელი ხდება თავი ავარიდოთ იმ შეუსაბამობას, რაც ჩვენში დამტკიცებულ ტრადიციულ ტექსტში გვაქვს (იბერიის მოსახლეობის სოციალური ყოფით რადიკალურად განსხვავებული მესამე და მეოთხე გენოსები ერთი და იმავე ტერმინით - „λαός“-ით არის გადმოცემული!). გარდა ამისა ლოგიკური გვეჩვენება ის ფაქტი, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ჩვენთვის საინტერესო ცნობის ავტორმა ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს მოსახლეობის დახასიათებისას თანმიმდევრობით აღწერა იბერიაში მცხოვრებთა პირველი, მეორე და მესამე გენოსები და შემდეგ იხმარა გამოთქმა: „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენების, რომლებიც სამეფო მონები არიან...“. ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ ცნობის ავტორი იქვე ზუსტად განსაზღვრავს ამ „დანარჩენი“ მოსახლეობის სოციალურ სტატუსს („სამეფო მონები“). ჩვენი აზრით, პირიქით გაუგებრობას წარმოშობას ამ წინადადების ძველი წაკითხვა, რომლის მიხედვითაც გამოდიოდა, რომ იბერის მეოთხე გენოსი არის „ხალხისა“, რომლებიც „სამეფო მონები არიან“. „გეოგრაფიის“ აღნიშნული პარაგრაფის ავტორი იბერიის საზოგადოების ამა თუ იმ გენოსის დახასიათებისას არსად მიმართავს ორმაგ განსაზღვრებას და ყოველთვის გვამცნობს მათ კონკრეტულ სახელწოდებებს.

მაგ., „მეორე [გვარი] არის ქურუმთა“, ან „მესამე [გვარი] არის მეომართა და მიწისმოქმედთა“. ასევე მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ „λαῶν“-ის ნაცვლად ვიხმართ ტერმინ „λοιπῶν“-ს. ე.ი. მეოთხე გენოსი იქნება „სამეფო მონებისა“ (βασιλικοὶ δοῦλοι).

ჩვენი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობა იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსის შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში ისეთი სახით უნდა მივიღოთ, როგორც ა. კორაისის გამოცემულ „გეოგრაფიაში“

გვაქვს, ანუ „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენებისა, რომლებიც სამეფო მონები არიან...“.

დასასრულს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ შენიშვნაზე, რომელიც ტერმინ „λοιπῶν“-თან დაკავშირებით აქვს გამოთქმული სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთ-ერთ გამომცემელს გ. კრამერს. იგი თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილას ძირითად ტექსტში ტოვებს სიტყვა „λαῶν“-ს, ხოლო სქოლიოში ჩატანილი „λοιπῶν“-ის გვერდით წერს: Cor. Infelicissime (კორაისი, ძალზე წარუმატებლად -ვ. ვ.) (Strabonis Geographica, 444).

როგორც ვხედავთ, გ. კრამერი ა. კორაისის მიერ გამოცემულ „გეოგრაფიაში“ შემონახულ ტერმინ „λοιπῶν“-ს გამომცემლის კონიექტურად მიიჩნევს და მას არ იზიარებს. ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება სიტყვა „λοιπῶν“ მართლა გამომცემლის კონიექტურაა თუ „გეოგრაფიის“ რომელიმე ხელნაწერიდან მომდინარეობს, რადგან თვით ა. კორაისი თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში ამის შესახებ არაფერს ამბობს. აქ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „λοιπῶν“ კიდეც რომ გამომცემლის კონიექტურა იყოს, ის მეტისმეტად საყურადღებოა და ჩვენ წინარე მსჯელობას მაინც არ არღვევს. ამის საფუძველს გვაძლევს თეორიულ წყაროთმცოდნეობაში საყოველთაოდ გაზიარებული დებულება, რომელიც აუცილებელ შემთხვევაში საისტორიო წყაროში მკვლევრის მიერ შეტანილ შესწორებებს ან ნაწილობრივ აღდგენებს კანონზომიერად მიიჩნევს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთადერთი ნუსხა გვაქვს და ისიც დაზიანებული, ანდა შესასწავლი თხზულების ყველა ხელნაწერი იძლევა მცდარ წაკითხვას, ან წაკითხვას, რომელიც თუმცა ნათელია, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრებით არ შეიძლებოდა არსებულიყო, მკვლევარი ვალდებულია მიმართოს კონიექტურას (Лихачев, 169). ტექსტოლოგიური ძიებისას ისიც კი დასაშვებია, რომ ზოგიერთი ძლიერ დაზიანებული ტექსტი, რომელიც წერილობითი წყაროების

საფუძველზეც კი არ შეიძლება აღდგეს, რეკონსტრუირებული უნდა იქნას კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებითა და ლოგიკური ანალიზის მეთოდით (Пронштейн, 141-142). წყაროთმცოდნეობაში არის შემთხვევები, როდესაც ყველა ხელნაწერი ერთსა და იმავე წაკითხვას იძლევა და მაინც, თუ მკვლევარი დაასაბუთებს, რომ იგი ისტორიულად არ შეიძლება არსებულიყო, მაშინ შესაძლებელია წაკითხვის შეცვლა (Лихачев, 197).

ვფიქრობთ, ზემომოტანილი მსჯელობა უნდა აქარწყლებდეს გ. კრამერის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ტერმინი „λοιπῶν“ ა. კორაისმა „ძალზე წარუმატებლად“ შეიტანა „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში.

ამდენად, ჩვენი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ აღნიშნულ პარაგრაფში სიტყვა „λαῶν“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „λοιπῶν“, რაც უფრო სწორს გახდის ტექსტის გაგებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვაშაკიძე ვ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროს საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983, №1.

2. მელიქიშვილი გ. ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

3. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

4. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.

5. Bengston H. Einfuhrung in die alte Geschichte, Bonn, 1975.

6. Στραβὸνος Γεωγραφικῶν, Βἰβλια ἑπτακαἰδεκα. Ἐκδἰδοντος καἰ δἰορθουντος Α. Κοράη. Μἐρος δεὐτερον, Ἐν Παρισἰοις, 1817.

7. Strabonis Geographica, vecensuit commentario critic, instruxit Gustavus Kramer, vol. II, Berolini, 1847.

8. Лихачев Д. С. Текстология, Л., 1983.

9. Новосельцев А. П. Генезис феодолизма в странах Закавказья, Опит сравнительно-исторического исследования, М., 1980.

10. Пронштейн А. П. Методология исторического источниковедения, Ростов н/Д., 1976.

ვ. ვაშაკიძე

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის

რეზიუმე

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) ელინისტური ეპოქის ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის შესახებ დაცული ცნობის მართებული ინტერპრეტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ტერმინთა შესწავლას, რომელიც აღნიშნულ პარაგრაფში გამოიყენება.

სტატიაში გამოთქმულია დასაბუთებული მოსაზრება, რომ ტერმინი „λαὸς“ (ხალხი) უნდა აღნიშნავდეს ქართლის საზოგადოების არა მეოთხე, არამედ მესამე გენოსს.

იმ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ „გეოგრაფიაში“ ქართლის (იბერიის) სამეფოს მოსახლეობის რადიკალურად განსხვავებული სოციალური ფენები - მესამე და მეოთხე გენოსები - თითქოს ერთი და იმავე ტერმინით („λαὸς“) მოიხსენიება, შემოთავაზებულია ა. კორაისის მიერ გამოცემულ სტრაბონის „გეოგრაფიის“ შესაბამის ადგილას დამოწმებული განსხვავებული წაკითხვა „λοιπὸς“ (სხვა დანარჩენი).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო პარაგრაფის წყაროდ გამოყენებისას სწორედ ტერმინ „λοιπὸς“-ს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

В. В. Вашакидзе

К УТОЧНЕНИЮ ЗНАЧЕНИЯ ОДНОГО ТЕРМИНА В „ГЕОГРАФИИ“ СТРАБОНА

Резюме

Для правильной интерпретации XI, 3,6 „Географии“ Страбона, где содержится ценное сообщение о социальной структуре Картлийского царства эллинистической эпохи, важное значение имеет изучение терминов, употребляемых в данном параграфе.

В статье доказано, что термином „λαὸς“ (народ) должен обозначаться не четвертый, а третий генос Картлийского общества. Чтобы избежать недорозумения, состоящего в том, что якобы согласно „Географии“ (XI, 3,6) радикально различные социальные слои Картли (Иберии) обозначаются одним и тем же термином „λαὸς“, этот последний следует, на наш взгляд, заменить другим словом „λοιπὸς“ (остальная часть), засвидетельствованным в издании А. Корайса.

V. Vashakidze

For Meaning Specification of One Term from Strabo's 'Geography'

Summary

Study of the terms used in Strabo's 'Geography' (XI, 3, 6) has great importance for right interpretation of the data on the social structure of Kartli Kingdom in Hellenistic epoch.

The author expresses grounded viewpoint that the term „λαὸς" (people) must denote not fourth, but third genome of Kartli population.

In order to avoid misunderstanding caused by the fact that in 'Geography' the radically different social layers of population of Kartli (Iberia) Kingdom _ third and fourth genomes are referred to with one and the same term („λαὸς"), the author offers different reading of the term „λοιπὸς", meaning 'the rest'. This interpretation is given in Strabo's 'Geography', published by A. Korais.

We consider that it is the term „λοιπὸς" that must be given the prioriy while using the paragraph interesting to us from Strabo's 'Geography' as a source.

ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 4, 1986

ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის

კოლხეთის ძველი ისტორიის შესასწავლად, მდიდარი არქეოლოგიური მასალის გვერდით, მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები მოგვეპოვება. ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცული ორიოდე ცნობა თუმცა ჭეშმარიტებას შეეფერება (გამყრელიძე, 86-97), მაგრამ ისინი კოლხეთის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე გვაძლევენ წარმოდგენას. სწორედ ამიტომ, კოლხეთის ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ უცხოენოვან წერილობით წყაროებს. ამ უკანასკნელთაგან უმთავრესს მაინც ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებები წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა აღწერილ მოვლენათა თანადროულია, დაფუძნებულია ოფიციალური დოკუმენტების მონაცემებზე და თვითმხილველთა აღწერილობებზე. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წყაროებს.

ძველმა ბერძნებმა ოდითგანვე გაიცნეს კოლხეთი, რამაც ასახვა ჰპოვა მათ მწერლობაში. პირველი ცნობები კოლხეთის შესახებ ბერძნულმა მითოლოგიამ შემოგვინახა. არგონავტების ცნობილი მითი ისტორიის იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ძველმა ბერძნებმა იწყეს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების გაცნობა. მომდევნო ხანაში ბერძნულ მწერლობაში სულ უფრო და უფრო მრავლდება ცნობები კოლხეთისა და კოლხების შესახებ, რასაც ხელი შეუწყო რიგმა ისტორიულმა მოვლენამ. მათგან აღსანიშნავია: ბერძნული კოლონიზაციის განვითარება (ძვ. წ. VIII-VI სს.), ბერძენ-სპარსელთა ომები (ძვ. წ. 500-449 წწ.), ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ლაშქრობები (ძვ. წ. IV ს.-ის 30-20-იანი წწ.), მითრიდატე VI ევპატორისა და რომს შორის წარმოებული ომები (ძვ. წ. I ს-ის პირველი

ნახევარი). აღნიშნული პერიოდების მონაპოვარია კოლხეთის შესახებ ცნობების თავმოყრა ლოგოგრაფოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფოსებისა და სხვათა შრომებში.

ზემოაღნიშნულმა წყაროებმა კარგა ხანია მიიპყრეს მეცნიერთა ყურადღება. კოლხეთის შესახებ დაცული ცნობების პუბლიკაციას და წყაროთმცოდნეობით კვლევას მიეძღვნა თ. ყაუხჩიშვილის, მ. იმნაძის, ნ. კეჭაღმაძის, აკ. ურუშაძის, ნ. ლომოურის, თ. მიქელაძის და სხვათა მონოგრაფიები.

უძველესი კოლხური პოლიტიკური გაერთიანების დიდება და ძლიერება არგონავტთა მითში აისახა. იასონისა და მის თანამგზავრთა „არგოთი" კოლხეთში ლაშქრობა ისტორიული სინამდვილის გამომახილია. მეკობრეობის, ძარცვა-გლეჯისა და ვაჭრობის მიზნით ბერძენთ ბევრი ასეთი ლაშქრობა მოუწყვიათ. ამის შესახებ არაერთი ძველი ავტორი გვამცნობს. მაგალითად, სტრაბონი (ძვ .წ. 64/63 -ახ. წ. 23/24) თავის „გეოგრაფიაში" წერს: ერატოსთენე (ძვ. წ. III ს.) ამბობს, რომ ძველი ბერძნები დაცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ არა გაშლილ ზღვაში, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც მაგალითად იასონი (1, 3, 2).

განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ რომელი პერიოდის კოლხეთის ყოფას უნდა გვიხატავდეს არგონავტთა მითი. ბერძნული ტრადიციის თანახმად, ტროას ომის (ძვ. წ. XIII ს.-ის 30-იანი წწ.) გმირები არგონავტთა შვილები იყვნენ. აქედან გამომდინარე, არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობა ძვ. წ. XIII ს.-ის 60-იან წლებშია სავარაუდო (ყაუხჩიშვილი, 1976, 12). ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი, რომ თქმულებაში კოლხეთის მოტივის შეტანა მითის გაჩენის თანადროულ მოვლენად მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, უფრო მისაღებია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არგონავტთა მითში კოლხური ელემენტების შესვლა კოლხური პოლიტიკური გაერთიანების ძლიერების ხანაში, ე. ი. ძვ. წ. XI-VIII სს.-ში უნდა მომხდარიყო (მელიქიშვილი, 40).

არგონავტთა თქმულების შესახებ პირველი ცნობა ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლებში მოგვეპოვება. ამ მითს იცნობენ ჰომეროსი (ძვ. წ. VIII ს.), ჰესიოდე (ძვ. წ. VIII ს.) და სხვა.

ბერძნული პროზის განვითარების ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. VI-V სს.) ჩნდებიან ბერძენი ისტორიკოსები, რომლებსაც ჩვეულებრივ ლოგოგრაფოსებს უწოდებენ. ლოგოგრაფოსი სიტყვასიტყვით „პროზით მწერალს“ ნიშნავს. სწორედ აღნიშნული სახელით ვასხვავებთ ამ ავტორებს მათი წინამორბედი პოეტებისაგან.

ლოგოგრაფოსთა შორის კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება ჰეკატეოს მილეტელს (დაახლ. ძვ. წ. 549-472 წწ.). იგი ავტორია თხზულებებისა „გენეალოგია“ და „დედამიწის აღწერა“, რომელთა მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი (Muller, 1-31; Jacoby, 1-47). ეს ფრაგმენტები, ძირითადად, დაცული აქვთ სტეფანე მიზანტიონელსა და აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტს. ჰეკატეოს მილეტელის „დედამიწის აღწერის“ დღემდე მოღწეული ფრაგმენტები რამდენიმე საინტერესო ცნობას შეიცავს კოლხეთის შესახებ. მაგალითად, ნათქვამია, რომ კორაქსები და მოსხები კოლხური ტომებია (Jacoby, 1-47; ლომოური, 3-35). ფრაგმენტებითვე შეიძლება მსჯელობა კოლხთა განსახლების არეალზე და სხვა. საერთოდ შენიშნულია, რომ ჰეკატეოს მილეტელის ფრაგმენტების კვლევისას გასარკვევია რა ეკუთვნის თვით ჰეკატეოსს და რა ამ ფრაგმენტების შემომნახველთ (ყაუხჩიშვილი, 1976, 43).

„ისტორიის მამის“ - ჰეროდოტეს (ძვ. წ. 484-425 წწ.) - თხზულებაში საყურადღებო მასალას ვხვდებით კოლხების ადგილსაცხოვრისის, სამეურნეო საქმიანობის, ზნე-ჩვეულებების, აქემენიანთა სახელმწიფოსთან კოლხთა ურთიერთობის, მათი შეიარაღებისა და სხვა საკითხებზე. „ისტორიაში“ ნათქვამია, რომ მეწამულ ზღვასა და ფასისს შორის ცხოვრობენ: სპარსელები, მიდიელები, სასპეირები, კოლხები (IV,

37; IV, 40), რაც არაერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

ჰეროდოტე ჩამოთვლის ხალხებს, რომლებიც უშუალოდ აქემენიანებს არ უხდიდნენ ხარკს. ამ უკანასკნელთა შორის ვხვდებით კოლხებს. ისინი ყოველ მეხუთე წელს ას ყრმასა და ას ქალწულს გზავნიდნენ ირანში საჩუქრის სახით (III, 97). ეს ცნობა აშკარად იმის მოწმობაა, რომ კოლხებმა სრული დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს და რაღაც ფორმით მაინც ექვემდებარებოდნენ აქემენიანთა ირანის სახელმწიფოს.

კოლხეთში სამეურნეო ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კოლხები და ეგვიპტელები სელს ერთნაირად ამუშავებდნენ (II, 105).

საინტერესოა, რომ ჰეროდოტე არ კმაყოფილდება კოლხების ყოფის სხვადასხვა ასპექტების აღწერით და ცდილობს მათი წარმომავლობის გარკვევას. ისტორიკოსის აზრით, კოლხები ფასისის მიდამოებში ეგვიპტიდან მოვიდნენ (II, 103-105). აღნიშნულ მოვლენას ჰეროდოტე ფარაონ სესოსტრისის (ძვ. წ. XIII ს.) ლაშქრობის ხანას უკავშირებს. უნდა ითქვას, რომ ბერძენი ავტორი მიგრაციის თეორიის მიმდევარია და სხვადასხვა ხალხებს შორის მსგავსებას იგი მხოლოდ ამ ხალხების გადაადგილებით ხსნის. საერთოდ, ეს თეორია ბერძნულ მწერლობაში ფრიად პოპულარული იყო, რაზეც მეტყველებს მეგასთენეს (ძვ. წ. IV-III სს.) „ინდიკა“, აბიდენოსის (ძვ. წ. III-II სს.) „ასირია და მიდია“, სტრაბონის „გეოგრაფია“, დიონისიოს პერიეგეტის (II ს.-ის პირველი ნახევრის მოღვაწე) „დედამიწის აღწერილობა“ და სხვ. ზემოჩამოთვლილი ავტორებიც აღნიშნული თეორიის მოშველიებით ცდილობდნენ აეხსნათ ორი იბერიის არსებობა.

ჰეროდოტეს „ისტორიაში“ კოლხეთის შესახებ დაცული ცნობები, ძირითადად, ძვ. წ. V საუკუნისაა, მაგრამ ავტორი, გარდა გაგონილისა და თვალით ნანახისა, ადრინდელ

წყაროებსაც იყენებდა. სწორედ ამიტომ „ისტორიაში“ შემონახული ამა თუ იმ ცნობის ინტერპრეტაციას წინ უნდა უსწრებდეს მისი ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქსენოფონტის (ძვ. წ. 435/31-355/54 წწ.) „ანაბასისი“. ავტორი კოლხებს „ფასიანებს“ უწოდებს. უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდებით ქსენოფონტი ორ ტომს იცნობს: ერთს ფასის-არაქსთან, ხოლო მეორეს ფასის-რიონთან. ორივეს კავშირი კოლხებთან უდავოა (ყაუხჩიშვილი, 1976, 54). მართალია, ქსენოფონტი რიონის აუზში არასოდეს ყოფილა, მაგრამ აქ მდებარე „ფასიანთა“ ქვეყანაზე ამბობს, რომ მას აიეტის შვილიშვილი მართავდა (V 6, 36).

მოტანილი ცნობა განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ ბერძენ ავტორთან გაჩენილი თვალსაზრისი კოლხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობითობის შესახებ თვით ადრეანტიკური ხანის კოლხეთის მეფის კარზე შემუშავებული შეხედულება უნდა იყოს (ლორთქიფანიძე, 111). ეს კი არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება ფასის-არაქსის „ფასიანებს“, რომლებიც ბასიანის აუზში ცხოვრობდნენ, ისინი ქსენოფონტმა საკუთარი თვალით ნახა. „ანაბასისი“ გვამცნობს, რომ ეს „ფასიანები“ სპარსთა ბატონობისაგან თავისუფალი არ იყვნენ და მათი და ჰესპერიტების გამგებელი ტირიბაძე იყო (VII, 8, 25).

ქსენოფონტის „ანაბასისი“ კიდევ ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის, რომელთა მნიშვნელობა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ისინი ძირითადად ავტორის მიერ არის შეკრებილი, მეტად დიდია (მიქელაძე).

კოლხეთის შესახებ საინტერესო მასალას იძლევა კიდევ ერთი ძველი ბერძენი სწავლული ჰიპოკრატე (ძვ.წ. 460-356 წწ.). თავის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ ავტორი აგვიწერს ფასისთან და მის მიდამოებში მცხოვრებ ხალხს. ჰიპოკრატე მათ „ფასისელებს“ უწოდებს. იგი

პირველია, ვინც დაწვრილებით, დიდი სიზუსტით აღწერა კოლხეთის ბუნება, მისი კლიმატური თავისებურებანი, ადამიანთა ფიზიკური ტიპი, დასახლების სახეობანი და სხვ.

ჰიპოკრატეს თქმით, კოლხეთის ჰავა თბილი და ზომიერია, ქვეყანა ჭაობიანი, წვიმიანი, წყლებითა და ტყეებით მდიდარი. „ფასისელები“ ცხოვრობენ ხიმინჯებზე შეყენებულ ხის ან ლერწმის სახლებში, ხოლო ტრანსპორტის ძირითადი სახეობა აქ ნავებია (§ 15). ჰიპოკრატე, როგორც ცნობილია, თვით იყო ნამყოფი კოლხეთში, რის გამოც მის თხზულებაში დაცული ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს (ყაუხჩიშვილი, 1965).

ცალკეულ საინტერესო ცნობებს კოლხებისა და მათი ყოფის შესახებ გვაწვდის ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ. წ. 384-322 წწ.). მაგ., „ცხოველთა ისტორიაში“ ნათქვამია, რომ ფასისის ძროხები პატარები არიან, მაგრამ ბევრს იწველიან (III, 21). „პოლიტიკაში“, რომელშიც შედის ფრაგმენტი „ფასისელთა სახელმწიფო წყობილება“, ვხვდებით ცნობას, სადაც მოხსენებულია ათენში ფასისიდან მოსული ხალხი, რომელთა შორისაც ატარებს დროს ათენელი სახალხო ორატორი. მართალია, აქ ლაპარაკი არ არის ფასისელ ჩამოსულთა მიზნებზე, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი სავაჭრო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი (ყაუხჩიშვილი, 1968).

კოლხეთის ძველი ისტორიის მრავალი პრობლემის შესასწავლად პერიპლუსებს თითქმის დოკუმენტური წყაროების ღირებულება აქვთ. ეს გამოწვეულია აღნიშნული ჟანრის თხზულებების გაჩენის პრაქტიკული დანიშნულებით. პერიპლუსი ნიშნავს რომელიმე ადგილის ცურვით გარშემოვლას, ზღვის ნაპირნაპირ ცურვას. მოგზაურები დაწვრილებით აღწერდნენ მათ მიერ მოხილულ ადგილებს, რასაც სავაჭრო, სამხედრო თუ სხვა დანიშნულება ჰქონდა.

კოლხეთის შესახებ მასალები დაცულია ერთ პერიპლუსში, რომელიც ძვ. წ. IV ს.-ით თარიღდება. მას, ჩვეულებრივ, სკილაქს კარიანდელს (ძვ. წ. VI-V სს.) მიაწერენ,

რასაც, ჩვენი აზრით, არავითარი გამართლება არა აქვს. ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძვ. წ. VIს.-ის ავტორს ეწოდება სკილაქსი, ხოლო IVს.-ის პერიპლუსის ავტორი ფსევდოსკილაქსია (ყაუხჩიშვილი, 1976, 80).

ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში ვხვდებით შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლას, რომელთა შორის იხსენიებიან კოლხებიც. ავტორი ასახელებს კოლხების ტერიტორიაზე განლაგებულ ქალაქებს: ელინური ქალაქებია გჯენოსი და ფასისი, ქალაქი დიოსკურია (როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი არ არის გამოცხადებული „ელინურ“ ქალაქად - ვ. ვ.). განსაკუთრებით საინტერესოა „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ მოხსენიება, რომელზედაც ნათქვამია, რომ აქედან იყო ბერძენთათვის კარგად ცნობილი მედეა, ხოლო ქალაქი მდებარეობდა მდ. ფასისის აყოლებაზე 180 სტადიონის მანძილზე.

ზემომოტანილი ცნობა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ჭირს იმის დაზუსტებით თქმა, თუ რომელ ადგილას უნდა არსებულიყო ეს „დიდი ბარბაროსული ქალაქი“ (ყაუხჩიშვილი, 1976, 85-86).

ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) იმპერატორ ადრიანეს მოხელე იყო და მისი დავალებით მოიარა შავი ზღვის სანაპირო ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე. ამ მოგზაურობის შედეგად არიანემ აღწერა მთელი გავლილი გზა და შეავსო ის ძველი წყაროების მონაცემებით. ასე შეიქმნა „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“.

არიანეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ ავტორი საკმაო ხანს შეჩერებულა ქ. ფასისში, სადაც სხვადასხვა სამუშაოები ჩაუტარებია. არიანე ვრცლად მოგვითხრობს მდ. ფასისის თვისებებზე (§ 8), შემდეგ კი დაწვრილებით გვიხატავს ფასისელი ქალღმერთის ქანდაკებას, რომელიც, მისი სიტყვებით, გარეგნობით ძალიან ჩამოჰგავს რეას (რეა-კიბელე ძველი მცირეაზიული ღვთაება იყო -ვ. ვ.). ამას უშუალოდ

მოსდევს ფასისის ციხესიმაგრის აღწერა. ავტორის თქმით, ქალაქს ორმაგი თხრილი და გამომწვარი აგურისგან ნაშენი მტკიცე კედელი ჰქონია გარშემოვლებული, რასაც ემატებოდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობაც. „ერთი სიტყვით, იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან“- წერს ფასისის შესახებ არიანე (§ 9). კოლხური ღვთაების და ფასისის ციხის აღწერა იმდენად ცოცხალი და შთამბეჭდავია, რომ იგი უეჭველად თვითმხილველის მიერაა შესრულებული.

ფლავიუს არიანეს ზემომოტანილი ცნობების მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ავტორი უბრალო მოგზაური კი არ იყო, არამედ იმპერატორის მოხელე, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდა მის მიერ მოვლილი ადგილების დიდი სიზუსტით აღწერა. თხზულებაში სპეციალური მიზნით არი შექმნილი და სწორედ ამიტომ მასში დაცული მასალა სანდო წყაროა კოლხეთის ისტორიის შესასწავლად.*

ელინისტურ ხანაში ჩამოყალიბდა საისტორიო პროზის კიდევ ერთი ახალი ჟანრი - მსოფლიო ისტორია. კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან პოლიბიოსის (ძვ. წ. III-II სს.) „ისტორია“ და დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) „ბიბლიოთეკა“.

კოლხეთის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის საქმიანობისა და სხვათა შესახებ დაცული მასალის მოცულობითა და მნიშვნელობით ცალკე გამოყოფის ღირსია სტრაბონის „გეოგრაფია“. ასევე საგულისხმო ცნობები აქვთ შემონახული ნიკოლაოს დამასკელს (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 14 წწ.), იოსებ ფლავიუსს (37-95 წწ.), დიონისიოს პერიეგეტს, პლუტარქოსს (46-120 წწ.), კლავდიოს პტოლემაიოსს (100-178 წწ.), აპიანეს (90-170 წწ.), კლავდიუს ელიანუსს (170-235 წწ.) და სხვებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიზანს არ შეადგენს ზემოდასახელებულ ცალკეულ ავტორებთან კოლხეთის შესახებ დაცული ცნობების დაწვრილებით განხილვა. თითო-

ეული ასეთი ცნობა ცალკე შესწავლის ღირსია. წინამდებარე ნაშრომი ცდაა იმის ჩვენებისა, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ბერძენ მწერალთა თხზულებებში შემონახულ მასალებს ძველი კოლხეთის ისტორიის შესასწავლად.

იმ რამდენიმე ძველბერძენ ავტორთან დაცული ცნობების განხილვა, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი, იმის საშუალებას იძლევა, რომ კოლხეთის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს შორის ბერძნულ მწერლობაში გაბნეულ მასალებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი მივაკუთვნოთ. აღნიშნული წყაროები განუზომლად დიდი მნიშვნელობისაა კოლხეთის ძველი ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისას, ხშირ შემთხვევაში კი სწორედ ბერძნულენოვანი თხზულებები გვაწვდიან ერთადერთ ცნობას ამა თუ იმ პერიოდის კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო, ყოფითი და სხვა სურათების აღსადგენად.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ძველბერძენ ავტორებთან კოლხეთის (და საერთოდ რომელიმე ქვეყნის) შესახებ დაცული ცნობების, როგორც წყაროს, გამოყენებისას რიგი გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული. პირველ რიგში ეს ეხება ბერძნული მწერლობის ჟანრობრივ მრავალფეროვნებას (ეპოსი, ლირიკა, დრამა, საისტორიო და გეოგრაფიული პროზა და ა.შ.), რის გამოც თითოეულ თხზულებაში შემონახული ცნობის შესწავლა ამ ნაწარმოებისადმი სრულიად განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. გარდა ამისა, ბერძნულ წყაროებში ხშირად გვხვდება ლეგენდარული ხასიათის ცნობები, აღრეულია სხვადასხვა დროის ამბები, ცალკეული ავტორები განსხვავებულად იძლევიან ერთი და იმავე მოვლენისა თუ ფაქტის აღწერას და სხვ. აქედან გამომდინარე, ბერძნულენოვანი წყაროებით სარგებლობისას საჭიროა მათი ყოველმხრივი ანალიზი, ცნობის შესწავლა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის კრიტიკის პრინციპების გათვალისწინებით. ძველი ბერძნული მწერლობის ძეგლები

მათი პირველწყაროთა გამოვლენის, ზუსტად დათარიღების, ზღაპრული პლასტებისაგან გათავისუფლების შემდეგ სანდო წყაროს წარმოადგენენ კოლხეთის ძველი ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. აზო - ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. "მაცნე", ისტორიის სერია, 1985, № 3.

2. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.

3. მელიქიშვილი გ. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

4. ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963.

5. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1960.

6. მიქელაძე თ. ქსენოფონტის ანაბასისი (ცნობები ქართველი ტომების შესახებ). თბ., 1967.

7. ყაუხჩიშვილი თ. ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965.

8. ყაუხჩიშვილი თ. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.

9. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. თბ., 1961.

10. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. წიგნში: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983.

11. Muller C. Fragmenta historicorum graecorum, I. Parisiis, 1885.

12. Jacoby F. Die Fragmente der griechischen Historiker, I Teil. Berlin, 1923.

ვ. ვაშაკიძე

ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის

რეზიუმე

მრავალფეროვან წყაროებს შორის, რომლებიც ძველი კოლხიდის ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად მოგვეპოვება, ძველბერძენ ავტორთა (ჰეკატეოს მილეტელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, ჰიპოკრატე, არისტოტელე, ფსევდო-სკილაქსი, სტრაბონი, ნიკოლაოს დამასკელი, ფლავიუს არიანე და სხვ.) თხზულებებში დაცულ ცნობებს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ბერძნული მწერლობის ჟანრობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინება, თითოეული ცნობისადმი განსაკუთრებული მიდგომა, მათი კრიტიკული, თანამედროვე წყაროთმცოდნეობითი მეთოდოლოგიით შესწავლა აჩვენებს, რომ ისინი პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ და კოლხიდის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ მეტად ღირებულ და უტყუარ მასალას შეიცავენ.

В. В. Вашакидзе

ЗНАЧЕНИЕ ДРЕВНЕГРЕЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ ИСТОРИИ КОЛХИДЫ

Резюме

В статье на основе анализа сведений, сообщаемых древнегреческими авторами (Гекатей Милетский, Геродот,

Ксенофонт, Гиппократ, Аристотель, Псевдо-Скилакс и др.), показано особое значение древнегреческих письменных среди разнообразных источников по истории Колхиды.

Изучение древнегреческих памятников с учетом принципов современной источниковедческой критики показывает, что они содержат ценный и достоверный материал о социальной, политической, экономической, культурной жизни древней Колхиды.

V. Vashakidze

The Importance of Greek Sources in the Study of Kolkhian History

Summary

The data preserved in the essays of old Greek authors (Hekateos Mileteli, Herodotus, Xenofonte, Hipokrates, Aristotle, Pseudo-Skylax, Strabo, Nicolaus of Damascus, Plavius Ariane and etc.) have very special importance among various sources that exist for study of different issues from Old Kolkhian History. Considering genre variety of Greek literature, special approach to each data, their critical review and analysis with the usage of modern methodology of resource study, show that they are the sources of the highest quality and contain most valuable and right material on social, political, economic and cultural life of Kolkhida.

კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987

მემნონის ერთი ცნობა და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი

ძვ. წ. I ს. ქართლის (იბერიის) სამეფოს საგარეო ურთიერთობების შესასწავლად მკვლევართა ხელთ მცირერიცხოვანი წყაროებია. ამ თვალსაზრისით, ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცული მონათხრობი მეტად მწირია და ბუნდოვანი, რის გამოც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ბერძენ-რომაელ ავტორთა სრულად თუ ფრაგმენტების სახით მოღწეული თხზულებები. მათში შემონახული ცნობები ძვირფასი წყაროა მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან ქართლის სამეფოს პოლიტიკური კავშირების კვლევისათვის.

წინამდებარე წერილში ყურადღებას მივაქცევთ ძველი ბერძენი ავტორის - მემნონის - ერთ ცნობას. მასში მოკლედაა გადმოცემული მითრიდატე VI ევპატორის მიერ რომის წინააღმდეგ წარმოებული ომების ისტორიის ერთი მონაკვეთი და პონტოს მეფის სხვა მოკავშირეთა შორის იბერიის მეფეც მოიხსენიება.

მემნონის პიროვნების შესახებ მცირეოდენი რამ ვიცით. იგი დაიბადა ჰერაკლეიში და, როგორც დღეს მიღებულია, ცხოვრობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე (ყაუხჩიშვილი, 1976, 169). მემნონს ეკუთვნის ნაშრომი „ჰერაკლეის შესახებ“ ან „ჰერაკლეის ისტორია“, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი (Fragmenta, 525-558; Jacoby, 336-368). ისინი დაცულია ფოტიოსის „ბიბლიოთეკაში“.

მემნონის დასახელებული თხზულების მხოლოდ IX-XVI წიგნებია შემონახული, რის გამოც ნაშრომის არც დასაწყის რვა წიგნზე და არც მომდევნო (თუკი ისინი არსებობდნენ -ვ. ვ.) წიგნებზე არაფერი შეიძლება ითქვას.

მემნონის დღემდე მოღწეული ფრაგმენტები მოიცავს პერიოდს ძვ. წ. IV ს-დან ვიდრე იულიუს კეისრის ხანამდე. მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, მემნონი ფრიად სანდო ავტორია და უტყუარი ცნობებით სარგებლობდა (Дзагурова, 289-316; ყაუხჩიშვილი, 1962, 137-147).

„ჰერაკლეის ისტორია“ შეიცავს ერთ ძალზე საინტერესო ცნობას, რომელიც, ვფიქრობთ, შუქს ფენს იბერიის სამეფოს მესვეურთა საგარეო კავშირურთიერთობაში გადადგმულ ერთ საგულისხმო ნაბიჯს. მასში ნათქვამია, რომ პონტოს მეფემ მითრიდატემ რომაელთა წინააღმდეგ სასტიკი ომი წამოიწყო, დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები, თავისი ძალაუფლება განავრცო კავკასიონის გაღმა მდებარე ტერიტორიაზე და მეტისმეტად გადიდგულდა. რომაელებმა სენატის დადგენილებით უბრძანეს მას სკვითების მეფეებისათვის მამულები დაებრუნებინა. მითრიდატე ამ ბრძანებას უხალისოდ დაემორჩილა, მაგრამ, ამავე დროს, მოკავშირეებად გაიხადა პართები, მიდიელები, ტიგრანე არმენიელი, ფრიგიელთა მეფეები და იბერი მეფე (Fragmenta, III, 541; Jacoby, №22).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მემნონის ეს ცნობა თ. ყაუხჩიშვილმა შემოიტანა (ყაუხჩიშვილი, 1962, 149-190; 1976, 69-170). ცნობა რომ ძალზე საინტერესო და ბევრის მთქმელია, ეს უდავოა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ჯერჯერობით ასახვა ვერ ჰპოვა სხვა გამოკვლევებში. ჩვენი აზრით, მემნონის ზემომოტანილი ფრაგმენტი ძვ. წ. I ს.-ში იბერიის სამეფოში დატრიალებულ ისტორიულ მოვლენათა ახსნას აიოლებს და სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ძვ. წ. I ს.-ის დამდეგს ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით, მცირე აზიაში ბატონობისათვის იმდროინდელი მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფო დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთი იყო რომი, მეორე კი - პონტოს სამეფო.

პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (121/120 -63 წწ. ძვ. წ.) ჭკვიანი და ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე იყო. იმ დროისათვის, როცა ის სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა (დაახლოებით ძვ. წ. 111 წ.), სახელმწიფო დასუსტებული, ხოლო მისი საზღვრები საკმაოდ შეკვეცილი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ფარნაკ I -ის (190-159 წწ. ძვ. წ.) დროს დაპყრობილი მცირე არმენია გათავისუფლდა, გაძლიერდა და თავისი ტერიტორიები ფარნაკიამდე განავრცო; გალატია დამოუკიდებელი გახდა; გათავისუფლდა პაფლაგონიის დიდი ნაწილი; ფრიგია რომმა იგდო ხელთ; პონტომ დაკარგა კაპადოკია, რომელიც თავის დროზე მითრიდატე V ევერგეტმა (150-121 წწ. ძვ. წ.) ფაქტობრივად დაიმორჩილა; ბითვინიის მიწები მჭიდროდ დაუმეზობლდა პონტოს ჰერაკლეის. და აი, ასეთ ვითარებაში, მითრიდატე VI-ემ მზადება იწყო თავისი სამეფოს განვრცობისა და გაძლიერებისათვის.

ხელისუფლების განმტკიცებისათვის მითრიდატემ დაიპყრო მცირე არმენია, კოლხეთი (111-110 წწ. ძვ. წ.) (Лордкипанидзе, 17-19; Ломоури, 76-77), ძვ. წ. 107 წლისათვის - ჩრდილო შავიზღვისპირეთი (ხერსონისა და ყოფილი ბოსფორის სამეფო), თავისი ძალაუფლება განავრცო პაფლაგონიის ერთ ნაწილზე (დაახლოებით ძვ. წ. 103 წ.), კაპადოკიაზე და მჭიდროდ მიუახლოვდა რომის სამფლობელოებს მცირე აზიაში (Ломоури, 80). მითრიდატე ევპატორმა კარგად იცოდა, რომ მისი მოქმედება რომის იმპერიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და მოსალოდნელ ომში მარტო რომ არ დარჩენილიყო, მოკავშირეებს ეძებდა. ასეთად მას ესახებოდა დიდი არმენიის სამეფო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ტიგრან II-ის ზეობაში (95-55 წწ. ძვ. წ.). ამ უკანასკნელმა დასავლეთით განავრცო თავისი ტერიტორიები, მოიცვა ჩრდილო მესოპოტამია, სირიის დიდი ნაწილი და მიუახლოვდა რომის პროვინციას - კილიკიას (Манандян, 31-70). ამდენად, დიდი არმენიის სამეფოს ინტერესებიც რომს დაუპირისპირდა. ამ ნიადაგზე მითრი-

დატე VI-სა და ტიგრან II-ს შორის დაიდო სამოკავირეო ხელშეკრულება, რომელიც დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. ტიგრან II დაქორწინდა მითრიდატეს ქალიშვილზე, კლეოპატრაზე.

ძვ. წ. 80-იანი წლების დასაწყისში რომში მძიმე შინაპოლიტიკური ვითარება სუფევდა. ამას დაემატა ისიც, რომ რომის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებნი საშინელ ძარცვასა და ექსპლუატაციას განიცდიდნენ. სწორედ ამიტომ პონტოსა და რომს შორის გაჩაღებული პირველი ომის (89-84 წწ. ძვ. წ.) დასაწყისში უპირატესობა მითრიდატე VI-ემ მოიპოვა. მან მოხერხებულად გამოიყენა მცირე აზიის მოსახლეობის ანტირომაული განწყობა. აქედან განდევნა რომაელთა ჯარები და ერთხანს საბერძნეთსაც კი დაეუფლა.

ამასობაში რომმა მოახერხა ძალების თავმოყრა და მისი ლეგიონები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გამოჩდნენ. მათ სათავეში კორნელიუს სულა იდგა. მან რამდენიმე მძიმე მარცხი აგემა მითრიდატეს სარდლებს (ძვ. წ. 86 წ. ქერონეასთან; ძვ. წ. 85 წ. ორქომენოსთან), რითაც ომის მსვლელობის ჩარხი რომაელთა მხარეს შემობრუნდა. მითრიდატე იძულებული გახდა ზავის დადებაზე ეზრუნა.

აპიანე (დაახლოებით 90-170 წწ.) დაწვრილებით გადმოგვცემს სულასა და მითრიდატეს ელჩის - არქელაოსის - მოლაპარაკების შედეგებს. მითრიდატეს რომაელთათვის უნდა გადაეცა მთელი ფლოტი, დატყვევებული მხედართმთავრები, მოციქულები, ტყვეები, მოღალატენი; გაეთავისუფლებინა ქიოსელები; გამოეყვანა ჯარები ყველა იმ ციხე-სიმაგრიდან, რომელსაც იგი ადრე ფლობდა; აენაზღაურებინა ომის ხარჯები და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ მამისეული სამფლობელოებით (აპიანე, 55).

თავდაპირველად მითრიდატე VI-ს არ სურდა აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულება, რის გამოც პირისპირ შეხვდა სულას და თავისი წინადადებები გააცნო. რომაელთა სარ-

დალი აღშფოთდა და, აპიანეს თქმით, სულას რისხვით შეშინებული მითრიდატე იძულებული იყო არქელაოსის მიერ მიღებულ პირობებს დათანხმებოდა (აპიანე, 56-58).

ასე დამთავრდა პონტოს და რომს შორის წარმოებული პირველი ომი.

ახლა დავუბრუნდეთ მემნონის ცნობას და გავარკვიოთ, რამდენად სწორად ასახავს იგი რეალურ ვითარებას. ამ წყაროზე დაკვირვებით, პირველ რიგში, აშკარაა, რომ იბერი მეფესა და მითრიდატე ევპატორს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება პონტოსა და რომს შორის არსებული პირველი ომის შემდგომ უნდა დადებულიყო. ამაზე მიუთითებს მემნონის მიერ იმ პირობების ჩამოთვლა, რაც რომმა წაუყენა პონტოს მეფეს ძვ. წ. 84 წ. (აპიანე, 55). მართლაც, იბერია პირველი ომის დაწყებამდე პონტოს მოკავშირეთა რიგებში რომ არ იმყოფებოდა, ეს აშკარაა იმავე აპიანეს ერთი ცნობით, სადაც მოტანილია მითრიდატეს ელჩის, პელოპიდასის, სიტყვა. აი, ისიც: მითრიდატე მეფობს მამეულ სახელმწიფოებში. მან კიდევ ბევრი მეზობელი ქვეყანა შეიმატა; მათ შორის კოლხები, ელინთაგან ისინი, რომლებიც პონტოს ნაპირზე ცხოვრობდნენ, ხოლო ბარბაროსთაგან, ვინც ამათ ზემოთ იყვნენ. ყველაფრისათვის, რასაც კი ის ბრძანებდა, მზად იყვნენ მისი მეგობრები: სკვითები, ტავრები, ბასტარნები, თრაკიელები, სარმატები. ტიგრანე არმენიელი მისი სიძე იყო, ხოლო არსაკე პართელი - მეგობარი (აპიანე, 15).

როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში იბერია ან იბერები არ იხსენიებიან, რაც მემნონის ცნობას უჭერს მხარს. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელში ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომლითაც მითრიდატე ევპატორის მიერ იბერი მეფის მოკავშირედ გახდომა ტიგრანე არმენიელის, პართებისა და სხვათა თანადროულ მოვლენად არის გამოცხადებული. ვფიქრობთ, ეს რთული არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მემნონის მიზანს ჰერაკლეის

ისტორიის აღწერა წარმოადგენდა და ავტორს ყველა სხვა ფაქტი მხოლოდ მასთან მიმართებაში აინტერესებდა. ამდენად, მემნონმა ზოგადად აღწერა არსებული ვითარება და გადმოსცა ის, რაც, მისი აზრით, საინტერესო იყო. ე. ი. ჩამოთვალა პონტოს მეფის მოკავშირენი, ხოლო რომელი როდის აღმოჩნდა მითრიდატეს ბანაკში, ეს მემნონისათვის მეორეხარისხოვანი მოვლენა გახლდათ. ჩვენი აზრით, შესაძლოა, რაიმე ქრონოლოგიაზე მიუთითებდეს თვით მოკავშირეთა ჩამოთვლის რიგი: პართები, მიდიელები, ტიგრანე არმენიელი, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, თუმცა გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს.

ახლა ვნახოთ, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის, რომ იბერის მეფე პონტოს მოკავშირე იყო. უნდა ითქვას, რომ სხვა წყაროთა პირდაპირი ჩვენება ამის შესახებ არ გვაქვს. მითრიდატე VI-სა და რომს შორის გაჩაღებულ არც მეორე ომში (83-82 წწ. ძვ. წ.) და არც მესამის დასაწყისში (ძვ. წ. 73 წ.) იბერები პონტოს სამეფოს მოკავშირეებად არ ჩანან. აპიანე მესამე ომის დამდეგისათვის კვლავ მოგვითხრობს მითრიდატეს მოკავშირეებზე. მისი თქმით, უწინდელი ძალების გარდა, მას (მითრიდატეს -ვ. ვ.) შეემატნენ ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეელები, ჰენიოხები, ლევკოსირები და ისინი, რომელთაც მდინარე თერმოდონტთან ეგრეთწოდებული ამაძონთა ქვეყანა უჭირავთ (აპიანე, 69). როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში აპიანე ზოგ ხალხს (არმენიელები, სკვითები, ტავრები) ხელმეორედ ასახელებს, მაგრამ იბერები არც აქ იხსენიებიან. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, აპიანეს ამ ცნობამ არ უნდა დაგვაეჭვოს მემნონის ზემოთ მოტანილი ფრაგმენტის სისწორეში. ამის საფუძველს სხვა ბერძენი ავტორის, პლუტარქოსის „ლუკულლუსის“ ბიოგრაფია იძლევა.

პლუტარქოსი დაწვრილებით აგვიწერს იმ ბრძოლებს, რომლებსაც, ლუკულლუსის სარდლობით, რომის ჯარები აწარმოებდნენ პონტოს სამეფოსა და მის მოკავშირეთა

წინააღმდეგ. ტიგრანოკერტთან (ძვ. წ. 69წ.), ხოლო შემდეგ არტაქსატასთან (ძვ. წ. 68წ.) გამართულ შეტაკებებში იბერი მეომრები მითრიდატე VI-ის ბანაკში იმყოფებიან და თავგამოდებით იბრძვიან რომაელთა წინააღმდეგ (პლუტარქოსი). პლუტარქოსის სიტყვები, რომ ტიგრანე არმენიელი ყველაზე მეტ ნდობას იბერ მეომრებს უცხადებდა, ჩვენი აზრით, მემნონის ცნობის ჭეშმარიტების საუკეთესო საბუთი უნდა იყოს. ასევე ბუნებრივად აიხსნება პომპეუსის მიერ ძვ. წ. 65 წ. უშუალოდ იბერიის სამეფოს დალაშქვრის მიზეზებიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ იბერი მეფე მითრიდატე ევპატორის მოკავშირე იყო. ვფიქრობთ, მემნონის ცნობა რომ არა, ამგვარი კავშირის არსებობა მაინც უნდა გვევარაუდა. რომის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკა რომ ამიერკავკასიას, და მათ შორის იბერიასაც, გადმოსწვდებოდა, ეს ქართლის სამეფოს მესვეურთათვის ადვილად მისახვედრი უნდა ყოფილიყო. ალბათ არც ის იყო საეჭვო, რომ მარტოოდენ საკუთარი ძალებით ქართლი ვერაფერს გახდებოდა და მასაც ძლიერი მოკავშირე უნდა ეძებნა. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში სრულიად ბუნებრივია, რომ პონტოს სამეფოსა და იბერიას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება დადებულიყო, რასაც მემნონის ზემოთ მოტანილი ცნობაც ადასტურებს. ეს ფაქტი პონტოსა და რომს შორის გამართული მესამე ომის პირველსავე წლებში უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. 73-69 წწ. შორის, რადგან ძვ. წ. 73 წლისათვის, აპიანეს ცნობით (მითრ., 69), იბერები ჯერ კიდევ არ ითვლებოდნენ მითრიდატე VI-ის მოკავშირეებად, ხოლო პლუტარქოსის თქმით, ძვ. წ. 69 წ. ტიგრანოკერტთან იბერი მეომრები უკვე თავგანწირვით იბრძოდნენ ლუკულუსის ლეგიონების წინააღმდეგ.

ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მემნონის ცნობა, რომელიც იბერ მეფეს მითრიდატე ევპატორის მოკავშირეთა ბანაკში ასახელებს, სიმართლეს უნდა შეეფერე-

ბოდეს. იგი დასტურდება სხვა ბერძენი ავტორის, პლუტარქოსის, მონაცემებით და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. აღნიშნული სამოკავშირეო ხელშეკრულება ძვ. წ. 73-69 წწ. გაფორმებულა და მისი პირდაპირი შედეგი უნდა იყოს ოდნავ მოგვიანებით პომპეუსის მიერ ქართლის სამეფოს დალაშქვრა. ვფიქრობთ, მემნონის ზემოდასახელებული ცნობა კარგად ხსნის ძვ. წ. I ს.- ის პირველი ნახევრის ქართლის სახელმწიფოში მომხდარ მოვლენებს და მან სათანადო ადგილი უნდა ჰპოვოს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

2. პლუტარქოსი, ლუკულუსი, XXVI, XXXI.

3. ყაუხჩიშვილი თ. მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის" ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962.

4. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

5. Jacoby F. Die Fragmente der griechischen Historiker. III,, B. Leiden-Brill, 1950.

6. Fragmenta historicorum graecorum, Car. et Theod. Mulleri, Parisiis, III, 1883.

7. Дзагурова В.П., Мемнон о Гераклее, ВДИ, №1, 1951.

8. Ломоури Н.Ю. К истории Понтийского царства, Тбилиси, 1979.

9. Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды, Тбилиси, 1979.

10. Манандян Я.А. Тигран II и Рим, Ереван, 1943.

ვ. ვაშაკიძე

მემნონის ერთი ცნობა და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი

რეზიუმე

ნაშრომში კრიტიკულად განხილულია ძველი ბერძენი მწერლის მემნონის (ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.) ფრაგმენტულად მოღწეულ თხზულებაში - „ჰერაკლეის შესახებ“ - დაცული ერთი ცნობა, რომელშიც პონტოს სამეფოს მიერ რომის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში მითრიდატე VI-ის მოკავშირედ მოხსენიებულია იბერიის მეფე.

სხვა ძველბერძენ ავტორთა (აპიანე, პლუტარქოსი და სხვ.) მონაცემთა შესწავლისა და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, დადგენილია, რომ მემნონის ამ ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამოკავშირეო შეთანხმება პონტოსა და იბერიის მეფეებს შორის ძვ. წ. 73-69 წწ.-ში უნდა გაფორმებულიყო.

V. V. Vashakidze

ОДНО СООБЩЕНИЕ МЕМНОНА И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ ИБЕРИЙСКОГО (КАРТЛИЙСКОГО) ЦАРСТВА

Резюме

В статье критически изучено одно сообщение древнегреческого автора Мемнона (I в.до н.э. – Iв. н. э.), где иберийский царь упоминается в числе союзников Митридата VI в войне с Римом.

На основе сведений других греческих авторов (Аппиан, Плутарх), с учетом политической обстановки того периода, доказывается истинность указанного сообщения. Установлено,

что союзнический договор между Понтийским царством и Иберией был заключен в 73-69 гг. до н. э.

V. Vashakidze

One Data by Memnon and Some Issues of Foreign Policy of Kartli Kingdom

Summary

The work presents critical analysis of one data from the essay 'Heracles' by old Greek author _Memnon (I B.C.- I A.D.). The essay came to us in fragments. The data preserved in the essay says that the king of Iberia was Mithridate VI's ally in the war against Rome led by the Kingdom of Pontus.

After review of the data provided by other old Greek authors (Apianus, Plutarch and etc.), taking into the consideration political situation of that time, the reliability of this data provided by Memnon must not leave any doubt. The author considers that alliance agreement between the kings of Pontus and Iberia must have been concluded in 73-69 B.C.

კრებ.: ისტორიულ - წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1988

სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში დაცული ცნობის დათარიღებისათვის

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობის, რომელიც ძველი იბერიის სოციალურ სტრუქტურას აგვიწერს, ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი შესწავლისას მკვლევარის წინაშე ბევრი პრობლემა დგას. მათგან უპირველესია აღნიშნული პარაგრაფის დათარიღება.

„გეოგრაფიაში“ თავმოყრილი ცნობები, წარმომავლობის მიხედვით, სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ძველი ბერძენი ავტორების თხზულებებიდან მომდინარე; 2. თვით სტრაბონის მიერ მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალები; 3. ზეპირი გადმოცემები. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი, როგორც წყარო იბერიის სოციალური ყოფის აღწერისა, უნდა გამოირიცხოს, რადგან ისეთი ღრმაშინაარსიანი და ყოვლისმომცველი სურათი, როგორიცაა მოცემული „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში, უთუოდ წერილობითი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს (Новосельцев, 107). ასევე არ შეიძლება ზემოაღნიშნული პარაგრაფი უშუალოდ სტრაბონისად მივიჩნიოთ, რადგან გეოგრაფოსი არასოდეს ყოფილა იბერიაში. მითითებული პარაგრაფის მონაცემების სხვა ანტიკურ წყაროებთან შეპირისპირებით და გვიანდელი ქართული ნარატიული საისტორიო ძეგლების გათვალისწინებით, რამდენადმე, შესაძლებელია „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროს თარიღის გარკვევა.

დასმული პრობლემის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წინამორბედ ისტორიკოსთა შეხედულებების დაჯგუფება:

1) „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყარო ძვ. წ. I -ახ.წ. I სს. ეკუთვნის (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, მ. როსტოვცევი, ა. ნოვოსელცევი) (Джавахов, 9; კაკაბაძე,

78-120; ჯანაშია, 1949, 131-295; Ростовцев,143; Новосельцев, 107);

2) სტრაბონის „გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყარო პოსიდონიოსის „ისტორიაა“ და ძვ. წ. II-ის 40-30-იან წლებს განეკუთვნება (ა. ბოლტუნოვა) (Болтунова, 142-160);

3) იბერიის სოციალური სტრუქტურის შესახებ „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა მომდინარეობს პატროკლედან ერატოსთენეს გზით და ძვ. წ. III ს. 80-70-იანი წლებით თარიღდება (ოთ. ლორთქიფანიძე) (ლორთქიფანიძე, 371-374);

4) სტრაბონის „გეოგრაფიის“ აღნიშნული პარაგრაფის წყარო უეჭველად არსებობდა. ის გაცილებით ძველი უნდა იყოს სტრაბონის ხანასთან შედარებით, მაგრამ მისი ავტორის ვინაობა არ იძებნება (ნ. ბერძენიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ვაშაკიძე) (ბერძენიშვილი, 363-373; ყაუხჩიშვილი, 152; ვაშაკიძე, 154).

ჩვენ სპეციალურად არ ვჩერდებით იმ მკლევართა (მ. ბროსე, ალ. ჭყონია, დ. ბაქრაძე, ს. გორგაძე, კ. არნოლდი, კ. ნოიმანი, მ. დიუბუა, ე. ჰონიგმანი, ვ. ალი და სხვ.) შეხედულებებზე, რომლებიც თუმცა იყენებდნენ, მაგრამ სპეციალურად არ სწავლობდნენ „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში დაცულ ცნობას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ავტორთა ერთი ნაწილი აღნიშნულ პარაგრაფს სტრაბონის ხანით ათარიღებს.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის იბერიაში არსებული ვითარების შესასწავლად მდიდარი პარალელური მასალა მოგვეძევება. ის საშუალებას გვაძლევს თითქმის სრულად აღვადგინოთ იმდროინდელი ქართლის მეფის ფუნქციები თუ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ერთერთ წერილში ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობებზე, აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალების და ქართული ნარატიული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ვაჩვენეთ, რომ

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) აღწერილი იბერიის ვითარება არ შეიძლება ძვ. წ. I ს-სად მივიჩნიოთ. ჩვენთვის საინტერესო წყარო გაცილებით ადრეული ხანის ქართლის ყოფას უნდა გადმოსცემდეს (ვაშაკიძე, 149-151).

იმავე წერილში ვერ გავიზიარეთ ა. ბოლტუნოვას და ოთ. ლორთქიფანიძის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვითაც „გეოგრაფიის“ აღნიშნული პარაგრაფის წყაროდ, შესაბამისად, პოსიდონიოსი და პატროკლე არიან მიჩნეული. ჩვენ ხელაღებით არ გამოვრიცხავთ, რომ ამ უკანასკნელთა თხზულებებში, დღემდე მოღწეულ ფრაგმენტებს გარდა, ყოფილიყო იბერიის სოციალური ვითარების ამსახველი ცნობაც, რითაც შესაძლოა ისარგებლა სტრაბონმა, მაგრამ ის არგუმენტები, რომლებსაც ემყარებიან ზემოდასახელებული მეცნიერნი, მტკიცებისათვის საკმარისად არ მიგვაჩნია (ვაშაკიძე, 152-154).

ვფიქრობთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) დაცული ცნობა ძვ. წ. I ს.-ზე ადრინდელია და აღნიშნული პარაგრაფის წყაროს ავტორებად, დღეს არსებული მასალების მიხედვით, ვერ ჩაითვლებიან ვერც პოსიდონიოსი, ვერც პატროკლე და ვერც სტრაბონის ვინმე სხვა - წინამორბედი. ეს კარგად აჩვენა სტრაბონამდელი ბერძენი ავტორების სრულად თუ ფრაგმენტების სახით მოღწეული თხზულებების კვლევამ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) დაცული ცნობის დათარიღებისათვის წყაროს ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ. წ. I ს. დასაწყისს მივიჩნევთ, ხოლო ქვედას გასარკვევად აუცილებელია იმის დადგენა, თუ როდის ჩნდება ძველბერძნულ მწერლობაში პირველი ცნობები იბერიის შესახებ და რა ხასიათის მასალებს გვაწვდიან ისინი.

სახელი „იბერია“ ბერძენთათვის ოდითგანვე იყო ცნობილი, მაგრამ გარკვეულ დრომდე, როგორც წესი, ამ სახელით პირინეის იბერებს მოიხსენიებდნენ. მაგ., ჰეკატეოს

მილეტელი თავის „გენეალოგიასა“ და „დედამიწის აღწერაში“ მრავალგზის ახსენებს იბერიასა და იბერებს, მაგრამ ეს ცნობები მხოლოდ ესპანეთის მიწაზე მცხოვრებ იბერებს ეხება (Fragmente, 1-47).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არც ჰეროდოტე, არც ქსენოფონტი და არც სხვა ადრინდელი ავტორები არ იხსენიებენ იბერიას, არადა მათ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უეჭველად სახლობდა განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ხალხი, რასაც არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს. ამის ახსნას იძლეოდა ს. ჯანაშია, რომელიც ვრცელი ანალიზით ერთმანეთს უკავშირებდა ჰეროდოტეს სასპეცრებს, ქსენოფონტის ჰესპერიტებს, აპოლონიოს როდოსელის საპეცრებს, სტრაბონის სჳსპირიტებს და ქართველ იბერებს (ჯანაშია, 1952, 21-101). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს აზრი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე გადასინჯვას საჭიროებს.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, შესაძლოა ამ ავტორებმა (ჰეროდოტე, ქსენოფონტი და სხვ.) იცოდნენ კიდეც იბერიის არსებობა, მაგრამ, რამდენადაც იგი მათი თხრობის სფეროში არ შედიოდა, არც ახსენებდნენ. იქვე მეცნიერს უფრო სარწმუნოდ ეჩვენება იბერიის ბერძნული სამყაროსათვის გაცნობა მითრიდატე VI ევპატორის რომთან წარმოებული ომების დროს (ყაუხჩიშვილი, 49).

პლატონი და არისტოტელე იბერებს ჩვეულებრივ პირინეის მკვიდრთ უწოდებენ, მაგრამ ამ ავტორებთან გვაქვს თითო შემთხვევა ისეთი, სადაც მთლად გარკვეული არ არის, თუ რომელ იბერებზეა ლაპარაკი - ესპანეთისა თუ კავკასიის.

არისტოტელე („პოლიტიკა“ 1324) ჩამოთვლის ტომებს, რომელთა სიქველესაც მათი კანონები განაპირობებენ და ახსენებს იბერებს, რომლებსაც წესად ჰქონიათ საფლავის ირგვლივ იმდენი ობელისკის აღმართვა, რამდენი მტერიც

ჰყავდა გარდაცვლილს მოკლული. ასევე პლატონიც („კანონები" I, 9) ასახელებს ხალხებს და აღნიშნავს, რომ ისინი მეომარი ტომები არიან. მათ შორის იგი იბერებსაც მოიხსენიებს. თუ დავუშვებთ, რომ არისტოტელესა და პლატონთან კავკასიის იბერებზეა საუბარი, მაშინ ეს იქნება იბერიის პირველი ხსენება ძველბერძნულ წყაროებში. მაგრამ, ვფიქრობთ, გადაჭრით იმის მტკიცება, თითქოს ზემომოტანილ ცნობებში კავკასიის იბერები იგულისხმებიან, არ შეიძლება.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი მეგასთენე (IV-III სს.) თავის „ინდიკაში" არაერთხელ იხსენიებს იბერიას. ავტორი ამ სახელის ქვეშ უმეტესწილად ესპანეთის იბერიას გულისხმობს, თუმცა ერთ-ერთ ფრაგმენტში გვამცნობს, რომ „გმირობით ჰერაკლეს მსგავსმა ნაბუქოდონოსორმა ლიბიასა და იბერიაში ილაშქრა, დაიმორჩილა ისინი, მცხოვრებთა ნაწილი აჰყარა და პონტოს მარჯვენა მხარეს დაასახლა" (Fragmenta, II, 397-439).

ამ ლეგენდარულ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ამტკიცებს, რომ ძვ. წ. IV-III სს. ავტორმა იცის კავკასიის იბერიის არსებობა და ცდილობს ახსნა მოუძებნოს ორი ხალხის (პირინეის და კავკასიის იბერების) ერთი სახელით მოხსენიებას. მეგასთენის აზრით, კავკასიის იბერები პირინეიდან არიან გადმოსახლებულნი და ამ ფაქტს ისტორიკოსი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს მიაწერს.

მიგრაციის ეს თეორია შემდეგში ძალზე პოპულარული გახდა. მასზე მოგვითხრობენ აბიდენოსი („ასირია და მიდია") (Fragmenta, IV, 283), სტრაბონი („გეოგრაფია" 1, 3, 21), დიონისოს პერიეგეტი („დედამიწის აღწერილობა") (ყაუხჩიშვილი, 91), აპიანე („მითრიდატიკა") (აპიანე, 159) და სხვ.

იბერიას იხსენიებს არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტოსი (დაახლ. ძვ. წ. 372-287 წწ.). თავის თხზულებაში „ქვათა შესახებ" (VIII, 58) იგი სინგურზე ამბობს, რომ ეს ქვა ორი სახისაა: თვითნაბადი და ხელოვნური. პირველი

მოიპოვება იბერიასა და კოლხეთში (Латишев, 387). ამ ორი ქვეყნის ასეთ კონტექსტში დასახელება იმაზე მიანიშნებს, რომ მეგასთენეს მსგავსად თეოფრასტოსმაც იცის კავკასიის იბერიის არსებობა.

ბერძნულ-რომაული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა, შემდგომში კი მითრიდატე პონტოელის ბრძოლამ რომის წინააღმდეგ; ამაზე ჯერ კიდევ სტრაბონი წერდა თავის „გეოგრაფიაში" (1, 2, 1). აღნიშნულმა მოვლენებმა ანტიკურ სამყაროს კარგად გააცნო კავკასიის იბერია.

ძვ. წ. II ს. ავტორი აპოლოდოროსი „დედამიწის აღწერაში" ორჯერ იხსენიებს იბერიას. პირველად იგი გვამცნობს, რომ იბერია ორია და ერთ-ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდ. იბროსთან, მდებარეობს (Fragmenta, I, №111Б 450). ავტორი რომ ჩვენს იბერიასაც კარგად იცნობს, ეს მისი თხზულების მეორე ფრაგმენტიდან ჩანს. იგი დაცულია სტრაბონის „გეოგრაფიაში" (1, 3, 21). ამ პარაგრაფში გეოგრაფოსი ეკამათება აპოლოდოროსს, რომელსაც მიაჩნდა, რომ იბერია არმენიისაგან მდ. არაქსით იყო გამოყოფილი (Fragmenta, I, 451, №123). სტრაბონი უსწორებს მას: საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის მდ. მტკვარი და მოსხური მთებიაო. მკვლევარნი სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ამ ორ ცნობაში სხვადასხვა დროის პოლიტიკური ვითარება აისახა (ჯანაშია, 254; Меликишвили, 137). აპოლოდოროსის დროს არმენიასა და იბერიას შორის საზღვარი სწორედ მდ. არაქსის ზემოწელზე გადიოდა, ხოლო სტრაბონის დროს მდ. მტკვრის ზემო წელსა და მოსხურ მთებზე (მუსხელიშვილი, 56).

ძვ. წ. II-I სს. ავტორი თეოფანე მიტილენელი „მითრიდატიკაში" მხოლოდ ერთხელ ახსენებს იბერიას, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იმის ბრალია, რომ ამ ნაწარმოების მხოლოდ ფრაგმენტებიღა მოგვეპოვება. ეს ერთადერთი ფრაგმენტიც „გეოგრაფიაშია" (XI, 14, 4) დაცული. მასში ნათქვამია: „ხორზენე და კამბისენე (არმენიისათვის - ვ. ვ.)

უკიდურესი ჩრდილოეთის განსაკუთრებით თოვლიანი მხარენი არიან. ეკვრიან ისინი კავკასიის მთებს, იბერიას და კოლხიდას" (Fragmenta, IV, 315, №4). ეს ცნობა კარგად ეთანხმება „გეოგრაფიის" (XI, 14, 5) ჩვენებას, რომ ძვ. წ. II ს. დასაწყისში, მეფეების - არტაქსიასა და ზარიადრის დროს, სომხეთმა ჩამოაჭრა „იბერებს პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის".

საინტერესო ცნობას გვაწვდის სტრაბონის თანამედროვე ავტორი მემნონი. თავის „ჰერაკლეის ისტორიაში" ის გვამცნობს, რომ ძვ. წ. 89-88 წწ. ზამთარში მითრიდატე VI-მ დაიმორჩილა ფაზისის მიდამოებში მცხოვრები ხალხთა მეფეები, კავკასიის გადაღმაც განავრცო თავისი ძალაუფლება და მეტად გადიდგულდა. რომის სენატის ბრძანებით, მითრიდატემ დამორჩილებულ მეფეებს მამულები დაუბრუნა, მაგრამ ამავე დროს მოკავშირეებად გაიხადა პართები, მიდიელები, სკვითი მეფეები (სხვა წაკითხვით ფრიგიელი მეფეები) და იბერი მეფე (Fragmenta, III, 541).

მემნონის ამ ცნობის შემდეგ ადვილი ასახსნელია პლუტარქეს მონათხრობი, რომ ძვ. წ. 69 წ. ტიგრანოკერტთან ლუკულუსის წინააღმდეგ ტიგრანე არმენიელთან დასახმარებლად სხვებთან ერთად ბევრი იბერი გამოცხადდა (Plutarch, XXVI). მეწინავეთა რიგებში იდგნენ იბერი შუბოსნები ძვ. წ. 68 წ. არტაქსატასთან ბრძოლაშიც ლუკულუსის წინააღმდეგ და ტიგრანე მათ განსაკუთრებით ენდობოდა (Plutarch, XXXI). თუ გავითვალისწინებთ მემნონის ზემომოტანილ ცნობას მითრიდატესა და იბერი მეფის მოკავშირეობის შესახებ, მაშინ იბერთა ამგვარ სრულიად ბუნებრივი ახსნა ეძებნება. თავგამოდებას რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთია მოკლედ ვითარება იმ ანტიკურ წყაროებში, რომლებიც იბერიის შესახებ გვაწვდიან ცნობებს უძველესი დროიდან სტრაბონამდე. პირველი უეჭველი ხსენება კავკასიის იბერიისა, როგორც ვნახეთ, ძვ. წ. IV-III სს.

ავტორებთან - მეგასთენესა და თეოფრასტოსთან - გვხვდება. ჩვენი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული იბერიის სოციალური სტრუქტურის ამსახველი ცნობის დათარიღებისას ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად სწორედ ეს ხანა უნდა მოვიჩნიოთ. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყარო უცილობლად არსებობდა, იგი წერილობითი სახის უნდა ყოფილიყო; მისი ავტორი არ იძებნება, ხოლო თვით ცნობა ძვ. წ. III-II სს.-ით უნდა დათარიღდეს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთი თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

2. ბერძენიშვილი ნ. ჯანაშია ს. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (რეცენზია), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.

3. ვაშაკიძე ვ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 –ის წყაროს საკითხისათვის. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983, № 1.

4. კაკაბაძე ს. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. „საისტორიო მოამბე“, I, 1924.

5. ლორთქიფანიძე ოთ. სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ. „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“ , 1957. ტ. XVIII, № 3.

6. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ.I, თბ., 1977.

7. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

8. ჯანაშია ს. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. „შრომები“, I, 1949.

9. ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ. „შრომები“, II, თბ., 1952.

10. ჯანაშია ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. - „შრომები“, II.

11. Die Fragmente der griechishen Historiker, von Felix Iacoby, Erste teil., Berlin, 1923; № 3.

12. Fragmenta Historicorum Graecorum, Car. Et Theod. Mülleri, I, Parisiis, MDCCCLXXXV.

13. Fragmenta Historicorum Graecorum, Car. Et Theod. Mülleri, II, Parisiis, MDCCCLXXXVIII.

14. Fragmenta Historicorum Graecorum, Car. Et Theod. Mülleri, III, Parisiis, MDCCCLXXXIII.

15. Fragmenta Historicorum Graecorum, Car. Et Theod. Mülleri, IV, Parisiis, MDCCCLXXXV.

16. Plutarch. Lives. . . With an English Translation by Bernadette Perrin, London, 1959, II.

17. Болтунова А.И. Описание Иберии в „Географии“ Страбона (XI, 3, I-6). ВДИ, 1947, № 4.

18. Джавахов И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, СПб., 1905.

19. Известие древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латишев, т. I, вып. II, СПб., 1896.

20. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. . . Тбилиси, 1959.

21. Новосельцев А. П. Генезис феодолизма в странах Закавказья, Опит сравнительно-исторического исследования, М., 1980.

22. Ростовцев М. И. Скифия и боспор. Л., 1925.

ვ. ვაშაკიძე

სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში დაცული ცნობის დათარიღებისათვის

რეზიუმე

სტრაბონის „გეოგრაფიის“ (XI, 3, 6) წყაროთმცოდნეობითი შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ პარაგრაფში დაცული ცნობის დათარიღებას. სტრაბონამდელი ძველი ბერძნული მწერლობის სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წერილობით წყაროსთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები, სადაც აღნიშნული პარაგრაფის პირველწყაროდ ესა თუ ის ძველი ბერძენი ავტორია დასახელებული, სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს.

„გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ცნობის წყაროს მიახლოებითი დათარიღება მხოლოდ სტრაბონისდროინდელი იბერიის (ქართლის) სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესწავლის გზით არის შესაძლებელი. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში დაცული ცნობის წყარო უცილობლად არსებობდა და ის ძვ. წ. III-II სს. უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო მისი ავტორი არ იძებნება.

V. V. Vashakidze

К ДАТИРОВАНИЮ СВЕДЕНИЯ СОХРАНИВШЕГОСЯ В XI, 3, 6 „ГЕОГРАФИИ“ СТРАБОНА

Резюме

При иссочниковедческом изучении XI, 3, 6 „Географии“ Страбона важнейшим является датирование этого параграфа. Специальное исследование дострабоновской греческой исторической литературы свидетельствует, что письменный источник параграфа XI, 3, 6 несомненно существовал. Из за

скудности дошедших сведений, автора источника невозможно установить. Приблизительное датирование указанного параграфа удается путем изучения жизни Иберии времен Страбона, с учетом того, что кавказская Иберия до начала III в. до н. э. В греческих источниках не упоминается.

В часности, в работе высказано предположение, что источник параграфа XI, 3, 6 „Географии" принадлежит к III-II вв. до н. э.

V. Vashakidze

For Dating of the Information Preserved in Strabo's 'Geography' XI, 3, 6

Summary

In the source study of Strabo's 'Geography' (XI, 3, 6) the special significance is given to dating of the information preserved in the paragraph mentioned above. Special research of old Greek literature that was composed before Strabo, showed that the viewpoints expressed in the historiography on the written sources of 'Geography' (XI, 3, 6), according to which the primary sources of the paragraph are some Greek authors, can't survive serious criticism. The approximate dating of the above mentioned information source from 'Geography' is possible only with study of social and political situation in Iberia (Kartli) of Strabo's time.

The author of the presented work considers that source for the information preserved in Strabo's 'Geography' (XI, 3, 6) must have been existed and it must be dated to III-II B.C. The author of the source can't be identified.

კრებ.: ისტორიულ -ეთნოგრაფიული მეცნიერები, III, თბ., 1988

Терминологические разыскания и вопросы социальной структуры древней Картли

Вопрос о социальной структуре Картлийского (Иберийского) царства эллинистической эпохи принадлежит к числу важнейших проблем истории Грузии. Для изучения этого вопроса помимо богатых археологических материалов мы распологаем и нарративными источниками. Что касается оригинальных грузинских письменных памятников, то они относятся только ко времени V-го и более поздних столетий. В таких условиях вполне естественным представляется обращение к иноязычным источникам, среди которых особо ценные сведения содержатся в параграфе 6 III главы XI книги „Географии" греческого историка и географа Страбона (64/63 гг. до. н.э. – 23/24 гг. н.э.). Они по сей день представляют уникальный источник, рассказывающий о социальной обстановке древнего иберийского государства.

Прежде чем перейти к интересующим нас вопросам, считаем необходимым отметить, что все исследователи дают самую высокую оценку „Географии" Страбона, как достоверному источнику для изучения социально-политической истории и географии различных стран. Вот что писал М. И. Ростовцев: „У Эрастофена он (Страбон – В. В.) взял его глубокие и блестящие общие положения и характеристики, у Эфора и Посидония - высокоинтересные этнографические портреты, у Артемидора – его точный перипл, у комментаторов Гомера – связь настоящего с прошлым, у историков Митридата и Помпея – все то новое, что дала деятельность Митридата и Помпея для истории и этнографии Причерноморья" (Ростовцев, 42).

Относительно сообщения XI, 3, 6 „Географии" Страбона, которое содержит описание социальной структуры ибе-

рийского общества в эллинистическую эпоху, имеются высказывания многих исследователей истории древней Грузии (Каухчишвили, 1976, 136-158, Вашакидзе, 1983, 145-154). Несмотря на это, повторное изучение указанного параграфа не теряет актуальности. В историографии справедливо отмечается, что на современном этапе развития исторической науки важное значение имеет не только выявление и включение в научный оборот новых источников, но и более тщательное исследование и переосмысление источников уже имеющихся. Именно в этом состоит условие постоянного прогресса исторической науки (Шмидт, 43-44).

Почти полтора века как ученые с большим вниманием относятся к вышеуказанному параграфу „Географии" Страбона, но до сих пор в научной литературе имеют место существенные разногласия. Главной причиной разногласий следует признать то, что при интерпретации XI, 3, 6 в одно и то же слово – термин разные специалисты вкладывают различный смысл (Каухчишвили, 1957, 25).Объясняется это тем, что все исследователи, использовавшии XI, 3, 6 „Географии" в качестве источника для изучения социальной структуры Иберии, в большей степени не учитывали особенности употребления того или иного термина в различных контекстах, его адекватных грузинских значений, случаев использования этих терминов в дострабоновой греческой письменности и т. п.

На основе изучения терминов, употребляемых в XI, 3, 6, в научной литературе было распространено мнение, что Страбон (или автор его источника при описании социального строя Иберии), получив чисто эллинистическое образование, придерживается в своих суждениях терминологии, характерной для греческого мира тех времен и описание иберийского общества осуществлен им механическими, шаблонными способами (Болтунов, 154).

Тщательное исследование социальной терминологии, применяемой греческими авторами, предшественниками Страбона (Геродот, Фукидид, Аристотель, Ксенофонт, Полибий, Мегасфен, Эвемер, Посидоний, Бион и др.), отчетливо показало, что Страбона можно признать прямым наследником эллинистической культуры. Конечно, это отнюдь не означает, что он пользуется только готовыми схемами. Это хорошо подтверждается содержащимися в самом „Географии" сообщениями о социальной структуре того или иного общества, к которым географ в каждом конкретном случае проявляет особое отношение.

Напр., в XII, 5,1 „Географии" дается описание галатов. По словам географа, галаты делятся на три племени: тромки, толистобоги и текстосаги. Каждое племя подразделяется на четыре тетрархии, имеет своего правителя – тетрарха, судью и военачальника. В каждой тетрархии (а их было двенадцать – В. В.) имелся совет, состоящий из трехсот человек и т.п. В данном случае за принцип деления галатов взят их племенной уклад, так как основное объединение галатов состояло из трех племен. При ознакомлении с характеристикой населения Аравии (XVI, 4, 25) становится очевидным, что она выполнена по признакам профессий (первый род – войны и стражи, второй – земледельцы, третий – ремесленники, четвертый – производители сажи и пятый – ладана).При описании грузинского племени сванов Страбон сообщает, что у них был басилевс и состоящий из трехсот человек совет. Затем автор, характеризуя их, говорит, что сваны – самое сильное племя среди народов. У них каждый мужчина воин и поэтому они выставляют 200 тыс. Воинов. Нет сомнений, что образ жизни сванов является характерным для родового общества. Подобная картина наблюдается и в описании гениохов (XI, 2, 13), о которых говорится, что у них было четыре басилевса. Страбон (или же автор его источника) при описании

населения Иберии хорошо видит разницу в образе жизни жителей долин и гор. Живущие в низинах иберы занимаются земледелием и по образу жизни похожи на армян и мидян, а иберы, обитающие в горных районах – на скифов и сарматов (XI, 3, 3). Ясно, что при подобном сравнении имеется в виду, в первую очередь, уровень общественного и культурного развития.

Приведенные выше примеры со всей очевидностью показывают, что „Географии" совершенно по-разному описывается население Аравии и Галатии, жизнь сванов и гениохов, автор хорошо различает горных и низинных иберов. От них совершенно отличаются картины, отражающие социальную обстановку Индии (по Мегасфену) или египетского города Александрии (по Полибию), также характеристика населения Каппадокии (XII, 2,3) и Албании (XI, 4, 4-8). Поэтому ясно, что Страбон (или автор его источника) хоть и пользуется терминами предшествующих ему авторов, но при описании каждой отдельной страны или народа исходит из конкретной обстановки и дает правдивые картины.

В „Географии", при изложении различной социальной обстановки, одни и те же термины имеют разное значение. Напр., „ὁ βασιλεύς", который у Страбона употребляется в значении: „глава рода", „вождь племени", „предводитель", „царь" и др. Следует помнить, что даже при описании одной и той же страны этот термин нужно понимать по-разному. При описании общества Албании (XI, 4, 6) говорится, что раньше албаны имели шесть басилевсов(несомненно, под этими басилевсами подразумеваются вожди племен), а ко времени Страбона (или автора его источника) произошло объеденение этих племен и у албанов уже один басилевс. Этот последний есть царь.

Если принять во внимание социальную структуру Иберии, а также то, что это богатая страна со многими горо-

дами и с большим числом населения (XI, 3, 1), станет ясно, что применяемый в XI, 3, 6 „Географии" термин „βασιλεύς" надо понимать как „царь". Это подтверждается и другими античными источниками и эпиграфическими памятниками. Аналогично надо поступать и в тех случаях, когда определяем реальное значение других терминов: „γένος", „συγγένεια", „δοῦλος", „ἱερεύς" и т.п.

Исходя из вышесказанного очевидно, что для правильного понимания каждого термина следует учитывать социально-политические условия и историко-культурную обстановку той или иной конкретной страны.

Для полного источниковедческого изучения XI, 3, 6 „Географии" особое значение имеет учитывание всех разночтений, засвидетельствованных в списках еще не использованных при публикации текста, а также тех издании, которые пока не пользуются популярностью. Этот вопрос особенно важен, так как до сих пор нет критического издания „Географии", а все списки (таких до тридцати рукописей и эпитом, которые принадлежать к X-XV вв., и палимпсест V-VI вв.) дошло до нас в сильно искаженном виде. Вот что писал об этом Ф. Г. Мишенко: „. . .Если большинство сочинений древности немало пострадало от времени, от невежества и небрежности читателей, переписчиков и владельцев рукописей, если в большинстве сочинений существуют более или менее значительные пробелы или позднейшие вставки, или перестановки и искажение отдельных слов, то текст Страбоновой Географии подвергся совокупному разрушительному действию всех этих случайностей" (Мищенко, V).

Во всемирно известных изданиях „Географии" Страбона Г. Крамера (1844-1852 гг. в 3 томах), А. Майнеке (1851-1852 гг. в 3 томах), К. Мюллера и Ф. Дюбнера (1853-1858 гг. в 2 частях), Х. Джоунза (1917-1932 гг. в 8 томах) не учтены данные древнейшего из известных до сих пор списков

„Географии" – палимпсеста V-VI вв. Сопоставление соответствующего текста палимпсеста с интересующим нас параграфом показывает, что эта рукопись существенно отличается от других списков. В XI, 3, 6 „Географии", там, где дается характеристика первого геноса населения Иберии, во всех изданиях встречается термин „ἀγχιστεία" (близость, близкое родство), а в палимпсесте в этом месте читается „ΑΔ. ΑΠΡΑΝ" (Aly, 188). Поиски показали, что под этим написанием надо читать „διάπειρα" (опыт, испытание). В специальной статье мы отдали предпочтение этому последнему термину, после чего текст принял совсем иной смысл, что должно быть учтено при интерпретации XI, 3, 6 „Географии" Страбона (Вашакидзе,1982, 92-95).

Кроме вышеприведенного примера, имеется еще случай, когда разночтение, встречающееся в издании А. Кораиса, не совпадает с канонизированным текстом XI, 3, 6 сочинения Страбона. Во всех рукописях, включая палимпсест, при описании четвертого геноса населения Иберии засвидетельствован термин „λαῶν" (народа), только в публикации А. Кораиса вместо этого слова встречается термин „λοιπῶν" (остальная часть) (Στραβώνος Γεωγραφικῶν, 315).

Изучая термин „λαός" Т. С. Каухчишвили отмечала, что он в „Географии" употребляется в двух значениях: „войско" и „поселенец" и этим словом, по всей вероятности, обозначался третий, а не четвертый генос иберийского общества (Каухчишвили, 1957, 49-50).

Действительно, ознакомление с переводами евангельских текстов показало, что термин „λαός" нигде не обозначает простой народ, а его грузинским синонимом является слово „эри". Это последнее в древнегрузинском означало как „народ", так и „войско". Сообщение „Географии" Страбона о социальном строе Картли эллинистической эпохи свидетельствует о том, что третий генос состоял из „воинов и

земледельцев". Как раз этому слою общества и соответствует грузинский „эри", который в древнегреческом передается словом „λαός".

Если вместо термина „λαός" поставим „λοιλός", засвидетельствованный в издании А. Кораиса, тогда станет возможным избавиться от недоразумения, состоящего в том, что якобы, согласно „Географии" (XI, 3, 6), радикально различные социальные слой Иберии обозначаются одним и тем же термином.

На основе рассмотрения некоторых вопросов терминологии можно заключить, что при описаниях социального строя разных стран, государств, городов и племен древнегреческие авторы, в том числе и Страбон, не придерживаются какой-либо шаблонной схемы. Сама „География" содержит много примеров, когда автор в отдельных конкретных случаях проявляет различный подход. Если между указанными описаниями и имеется определенное сходство, то оно чисто внешнего характера и объясняется тем, что все авторы употребляли термины, характерные для тогдашнего эллинистического мира. Также надо помнить, что один и тот же автор, излагая различную обстановку, не всегда применяет тот или иной термин в одинаковом значении. Поэтому при их исследовании следует учитывать социально-политические условия той или иной конкретной страны. В заключение отметим и то, что при изучении XI, 3, 6 „Географии" Страбона особое значение имеют термины, еще не учтенные в критических изданиях сочинения. В некоторых случаях они дают ключ к правильному толкованию данного параграфа.

Использованные источники и литература:

1. Ростовцев М. И. Скифия и Босфор. М., 1925.

2. Каухчишвили Т. С. Древнегреческие источники истории Грузии. Тб., 1976 (на груз. яз.).

3. Каухчишвили Т. С. География Страбона. Сведения о Грузии. Тб., 1957 (на груз. яз.).

4. Вашвкидзе В. В. К вопросу об источнике XI, 3, 6 „Географии" Страбона – ИАНГ, серия истории, 1983 (на груз. яз.).

5. Вашвкидзе В. В. К пониманию одного места в тексте „Географии" Страбона - ИАНГ, серия истории, 1982 (на груз. яз.).

6. Болтунова А. И. Описание Иберии в „Географии" Страбона (XI, 3, 1-6). ВДИ, 1947, №4.

7. Шмидт С. О. Современные проблемы источниковедения. В кн: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969.

8. Мищенко Ф. Г. География Страбона. М., 1879.

9. Aly W. De Strabonis codice rescripto, Stud i e testi, 1956.

10. Στραβών ος Γεωγραφικῶν, Βίβλια ἑπτακαίδεκα. Ἐκδίδοντος καὶ δίορθοῦντος Α. Κοράη. Μέρος δεύτερον, Ἐν Παρισίοις. 1817.

ვ. ვაშაკიძე

ტერმინლოგიური ძიებანი და ძველი ქართლის სოციალური სტრუქტურის საკითხები

რეზიუმე

ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისას უმთავრეს წყაროს სტრაბონის „გეოგრაფიაში" (XI, 3, 6) დაცული ცნობა წარმოადგენს. მის მეცნიერულ კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პარაგრაფის ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინოლოგიის დაზუსტებას ენიჭება.

სტრაბონის და მის წინამორბედ ბერძენ ავტორთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური წყობის აღწერისას გამოყენებული ტერმინების შესწავლამ აჩვენა, რომ ერთი და

იგივე ავტორიც კი ერთსა და იმავე ტერმინს ყოველთვის ერთი მნიშვნელობით არ ხმარობს. ამიტომ, მკვლევარი ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს ყოველი კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ „გეოგრაფიის“ (XI, 3, 6) შესწავლისას გავითვალისწინოთ ტერმინები, რომლებიც დღესდღეობით არსებული „გეოგრაფიის“ ტექსტის კრიტიკულ გამოცემებში არ გვხვდება. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ხელს უწყობენ აღნიშნული პარაგრაფის უფრო სწორ გაგებას.

В. В. Вашакидзе

Терминологические разыскания и вопросы социальной структуры древней Картли

Резюме

При изучении социальной структуры общества Картлийского царства главным источником является сведения сохраненная в «Географии» (XI, 3, 6) Страбона, изучение которого имеет длительную историю. Следует отметить, что при интерпретации указанного параграфа особое значение придается уточнению терминологии.

Изучение терминов, используемых Страбоном и предшествующими ему греческими авторами при описании социального строя той или иной страны, показало, что даже один и тот же автор не всегда использует в одном и том же значении один и тот же термин. Поэтому, исследователь обязан учитывать социально-политическое положение каждой конкретной страны. Так же, необходимо отметить, что при изучении «Географии» (XI, 3, 6) следует учесть термины, которые не встречаются в существующих на сегодняшний день критических изданиях текста «Географии». В некоторых случаях они способствуют лучше понять указанный параграф.

V.Vashakidze

Terminological Studies and the Issues of Social Structure of Old Kartli

Summary

Main source in study of social structure of Kartli Kingdom of Hellenistic period is the information preserved in Strabo's 'Geography' (XI, 3, 6). Its scientific research has a long history. It is noteworthy that specification of the terminology has the special importance in the interpretation of the above mentioned paragraph.

The study of the terms used by Strabo and his predecessors to describe social structure of different countries showed that even one and the same author does not always use one and the same term to denote one and the same thing. Therefore, the researcher has to take into the consideration social and political situation of every single country. It also must be mentioned that while studying 'Geography' (XI, 3, 6), we have to pay special attention to the terms that we can't meet in the critical literature on the text of 'Geography'. Sometimes they support better understanding of the above mentioned paragraph.

Сб.: Источниковедческие разыскания 1985, Тб., 1988

„მეფეთა ცხოვრება“ და ბერძნული „ალექსანდრიანი“

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ანუ შემოკლებით „მეფეთა ცხოვრება“ არის პირველი ძეგლი, რომლითაც იწყება შუასაუკუნოვანი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“. აღნიშნულ წყაროში საქართველოს უძველესი წარსულის შესახებ შემონახული ცნობებისადმი დამოკიდებულება ისტორიოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. ფეოდალური ხანის მემატიანენი „წმიდა“ და „პატიოსან“ წიგნში აღწერილს უცილობელ ჭეშმარიტებად თვლიდნენ. XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში საისტორიო მეცნიერების შემდგომმა აღმავლობამ პირუკუ რეაქცია გამოიწვია და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება წარმოშვა. ზემონათქვამი, პირველ რიგში, სწორედ „მეფეთა ცხოვრებას“ შეეხო. ამან კიდევ უფრო გაზარდა მკვლევართა ყურადღება ამ ძეგლისადმი (მელიქიშვილი, 50-69).

აქედან მოკიდებული დღემდე, მრავალრიცხოვანი უცხოენოვანი (განსაკუთრებით ძველაღმოსავლური, ბერძნულ-ლათინური და სხვ.) წერილობითი წყაროსა და ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მდიდარი ეპიგრაფიკული და ნივთიერი მასალის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ამის შედეგად, „მეფეთა ცხოვრების“ არაერთი ცნობის სისწორე დადასტურდა, მაგრამ აღნიშნული თხზულების წყაროდ გამოყენება ახლაც აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს (Мусхелишвили, 57-70).

„მეფეთა ცხოვრებაში“, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ცალკეულ თხზულებებში, დაცული ყოველი ცნობის კრიტიკულ შესწავლას, მისთვის ნდობის თუ უნდობლობის გამოცხადებას საქართველოს ისტორიის პრობლემების სწორად გაშუქებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ წინამორბედი ქართველი მეცნიერნი ვალში არ დარჩენილან, მაგრამ ქართული წყაროთმცოდნეობის (კონკრეტულის თუ თეორიულის) განვითარების დღევანდელ დონეზე, ახალი წყაროების გამოვლენასთან ერთად, არსებული ცნობების ხელახალი, საგულდაგულო კვლევა კვლავაც აქტუალურია.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორი შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელია. როგორც ცნობილია, ამ ეპოქაში კომპილაცია შემოქმედებითი მუშაობის ტოლფასი იყო და არც პლაგიატის ცნება არსებობდა (Майоров, 10). ეს ქართველი მემატიანისთვისაც დამახასიათებელია, მაგრამ სხვა ისტორიკოსთაგან განსხვავებით, მას წყაროებისადმი მიდგომის თავისებური წესი ახასიათებს (ჩხარტიშვილი,83-91). იგი თავის თხზულებაში ხშირად მიმართავს ამგვარ გამოთქმებს: „ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (ქართლის ცხოვრება, 17), „ესევითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ქართლის ცხოვრება, 13), „ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ბერძენთასა“ (ქართლის ცხოვრება, 69) და სხვ.

სრულიად აშკარაა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი მოტანილი ფრაზებით მიუთითებს იმ წყაროებზე, რომლებითაც ის თავისი თხზულების წერისას სარგებლობდა. ბუნებრივია, ყოველ შემთხვევაში არ ხერხდება „მეფეთა ცხოვრების“ ერთი კონკრეტული წყაროს დამებნა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ბერძენთა მოქცევაზე არაერთი ბიზანტიელი ავტორი (ევსევი კესარიელი, რუფინუსი, სოზომენოსი, თეოდორიტე და სხვ.) მოგვითხრობს, მაგრამ „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული შედარებით მწირი ცნობით

ჭირს ქართველი მემატიანის წყაროს ზუსტი მითითება. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება „მეფეთა ცხოვრების“ წყაროს დადგენა და მისი შესწავლა გვარწმუნებს, რომ ქართველი ისტორიკოსისათვის ფაქტების თხრობაში თუ მათ ინტერპრეტაციაში განმსაზღვრელი სწორედ წყაროს მონაცემებია.

„მეფეთა ცხოვრება“ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ გვამცნობს: „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქჳან მაკედონი, ძე ნიკტანებისა, მეგჳპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (ქართლის ცხოვრება, 17). ამ ცნობაზე და, საერთოდ, ალექსანდრე მაკედონელის შესახებ „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცულ მონათხრობზე, რომელზეც ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით*, დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ბერძენთა წიგნი“ არის ფსევდოკალისთენეს პოპულარული თხზულება „ალექსანდრეს რომანი“ ანუ „ალექსანდრიანი“ (კეკელიძე, 48-50; კაკაბაძე, 132; ინგოროყვა, 59-60; ყაუხჩიშვილი, 232; მამულია, 152-153; Меликишвили, 38).


მიუხედავად იმისა, რომ ზემომოტანილი დასკვნა სრული ჭეშმარიტებაა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ იყო დამუშავებული საკითხი, თუ „ალექსანდრეს რომანის“ რომელი რედაქცია წარმოადგენდა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის წყაროს. არადა, ამ პრობლემის გადაჭრით შესაძლე-

---

* ცნობილია, რომ ქართული თხრობითი წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მეფეთა ცხოვრება“) ცნობებით, ალექსანდრე მაკედონელმა უშუალოდ დალაშქრა ქართლი, რაც ისტორიულად არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ საისტორიო ტრადიციის წარმოშობის მიზეზების ახსნა შესაძლებელია, ჩვენ მასზე არ შევჩერდებით. ეს საკითხი წინამდებარე წერილის მიზნებს სცილდება და ცალკე კვლევის საგანია.

ბელი ხდება „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის წყაროს ზუსტი დათარიღება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენამდე „ალექსანდრეს რომანის“ ხელნაწერთა მხოლოდ გვიანდელმა რედაქციებმა მოაღწია. ისინი IV-VIII სს. განეკუთვნებიან. საერთოდ, ძველ ბერძნულ ენაზე ცნობილია ამ თხზულების ექვსი რედაქცია და მიღებულია მათი შემდეგნაირი აღნიშვნა: α, β, γ, δ, ε, λ (Mitsakis, 6-7), უძველეს α-სთან სხვა რედაქციების მიმართება სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



(ამ რედაქციამ ჩვენამდე არ მოაღწია და ის მხოლოდ ლათინური თარგმანითაა ცნობილი)

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანი“ მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული თხზულება იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს რომანი სხვადასხვა ხალხთა ენებზე (ლათინურ, სომხურ, ქართულ, კოპტურ, ეთიოპურ, სირიულ და სხვ.) იყო ნათარგმნი (ალექსანდრიანი, 4).

ახლა მივუბრუნდეთ „მეფეთა ცხოვრებაში“ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ დაცულ ცნობებს, შევადაროთ ისინი „ალექსანდრეს რომანის“ ზემოჩამოთვლილ რედაქციათა მონაცემებს და ვაჩვენოთ, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს ქართველი მემატიანის წყაროს.

„მეფეთა ცხოვრების“ ზემოთ მოტანილი ფრაზა, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყო ეგვიპტის ფარაონ ნიკტანების (ნიკტანაფ II- 358-341 წწ. ძვ. წ.) ძე, „ალექსანდრეს რომანის“ ყველა რედაქციისათვისაა დამახასიათებელი და მასზე დაყრდნობით ერთი რომელიმე კონკრეტული რედაქციის გამოყოფა არ ხერხდება. აქ, სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ რომანის ამ მონათხრობით მიუთითებენ თხზულების ეგვიპტურ წარმომავლობაზე. მართლაც, აშკარაა რომანის ავტორის ცდა, რომ ალექსანდრე გამოიყვანოს არა ეგვიპტის დამპყრობლად, არამედ ქვეყნის კანონიერ მპყრობელად, ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონის მემკვიდრედ.

„მეფეთა ცხოვრებაში“ ნათქვამია: „და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგჳპტედ, აღაშენა ქალაქი ალექსანდრია, და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა, თორმეტსა წელსა შინა დაეპყრნეს ყოველნი კიდენი ქუეყანისანი და მეთოთხმეტე წელსა ალექსანდრიას შინა მოკუდაო იგი, უსწორო დიდი ჴელმწიფე“ (ქართლის ცხოვრება, 19). ალექსანდრიის აშენებაზე, რა თქმა უნდა, რომანის ყველა რედაქცია მოგვითხრობს, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რომელი რედაქცია ალექსანდრეს ცხოვრებისა და ბრძოლის რამდენ წელს იძლევა. უძველესი α და მასთან ერთად ასევე ძველი სომხური ვერსია (V ს.) ამბობენ, რომ ალექსანდრემ იომა 7 წელი. β და მისგან წარმომდგარი λ იძლევიან 12 წელს, ე.ი. იმდენს, რამდენიცაა ქართულ წყაროში. იგივე ცნობაა დაცული რომანის γ (გამა) რედაქციაშიც, სადაც ვკითხულობთ: „Ἐπολέμησε δὲ Ἔτη δώδεκα“- „იომა თორმეტი წელი“ (γ, III, 35). ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა „ალექსანდრეს რომანის“ α ან β, ან λ, ან γ რედაქცია. რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ქ. ალექსანდრიაში გარდაცვალებას (სინამდვილეში ალექსანდრე ბაბილონში აღესრულა - ვ. ვ.), ქართული თხზულების ეს შეცდომა, ვფიქრობთ, ადვილი ასახსნელია. ზემოჩამოთვლილ რედაქ-

ციათა III წიგნის 34-ე თავში ნათქვამია, რომ მეფის ცხედარი, წინასწარმეტყველის ნებით, გადასვენებულ იქნა ალექსანდრიაში. ჩვენი აზრით, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა ქალაქი, სადაც დაკრძალეს ალექსანდრეს ნეშტი, მისი სიკვდილის ადგილადაც მიიჩნია.

„მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა გარდაცვალებამდე, ჯერ კიდევ „სიცოცხლესავე შინა მისსმა განუტევა ყოველნი მთავრნი, რომელნი შეპყრობილ და დამონებულ იყვნენ მისგან და იგინი წარვიდეს თჳსთჳსად ქუეყანად, ვითარცა ბრძანებულ იყო.

მერმე მოიყვანნა ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელნი იყვნეს სახელით: „ანტიქოზ, ჰრომოს, ბიზანტიოს და პლატონ“.

და მისცა ანტიოქოზს ასურასტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას. და აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია.

ხოლო ჰრომოს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა. და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი.

და ბიზანტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა...და მან აღაშენა ქალაქი ბიზანტია, რომელსა აწ ჰქჳან კონსტანტინოპოლი.

ხოლო პლატონ დაუტევა ალექსანდრიას“ (ქართლის ცხოვრება, 19-20).

ასეთია ქართული წყაროს მონათხრობი ალექსანდრე მაკედონელის მიერ სიცოცხლეშივე თავისი სამფლობელოების დაყოფის შესახებ.

არც α, არც β და არც რომელიმე სხვა რედაქცია, გარდა γ-სი, არ იძლევიან მსგავს სახელებს იმ პირთა, რომლებსაც გაუნაწილა ქვეყანა ალექსანდრე დიდმა. ზემოჩამოთვლილ რედაქციებში (γ-ს გამოკლებით) სამეფოს დანაწილებისას ალექსანდრე მაკედონელს გაცილებით მეტი მემკვიდრე ჰყავს და ისინი, უმეტესწილად, ისტორიული პირები არიან.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ არის აღწერილი მოტანილი ამბები γ რედაქციაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასახე-

ლებულ რედაქციაშიც, „მეფეთა ცხოვრების“ მსგავსად, ალექსანდრეს მხოლოდ ოთხი მემკვიდრე იხსენიება. მათგან თითოეულს შემდეგი ტერიტორიები ერგო სამართავად: 1. სელევკოსს წილად ხვდა სპარსეთი და ინდოეთი; 2. პტოლემაიოსს - ეგვიპტე; 3. ანტიოქოსს - ასირია; 4. ფილონბიზანტიოსს - მაკედონია (γ, III, 33).

შევადაროთ ბერძნული და ქართული თხზულებების მონაცემები.

1. γ რედაქციაში და „მეფეთა ცხოვრებაში“, ორივეგან, ალექსანდრეს ერთ-ერთი მემკვიდრე არის ანტიოქოსი. მისი წილხვედრი ქვეყანა, ბერძნული წყაროს „ასირია“ იგივეა, რაც ქართულის „ასურასტანი“.

2. γ-ში ბიზანტიოსს წილად ხვდა მაკედონია, ქართულ წყაროში ასევე ბიზანტიოსს - საბერძნეთი. აქაც აბსოლუტური თანხვედრაა. ის, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორისათვის საბერძნეთი და მაკედონია სინონიმებია, აშკარაა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობიდან: „ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქჳან მაკედონი“ - წერს ქართველი მემატიანე.

3. γ-ში იხსენიება პტოლემაიოსი, რომელსაც ალექსანდრე დიდმა სამართავად გადასცა ეგვიპტე. ქართულ წყაროში კი გვაქვს: „პლატონ დაუტევა ალექსანდრიას“. ჩვენი აზრით, სრულიად აშკარაა, რომ ქართულ ტექსტში დაცული პლატონი იგივე პტოლემაიოსი უნდა იყოს. სახელების გარეგნული მსგავსება, როგორც ხმოვანებით ისე დაწერილობით, შესაძლოა, გახდა მიზეზი იმ შეცდომისა, რამაც გამოიწვია „ალექსანდრეს რომანის“ პტოლემაიოსის ნაცვლად „მეფეთა ცხოვრებაში“ პლატონის გაჩენა. ასევე დასაშვებად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული შეცდომა ქართული წყაროს გვიანდელ გადამწერ-რედაქტორთა ხელიდან გამოვიდა.

4. რაც შეეხება იმას, რომ რომანის γ რედაქციაში გვაქვს სელევკოსი, ხოლო მის ნაცვლად „მეფეთა ცხოვრება“ ახსენებს ჰრომოსს, ჩვენი აზრით, დღესდღეობით არსებული

მონაცემებით, ამ ფაქტის ახსნა თითქმის შეუძლებელია. ზემომოტანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ ქართველი მემატიანე წყაროს ჩვენებას მიჰყვება და არაფერს ზედმეტს არ იგონებს. ვფიქრობთ, a priori შეიძლება დავუშვათ, რომ „მეფეთა ცხოვრების" ავტორს ხელთ ჰქონდა „ალექსანდრეს რომანის" რედაქციის ისეთი ხელნაწერი, სადაც სელევკოსის ნაცვლად მოიხსენიებოდა ჰრომოსი და ამ უკანასკნელის წილხვედრი ქვეყანაც ისე იყო განსაზღვრული, როგორც ეს ქართულ წყაროშია დამოწმებული. ამ მსჯელობის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ დღემდე „ალექსანდრეს რომანის" რედაქციამ მხოლოდ 3 ხელნაწერით (R,D,C) მოაღწია.*

ამრიგად, ზემომოტანილი მასალებით, რომლებიც „მეფეთა ცხოვრებისა" და „ალექსანდრეს რომანის" სხვადასხვა რედაქციების შედარებითმა შესწავლამ მოგვცა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული თხზულების წყარო ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არის ფსევდოკალისთენეს რომანის γ რედაქცია, რომელიც VII-VIII სს. თარიღდება. ამის უცილობელი საბუთი ისაა, რომ „მეფეთა ცხოვრებაში" დამოწმებული სახელი „ბიზანტიოსი" რომანის სხვა არცერთ რედაქციაში არ გვხვდება, ხოლო თვით γ-ში იგი მხოლოდ ერთხელ ისხენიება და ისიც ალექსანდრეს მიერ სამეფოს დანაწილების აღწერისას (γ, III, 33). აქვე სიზუსტისათვის დავძენთ, რომ ბიზანტიოსს იცნობს არა γ რედაქციის ჩვენამდე მოღწეული სამივე ხელნაწერი, არამედ მხოლოდ ერთი - C ნუსხა. დანარჩენი ორი ხელნაწერი (R და D) ამ პირს არ იხსენიებს. ვფიქრობთ, ეს ფაქტი რამდენადმე ამაგრებს

---

* აღნიშნული ხელნაწერები გამოცემულია, შესაბამისად, ურსულა ფონ ლოიენშტაინის (1962), ჰელმუტ ენგელმანის (1963) და ფრანც პარტეს (1969) მიერ.

ჩვენს წინარე მსჯელობას იმის შესახებ, რომ, შესაძლებელია, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ხელთ ჰქონდა „ალექსანდრეს რომანის“ γ რედაქციის ისეთი ნუსხა, საიდანაც მას შეეძლო აეღო ცნობა ჰრომოსის შესახებ.

ბერძნული „ალექსანდრეს რომანის“ γ რედაქციის კვლევამ დაგვარწმუნა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ სხვა ზოგიერთი ადგილის წყაროც სწორედ მასში უნდა ვეძებოთ. ვნახოთ ეს მონაკვეთებიც.

„მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში მმართველად დატოვებულ აზონს უბრძანა, „რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა, ხუთთა, და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღუარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ თჳთ მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა ყოველსა ქუეყანასა სჯული ესე დაუდვა“ (ქართლის ცხოვრება, 18-19).

ცნობა წარმართობის ხანის ქართველთა რჯულზე „მეფეთა ცხოვრების“ ამ ფრაზაზე უწინარეც გვხვდება. მასში ნათქვამია, რომ ქართლის მოსახლეობა „იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა“ (ქართლის ცხოვრება, I,II). ზემოთ კი, როგორც ვნახეთ, დამატებულია, რომ ქართველნი დასახელებულ ციურ მნათობთა გარდა „ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“ და ამ უკანასკნელის რწმენა ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით მომხდარა.

ბერძნული „ალექსანდრეს რომანის“ სხვადასხვა რედაქციებიდან პირველად ε-ში (Anonymi Byzantiani) გვხვდება ცნობა იმის შესახებ, რომ იერუსალიმში ყოფნის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ირწმუნა ერთი ღმერთი. მასში შემდეგია ნათქვამი: ალექსანდრემ იერუსალიმში შეიტყო, რომ ხალხს სწამს ერთი ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა. მაშინ ალექსანდრემ თქვა: „თქვენი ღმერთი იქნება

ჩემი ღმერთი“. მან ალექსანდრიის აშენების შემდეგ უარყო ყველა მიწიერი ღმერთი, ოლიმპზე არსებულნიც და ზღვაში მყოფნიც და აღიარა ერთი ღმერთი, რომელიც იყო უხილავი (ἀθεώρητον) შეუცნობადი (ἀνεξιχνίαστον) და სხვ. შემდეგ ალექსანდრე შესთხოვს ამ ღმერთს: ოჰ, ღმერთთა ღმერთო და შემქმნელო ხილულისა და უხილავისა (ὁρατῶν καὶ ἀοράτων), იყავნ ჩემი შემწე იმაში, რაც მინდა გავაკეთო და სხვ. (Σ, XX, 4 - XXIV, 2).

„ალექსანდრეს რომანის“ ეს მონათხრობი, რომელიც ε რედაქციაშია დაცული, შესულია ჩვენთვის საინტერესო γ-შიც (იხ.γ, II, 24 – II, 28), ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, წარმოადგენს „მეფეთა ცხოვრების“ წყაროს. ახლაც, თუ შევადარებთ ქართული თხზულების ცნობას „ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“ და ფსევდოკალისთენეს რომანის γ რედაქციის ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ტექსტს, სრულიად აშკარაა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ წყარო აქაც ბერძნული „ალექსანდრეს რომანის“ γ რედაქციაა.

და მართლაც, შუა საუკუნეების ეპოქის ქართველი ქრისტიანი ავტორისათვის, ბუნებრივია, „ალექსანდრეს რომანის“ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ერთ-ღმერთიანობის რწმენის შემოღების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო. ქართველი მემატიანე გულისყურით მოეკიდა წყაროს აღნიშნულ ჩვენებას და როგორც ნაჩვენები იყო, იგი თავის თხზულებაში შეიტანა.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცულ ერთ ფრაზაზე. მისი ავტორი ალექსანდრე მაკედონელის ეპითეტად იყენებს გამოთქმას „უსწორო დიდი ჴელმწიფე“ (ქართლის ცხოვრება, 19). ჩვენი აზრით, ისიც ბერძნული „ალექსანდრეს რომანის“ γ რედაქციიდან უნდა მომდინარეობდეს: ამ უკანასკნელში ალექსანდრეს შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო „παμμέγιστος βασιλεύς“ ანუ „შეუდარებლად დიდი მეფე-ხელმწიფე“ (γ, III, 34). ვფიქრობთ,

ბერძნული სიტყვიდან - „παμμέγιστος“ - არის წარმომდგარი ქართველი მემატიანის „უსწორო დიდი“, რაც იგივე „შეუდარებლად დიდს“, ან „განუსაზღვრელად დიდს“ უდრის.

„მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ქართლში მოსულმა ალექსანდრე მაკედონელმა „ჰოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათჳს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჰამდეს“ (ქართლის ცხოვრება, 17). ამ შემთხვევაშიც ქართველი ავტორის წყაროს წარმოადგენს ბერძნულ „ალექსანდრეს რომანში“ უწმინდურ ხალხთა შესახებ დაცული ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, ფსევდომეთოდიოსის „გამოცხადებიდან“ არის იქ შესული.*

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის - „მეფეთა ცხოვრების“ - ავტორი, ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას, წყაროდ იყენებს ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანის“ γ რედაქციის ერთ-ერთ ხელნაწერს. ეს რედაქცია კი მისი ხელნაწერთა გამომცემლების მიერ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, VII-VIII სს. არის დათარიღებული. ქართული და ბერძნული თხზულებების ტექსტოლოგიურმა შედარებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ამბების გადმოცემისას ქართველი მემატიანე თითქმის ზუსტად მიჰყვება წყაროს ჩვენებას, ანდა მასში დაცული ცნობების თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენს. ყოველ შემთხვევაში, ნაშრომში მოტანილი მაგალითები, ჩვენი აზრით, ამტკიცებს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორისათვის უცხოა წყაროს ცნობების თვითნებური დამახინჯება. რა თქმა უნდა, ჩვენ

---

* ამ საკითხზე და მიზეზებზე, რამაც გამოიწვია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის მიერ უწმინდურ ხალხთა ჩვევების გავრცელება ძველი ქართლის მოსახლეობაზე, ჩვენ სხვა ნაშრომში იქნება საუბარი.

შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ „მეფეთა ცხოვრების“ წყაროდ გამოყენებისას მასში დაცული ცნობები უკრიტიკოდ გამოვიყენოთ, მაგრამ, საკითხის სწორად გადაჭრისათვის, უცილობლად მიგვაჩნია ყოველი ცნობის პირველწყაროთა დაძებნა, მათდამი მიდგომის ქართველი მემატიანისეული შემოქმედებითი მეთოდის განსაზღვრა და სხვა. ვფიქრობთ, „მეფეთა ცხოვრების“ ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი კვლევა გააქარვებს იმ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, რასაც დღემდე იჩენენ მეცნიერნი მისი, როგორც საქართველოს ძველი ისტორიის წყაროს, გამოყენებისას. წინამდებარე ნაშრომი სწორედ საკითხის ამგვარი შესწავლის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მელიქიშვილი გ. საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. თბ., 1970.

2. ჩხარტიშვილი მ. წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებაში. „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, 1982.

3. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბ., 1955.

4. კეკელიძე კ. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. - „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, № 3. თბ., 1923.

5. კაკაბაძე ს. ძველი ქართული მატიანეები. საისტორიო ძიებანი,ტფილისი, 1924.

6. ინგოროყვა პ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938.

7. ყაუხჩიშვილი ს. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. თბ., 1949.

8. მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ., 1979.

9. ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რ. მირიანაშვილმა. თბ., 1980.

10. Anonymi Byzantiani. Vita Alexandri regis Macedonum. Primum edidit J. Trumpf. Stutgardiae, 1974.

11. Mitsakis K. Der Byzantinische Alexanderroman. Miscella Byzantina monocensia. Munchen, H.7, 1967.

12. Мусхелишвили Д. Л. Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников. – „მაცნე", ისტორიის სერია, №3, 1986.

13. Майоров Г. Г. Формирование средневековой философии. М., 1979.

14. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959.

ვ. ვაშაკიძე

„მეფეთა ცხოვრება" და ბერძნული „ალექსანდრიანი"

რეზიუმე

„მეფეთა ცხოვრება", რომელიც შუასაუკუნეების ქართული მატიანის „ქართლის ცხოვრების" დასაწყის ნაწილს წარმოადგენს, ვრცელ მონათხრობს შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ წყარო ამ მონაკვეთისა იყო შუასაუკუნეებში პოპულარული „რომანი ალექსანდრეს შესახებ" ანუ „ალექსანდრიანი", რომლის ავტორობაც ფსევდოკალისთენეს მიეწერება.

უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი და გამოცემულია ხსენებული რომანის ძირითადი რედაქციები, რაც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს, თუ „ალექსანდრიანის“ რომელ რედაქციას იყენებდა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ალექსანდრეს შესახებ თხრობისას.

ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრიანის“ ყველა ვერსიის შესწავლამ აჩვენა, რომ ქართველი მემატიანის წყაროს წარმოადგენს რომანის γ (გამა) რედაქცია, რომელიც VII-VIII სს. თარიღდება.

В. В. Вашакидзе

ГРЕЧЕСКИЙ „РОМАН ОБ АЛЕКСАНДРЕ“ И „ЖИЗНЬ КАРТЛИЙСКИХ ЦАРЕЙ“

Резюме

Летопись „Жизнь картлийских царей“, которая является начальной частью средневековой грузинской хроники „Картлис цховреба“, содержит подробный рассказ об Александре Македонсеом. К. С. Кекелидзе впервые в грузинский историографии указал, что источноком этого рассказа служил популярный в средние века т.н. „Роман об Александре“ Псевдокаллисфена.

В последние десятилетия выявлены и изданы основные редакции романа, что дает возможность решить какую из разнообразных редакции „Роман об Александре“, перерабатывавшегося на протяжении более 1000 лет, использовал автор „Жизнь картлийских царей“ в своей хронике.

Изучение всех версии романа Псевдокаллисфена показало, что источником для грузинского летописца послужила редакция γ (гамма), созданная около VII-VIII вв. на основе более ранних редакций сочинения.

V. Vashakidze

'The Life of Kings' and Greek 'Romance of Alexander the Great ('Alexandriani')'

Summery

'The Life of the Kings' that is the first part of middle age Georgian Chronicles 'Kartlis Tskhovreba' (The Life of Kartli), consists of long story about Alexander of Macedon. In Georgian historiography, it was K. Kekelidze who was the first to suggest that the source for this part was the middle age popular novel 'the Romance of Alexander the Great'. Its author is supposed to be pseudo-Callisthenes.

In recent years the main editions of the above mentioned novel are revealed and published. It makes possible to specify which edition was used by the author of 'The Life of the Kings' when talking about Alexander. The study of all versions of pseudo-Callisthenes's novel showed that the source for Georgian chronicler is γ (gamma) edition of the novel that is dated to VII-VIII centuries.

კრებ.: ისტორიულ - წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ.; 1991

ტერმინი „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში

საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლად, მდიდარი არქეოლოგიური მასალის გვერდით, მრავალრიცხოვანი ქართული თუ უცხოენოვანი წერილობითი წყარო მოგვეპოვება. მათ შორის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძენ-რომაელი ავტორების სრულად ან ფრაგმენტების სახით მოღწეულ თხზულებებს, რომლებიც ჟანრობრივი მრავალფეროვნებით (ეპოსი, ლირიკა, დრამა, საისტორიო და გეოგრაფიული პროზა და ა.შ.) გამოირჩევა. სწორედ ამითაა განპირობებული ის, რომ ამ ნაწარმოებებში დაცული ცნობები წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი სამშობლოს ფიზიკურ გეოგრაფიაზე, სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაზე, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე და სხვა.

ბუნებრივია, ძველ ბერძნულ მწერლობაში ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობები გაჩნდა მას შემდეგ, რაც დამყარდა ურთიერთობა ბერძნულ და ქართულ სამყაროებს შორის. ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ამ ურთიერთობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპის გამოყოფა ხერხდება. მათგან აღსანიშნავია: ბერძნული კოლონიზაციის განვითარება (ძვ. წ. VIII-VI სს.), ბერძენ-სპარსელთა ომები (ძვ. წ. 500-449 წწ.), ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ლაშქრობები აზიაში (ძვ. წ. IV ს. 30-20-იანი წლები), მითრიდატე VI ევპატორის მიერ რომის იმპერიასთან წარმოებული ომები (ძვ. წ. I ს. პირველი ნახევარი). აღნიშნული მოვლენების წყალობაა ქართველური მოდგმის ტომებისა და მათ მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთეულების - კოლხეთისა და იბერიის - შესახებ ცნობების თავმოყრა ლოგოგრაფოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფოსებისა და სხვათა. შრომებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბერძნულ მწერლობაში თავდაპირველად ვხვდებით ცნობებს შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომების (კოლხები, ჰენიოხები და სხვ.) შესახებ. ამის მიზეზი კი უცილობლად ისაა, რომ ძველმა ბერძნებმა თავდაპირველად გაიცნეს ზღვისპირას მცხოვრები ხალხები, მოგვიანებით კი ქვეყნის შიგნით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იბერები.

უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი დროიდან მოკიდებული ქართული საისტორიო ტრადიცია ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას ქართლს უწოდებს. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლი იყო ის ადგილი, სადაც დამკვიდრდა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი. თარგამოსმა „მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემოთ აღვწერეთ. და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისი თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნზედა არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" („ქართლის ცხოვრება", 8).

ქვეყანას, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სახელით იცნობს, ძველი ბერძენი ავტორები „იბერიას" უწოდებდნენ. მათი გავლენით ლათინურ მწერლობაშიც ეს სახელწოდება დამკვიდრდა. „იბერია" ანტიკურ წყაროებში ლიხის ქედს, ან მესხეთის მთების აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა იყო და ელინისტური ხანიდან მოყოლებული, როცა იგი პირველად იჩენს თავს, მტკიცედ აღნიშნავდა გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს (მელიქიშვილი, 425).

როგორც ვთქვით, სახელწოდება „იბერია“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, პირველად ანტიკურ ავტორებთან მოიხსენიება. ძველ ქართულ ენაში მისი პროტოტიპის დაძებნა ძალზე ჭირს, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ტერმინი „იბერია“ უცხოენოვან სამყაროში უნდა გაჩენილიყო. ვიდრე ამ სახელის წარმოშობას შევეხებით, გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ ის ბერძნული წყაროები, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს „იბერიისა“ და „იბერების“ შესახებ უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის დამდეგამდე.

სახელი „იბერია“ ბერძენთათვის ოდითგანვე იყო ცნობილი, მაგრამ გარკვეულ დრომდე, როგორც წესი, ამ სახელით მხოლოდ პირინეის ნახევარკუნძულის იბერებს მოიხსენიებდნენ. მაგ., ჰეკატეოს მილეტელი (დაახლ. 549-472 წწ.) თავის „გენეალოგიასა“ და „დედამიწის აღწერაში“ მრავალგზის ახსენებს იბერიასა და იბერებს, მაგრამ უკლებლივ ყველა ეს ცნობა ესპანეთის მიწაზე მცხოვრებ იბერებს ეხება (ჰეკატეოს მილეტელი, 1-47).

საერთოდ, გვინდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის უცხო არ არის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხალხების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს: საბერძნეთის აქაიები და შავიზღვისპირეთის აქაიები; ლიბიის მახლიები და მეოტიდის მახლიები, იტალიელი, ალბანიის მთის მცხოვრებნი ან თესალიელი ალბანები და კავკასიაში მოსახლე ალბანები; პირინეის ნახევარკუნძულის იბერები და ქართველი იბერები და სხვა.

კავკასიელი იბერების პირველი უეჭველი ხსენება ძვ. წ. IV-III სს. ავტორის მეგასთენეს „ინდიკაში“ გვხვდება. ამიტომ ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ არც ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-425 წწ.), არც ქსენოფონტი (ძვ. წ. 435/31 – 335/54 წწ.) და არც სხვა ადრინდელი ავტორი არსად ასახელებს იბერებსა და იბერიას. არადა ამ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უეჭველად სახლობდა განვითარების ძალზე

მაღალ დონეზე მყოფი ხალხი. ამას თვალნათლივ ადასტურებს უმდიდრესი არქეოლოგიური მონაპოვარი. ამის თაობაზე ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ჰეროდოტეს „ისტორიაში“ სასპეირების სახელით ცნობილი ტომი მერმინდელი იბერები არიანო. მკვლევარი, ვრცელი ენობრივი ანალიზით, ერთმანეთს უკავშირებდა ჰეროდოტეს სასპეირებს, ქსენოფონტის ჰესპერიტებს, აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) საპეირებს, სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 - ახ. წ. 23/24 წწ.) სჳსპირიტებს და ქართველ იბერებს.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, შესაძლოა, ამ ავტორებმა (ჰეროდოტე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი) იცოდნენ კიდეც იბერიის არსებობა, მაგრამ არ ახსენებენ მას იმიტომ, რომ იგი მათი თხრობის სფეროში არ შედიოდა. „ან კიდევ უფრო სარწმუნოდ მეჩვენება ის ამბავი, განაგრძობს მკვლევარი, რომ იბერია ბერძენ ავტორებთან სტრაბონამდე (თუ მის წყაროებამდე) საერთოდ არ იხსენიება, ეს მანამ, სანამ მითრიდატეს ომების დროს არ შეხვდნენ ერთმანეთს რომაელები და იბერები“ (ყაუხჩიშვილი, 1976, 49).

პლატონი (ძვ. წ. 428-348 წწ.) და არისტოტელე (ძვ. წ. 384-322 წწ.) იბერებს ჩვეულებრივ პირინეის ნახევარკუნძულის მკვიდრთ უწოდებენ. მაგრამ ამ ავტორებთან გვაქვს თითო შემთხვევა ისეთი, სადაც მთლად გარკვეული არ არის, რომელ იბერებზეა ლაპარაკი - ესპანეთისა თუ კავკასიის.

არისტოტელეს „პოლიტიკაში“ (№ 1324) ნათქვამია, რომ მრავალი ტომის სიქველეს მათი კანონები განაპირობებს. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის ამ ტომებს და აგვიწერს მათ ზნე-ჩვეულებებს, მაგ., სკვითებში ნებადართული არ იყო რომელიღაც დღესასწაულის დროს ჩამოტარებული სასმისი იმას დაელია, ვისაც არცერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული, ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, წესია იმდენი ობელისკი უნდა დაირჭოს საფლავის ირგვლივ,

რამდენი მტერიც ჰყავს გარდაცვლილს მოკლული (არისტოტელე, 68-69).

სრულიად დასაშვებია, რომ ეს ცნობა კავკასიის იბერებს ეხებოდეს. ამ რეგიონის სინამდვილისათვის უცხო არ არის მოკლული მტრის რაოდენობის რაღაც ერთეულით აღნიშვნა.

მაგ., ჰეროდოტეს „ისტორიის“ ერთი ცნობით, სკვითთა შორის ყველაზე მამაც ვაჟკაცად ის ითვლებოდა, ვისაც უფრო მეტი მტრის თავიდან გადაბრობილი კანის ხელსახოცი ჰქონდა (IV, 64).

ნიკოლაოს დამასკელის (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 14 წწ.) სიტყვებით, სინდები (სკვითური მოდგმის მეოტი ტომი - ვ. ვ.) იმდენ თევზს აგდებდნენ საფლავზე, რამდენი მტერიც ჰყავდა გარდაცვლილს მოკლული („უცნაურ რჩევათა კრებული“, § 120).

მსგავსი ხასიათის ცნობებს გვაწვდის ქართული ეთნოგრაფიული მასალა. სვანეთში, „როცა მოკლულს მიწას მიაბარებენ, მის საფლავზე, ვისთვისაც სისხლის აღება სავალდებულოა, ის გაისვრის ხოლმე თოფს და მით ფიცსა სდებს, რომ სისხლს აიღებენ. ხოლო როცა ისისხლებენ, ხშირად გაეშურებიან მოკლულთა საფლავზე, ჯოხს ჩაარჭობენ ხოლმე საფლავში და ჩასძახებენ „გისისხლეო“ (გაბლიანი, 134).

მთიულეთში იმდენი ჭდე კეთდებოდა კვერთხზე, რამდენმა კაცმაც დადო ფიცი, რომ მოკლულს ისისხლებდა, ხოლო ქისტი იმდენ წითელ ხელსახოცს იკეთებდა ქამარში, რამდენი მტერიც ჰყავდა მოკლული (ყაუხჩიშვილი, 1976, 68).

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითები იმ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა, რომ არისტოტელეს ხსენებულ ცნობაში დამოწმებული „იბერები“ ჩვენს წინაპრებთან გავაიგივოთ. ასევე შეიძლება კავკასიის იბერებად მივიჩნიოთ პლატონის „კანონებში“ (1,9) დასახელებული იბერები, სადაც ეს უკანასკნელნი იმავე ეპითეტით

იხსენიებენ, როგორც არისტოტელესთან. პლატონი ჩამოთვლის სხვადასხვა ხალხებს: „. . . სკვითები და სპარსელები, ან კიდევ კართაგენელები, კელტები, იბერები და თრაკიელები. ყველა ეს ტომი ხომ მეომარია“ (პლატონი, 67).

თუ ჩავთვლით, რომ არისტოტელესთან და პლატონთან მოხსენიებული იბერები ჩვენი წინაპრები არიან, მაშინ ეს ცნობები იქნება პირველი და უძველესი მათ შორის, რაც კი ბერძნულ მწერლობაში მოგვეპოვება იბერების შესახებ. მაგრამ ვფიქრობთ, გადაჭრით იმის მტკიცება, რომ არისტოტელესა და პლატონთან დაცულ ამ ცნობებში უთუოდ კავკასიის იბერები იგულისხმებიან, არ შეიძლება.

როგორც ზემოთ ითქვა, ძველი ბერძენი ისტორიკოსი მეგასთენე თავის თხზულებაში „ინდიკა“, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული, იხსენიებს იბერიას. იქ, სადაც ლაპარაკია ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისის ლაშქრობებზე იბერიასა და ლიბიაში, ეჭვგარეშეა, რომ ესპანეთის იბერია უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომელიც ასურეთის მეფე ნაბუქოდონოსორის საგმირო ამბებს ეხება, ნათქვამია: „როგორც მეგასთენე ამბობს, გმირობით ჰერაკლეს მსგავსმა ნაბუქოდონოსორმა ლიბიასა და იბერიაში ილაშქრა, დაიმორჩილა ისინი, ნაწილი მცხოვრებთა აჰყარა და პონტოს მარჯვენა მხარეს დაასახლა“ (მეგასთენე, 417) (ფრაგმენტი დაცულია Evseb. Pr. Ev. IX, p. 456,D).

ამ ნახევრადლეგენდარული ხასიათის ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს: ის ამტკიცებს, რომ ძვ. წ. IV-III სს. ავტორმა უკვე იცის მეორე იბერიის, კავკასიის იბერიის, არსებობა და ცდილობს ახსნას ამ ორი ხალხის ერთი სახელით - იბერებად - მოხსენიება. მეგასთენეს აზრით, კავკასიის იბერები ესპანეთიდან არიან გადმოსახლებულნი და ისტორიკოსი ამ საქმეს ასურეთის მეფე ნაბუქოდონოსორს მიაწერს. ეს თეორია შემდეგში ძალზე პოპულარული იყო. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ აბიდენოსი თავის „ასირიასა და მიდიაში“, რომლის ასევე ფრაგმენტებია შემორჩენილი, ერთ-ერთ

ნაწყვეტში სიტყვასიტყვით იმეორებს მეგასთენეს ზემოთ მოყვანილ ცნობას (აბიდენოსი, 283).

კავკასიაში იბერთა პირინეიდან მოსვლის შესახებ „გეოგრაფიის" შესავალ ნაწილში (1, 3, 21) სტრაბონიც ლაპარაკობს. მართალია, გეოგრაფოსი ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას არ იცავს, მაგრამ ბერძნულ მწერლობაში გავრცელებული შეხედულებების აღნიშვნას საჭიროდ მიიჩნევს.

ასევე იქცევა II ს. ბერძენი ავტორი დიონისიოს პერიეგეტი. „დედამიწის აღწერილობაში" ავტორი ამბობს, რომ კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ყელზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც ოდესღაც პირინეიდან მოვიდა აღმოსავლეთში და ჰირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა (ტაეპი 695 და შმდ.). უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისიოს პერიეგეტის ეს ცნობა ანტიკურ სამყაროში ძალზე პოპულარულ და გავრცელებულ ტომთა მიგრაციის შესახებ არსებულ თეორიას ეყრდნობოდა, ხოლო რაც შეეხება იბერებსა და ჰირკანიელებს (ტომი კასპიის ზღვასთან კავკასიაში - ვ. ვ.) შორის ატეხილ ბრძოლას, ეს „ტომთა შორის რეალურად არსებული ურთიერთობის გამომახილი უნდა იყოს" (ყაუხჩიშვილი, 1976, 91).

კავკასიის და ესპანეთის იბერების ურთიერთობის შესახებ ძალზე საინტერესო მასალა აქვს დაცული აპიანეს (დაახლ. 90-170 წწ.) „მითრიდატიკაში" ვკითხულობთ: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი ამათ მოახალშენეებად. სხვები კი მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენა" (აპიანე, 195).

როგორც ვხედავთ, მიგრაციის თეორია მეგასთენედან აპიანემდე (ე. ი. ძვ. წ. IV/III ს.-დან ახ. წ. II ს.-მდე) წინ არის წასული.

ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის უკვე სამი შეხედულება არსებობს: ერთი - ესპანეთის იბერების წინაპრები კავკასიელი იბერები არიან; მეორე - კავკასიის იბერები

პირინეიდან არიან წარმოშობით და მესამე - ისინი ერთი და იმავე სახელწოდების სხვადასხვა ხალხია. ჩვენთვის უცნობია, თუ საიდან აიღო აპიანემ ეს მოსაზრებანი, რადგან იგი წყაროს არ იმოწმებს, მაგრამ მისი დროისათვის რომ ასეთი შეხედულებანი არსებულა, ეს უცილობელია.

იბერიას იხსენიებს არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტოსი (ძვ. წ. IV-III სს). თავის თხზულებაში „ქვათა შესახებ“ (VIII,58) იგი ლაპარაკობს სინგურის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი ორი სახისაა: თვითნაბადი და ხელოვნური. პირველი მოიპოვება იბერიასა და კოლხიდაში (თეოფრასტოსი, 387).

უნდა შევნიშნოთ, რომ მეგასთენეს მსგავსად, დაახლოებით ძვ. წ. 372-287 წწ. ავტორმა თეოფრასტოსმაც კარგად იცის კავკასიის იბერიის არსებობა და მოისხენიებს კიდეც მას.

ამდენად, მეგასთენეს და თეოფრასტოსს მკაფიო წარმოდგენა აქვთ ჩვენ იბერიაზე, მაგრამ შემდგომი ხანის ბერძენ ავტორებს უფრო მრავალფეროვანი ცნობები მოეპოვებათ იბერიის შესახებ. ამას ხელი შეუწყო იმ მოვლენებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა თავის „გეოგრაფიაში“ (1, 2, 1). სტრაბონი ბერძნულ-რომაული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაზე ლაპარაკისას გამოჰყოფს მის ძირითად ეტაპებს, სახელდობრ: ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობას, მითრიდატე VI ევპატორის ომებსა და რომაელთა და პართელთა ექსპანსიას. მართლაც, ალექსანდრეს დაპყრობითმა ომებმა, განსაკუთრებით კი მითრიდატე პონტოელის ბრძოლამ რომის იმპერიის წინააღმდეგ, ბერძენ-რომაელ ავტორებს ზედმიწევნით კარგად გააცნო ბევრი ქვეყანა და მათ შორის იბერია.

ძვ. წ. II ს. ავტორი აპოლოთოროსი თავის ნაშრომში „დედამიწის შესახებ“, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული, ორჯერ იხსენიებს იბერიას. პირველი ფგრაგმენტი გვამცნობს, რომ იბერია ორია და მათგან ერთ-

ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდ. იბეროსთან მდებარეობს (აპოლოდოროსი, 450). მართალია, აპოლოდოროსი არ განმარტავს მეორე, ე.ი. კავკასიის, იბერიის ადგილსამყოფელს, მაგრამ მასაც რომ კარგად იცნობს, მეორე ფრაგმენტიდან ჩანს. იგი დაცულია სყტრაბონის „გეოგრაფიაში“ (1, 3, 21). ამ პარაგრაფში გეოგრაფოსი ეკამათება აპოლოდოროსს, რომელსაც მიაჩნდა, რომ იბერია არმენიისაგან მდ. არაქსით იყო გამოყოფილი (აპოლოდოროსი, 451). სტრაბონი უსწორებს მას და აღნიშნავს, რომ საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის მდ. მტკვარი და მოსხური მთებია. მკვლევარნი სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ამ ორ ცნებაში სხვადასხვა დროის პოლიტიკური ვითარება აისახა (ჯანაშია, 1952, 254; Меликишвили, 137).

აპოლოდოროსის დროს (ძვ. წ. II ს.) არმენიასა და იბერიას შორის საზღვარი მდ. არაქსზე (ალბათ, მის ზემო წელზე) გადიოდა, ხოლო სტრაბონის ხანისათვის - მოსხურ მთებსა და მდ. მტკვარზე (აგრეთვე, ალბათ, მის სათავეებზე) (მუსხელიშვილი, 56).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მითრიდატე პონტოელის ომებმა რომის წინააღმდეგ ახალი ეტაპი შექმნა ბერძნულ-რომაული ისტორიული და გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში. იბერია თავად იყო ამ ომების უშუალო მონაწილე, რამაც ასახვა ჰპოვა ანტიკურ მწერლობაში.

ძვ. წ. II-I სს. ავტორი თეოფანე მიტილენელი კარგად იცნობს იბერიას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სტრაბონი „გეოგრაფიის“ XI წიგნში ოთხჯერ (2, 2; 5, 1; 14, 4; 14, 11), ხოლო თხზულებაში მრავალჯერ იმოწმებს მას კავკასიის, კერძოდ იბერიის, აღწერისას. მაგ., XI, 5, 1 პარაგრაფში სტრაბონი წერს: „თეოფანე, რომელიც იყო პომპეუსის თანამოლაშქრე და იყო ალბანეთში, ამბობს, რომ ამაძონებსა და ალბანებს შორის სკვითები - გელები და ლეგები - ცხოვრობენ“. XI, 14, 11-ში გეოგრაფოსი, თეოფანე მიტილენელის მიხედვით, გვიხასიათებს არმენიას და სხვა. თვით

თეოფანე „მითრიდატიკაში“ სახელს „იბერია“ მხოლოდ ერთხელ იხსენიებს, მაგრამ, ეს იმის ბრალია, რომ ამ ნაწარმოების მხოლოდ ფრაგმენტები მოგვეპოვება. ეს ერთადერთი ფრაგმენტიც „გეოგრაფიაშია“ (XI, 14, 4) დაცული. მასში ნათქვამია: „ხორზენე და კამბისენე უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეებია (იგულისხმება არმენიისათვის - ვ. ვ.) და განსაკუთრებით თოვლიანი არიან. ეკვრიან ისინი კავკასიის მთებს, იბერიასა და კოლხიდას“. ეს ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ თეოფანე მიტილენელი თავისი დროისათვის ხორზენეს არმენიის უკიდურეს ჩრდილოეთის მხარედ თვლის, რასაც კარგად ადასტურებს სტრაბონის „გეოგრაფიაც“. ძვ. წ. II ს. დასაწყისში, მეფეების არტაქსიასა და ზარიადრის დროს, გაძლიერებულმა სომხურმა სამეფოებმა მეზობელ ხალხების ტერიტორიები ჩამოუჭრეს: მიდიელებს - „კასპიანე, ფავნიტი და ბასოროპედა; იბერებს - პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“ (XI, 14,5).

სტრაბონის თანამედროვე ავტორის, მემნონის, თხზულებაში „ჰერაკლეის ისტორია“ იბერიასთან დაკავშირებით ასეთი ცნობა მოიპოვება: პონტოს მეფემ მითრიდატემ ძვ. წ. 89-88 წწ. ზამთარში სასტიკი ბრძოლა წამოიწყო რომაელთა წინააღმდეგ. ამ დროს მან დაიმორჩილა ფაზისის მიდამოებში მცხოვრებ ხალხთა მეფეები, კავკასიის გადაღმაც განავრცო თავისი ძალაუფლება და მეტისმეტად გადიდგულდა. რომის სენატის ბრძანებით, მითრიდატემ დამორჩილებულ მეფეებს მამულები დაუბრუნა, მაგრამ, ამავე დროს, მოკავშირეებად გაიხადა პართები, მიდიელები, სკვითი მეფეები (სხვა წაკითხვით - ფრიგიელი მეფეები) და იბერი მეფე (მემნონი, 541).

მემნონის ეს ცნობა რომ ჭეშმარიტებას გვამცნობს, ამის დადასტურებას პლუტარქეს (46-120 წწ.) „ლუკულუსის“ ბიოგრაფიაში ვხვდებით. პლუტარქე აგვიწერს ძვ. წ. 69 წ. ამბებს, როცა ლუკულუსმა ალყა შემოარტყა ტიგრანოკერტს. ამ დროს სომეხთა მეფე ტიგრანესთან მივიდნენ არმენიელე-

ბი და გორდიენები, მიდიელები და ადიაბენები, ბაბილონის ზღვისპირეთიდან არაბები, ხოლო კასპიის ზღვის მხრიდან - ბევრი ალბანი და იბერი, ალბანების მეზობლად რომ ცხოვრობენ (პლუტარქე, XXVI).

ძვ. წ. 68 წ. არტაქსატასთან ბრძოლაში იმავე ლუკულუსის ლეგიონების წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩამწკრივებული. მოწინავეთა რიგებში „შუბოსანი იბერები იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო მეტ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანე სწორედ მათ უცხადებდა“ (პლუტარქე, XXXI).

პლუტარქეს ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ რომაელთა წინააღმდეგ იბერები აქტიურად იბრძოდნენ და მათდამი ტიგრანე არმენიელის დიდი ნდობა, უეჭველია, მათი მოკავშირეობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ეს კი ზუსტად აისახა მემნონის ზემოთ მოყვანილ წყაროში.

ბერძენ ავტორთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცნობილ ისტორიკოსსა და გეოგრაფოსს სტრაბონს. მისი „გეოგრაფია“ უმნიშვნელოვანესი წყაროა იბერიის (ქართლის) ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, კულტურული ყოფის თუ სხვა საკითხების შესასწავლად (ყაუხჩიშვილი, 1957).და მაინც, ამ თხზულებაში დაცულ ცნობათა შორის გამოყოფის ღირსია „გეოგრაფიის“ XI,3, 6 პარაგრაფი, რომელიც ელინისტური ხანის იბერიის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას აგვიწერს. ამ მხრივ იგი ერთადერთ და უნიკალურ წყაროს წარმოადგენს.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ბერძენ ავტორთა იმ თხზულებებისა, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს კავკასიის იბერიაზე ძვ. წ. IV-III სს. მიჯნიდან ახალი წელთაღრიცხვის დადგომამდე. აქ გვინდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ძვ. წ. IV-III სს. ზღვარზე ჩნდება პირველი ცნობები იბერიის (ქართლის)

შესახებ. ეს ის პერიოდია, როცა ყალიბდება ერთიანი ქართლის სამეფო, რასაც ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზის სახელს უკავშირებს. ამ დროს ქართლი - იბერია, ჩვენ ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა თუ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. მას ცხოველი პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სელევკიანების სირიის სამეფოსთან, პონტოსთან და სხვა ელინისტურ სახელმწიფოებთან. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დასახელებულ პერიოდში ბერძნულ მწერლობაში იბერიის შესახებ ცნობების გაჩენას რეალური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

იბერიის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული ლათინურ ენაზე შედგენილ თხზულებებშიც, მაგრამ ისინი, ბერძნულ წყაროებთან შედარებით, გაცილებით გვიანდელია და მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს განეკუთვნებიან. ლათინ ავტორთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებენ პომპონიუს მელა (I ს.), გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (23/24 – 79 წწ.), კორნელიუს ტაციტუსი (დაახლ. 55 -177 წწ.). მათ შრომებში არაერთი საინტერესო ცნობაა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის ქართლის სამეფოს ისტორიის ამა თუ იმ კარდინალური საკითხის შესასწავლად. ჩვენ აღარ შევუდგებით ზემოდასახელებულ ავტორებთან დაცული ცნობების განხილვას, რადგან ეს საკვლევ თემას დაგვაცილებს და მარტო იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ სახელწოდება „იბერია“ ლათინურ წყაროებში ბერძნულის გავლენით გაჩნდა. ბერძნული დაწერილობის **Ἰβηρία** ლათინურში გადავიდა როგორც **Hiberia**.

დასაწყისში ითქვა, რომ ტერმინი „იბერია“, რომელიც ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს, პირველად ანტიკურ, უფრო ზუსტად ძველბერძენ ავტორებთან მოიხსენიება. ქართულ ენაში მას პროტოტიპი არ ეძებნება, რის გამოც ეს სახელი უცხოენოვან სამყაროში გაჩენილად მივიჩნიეთ. უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინ „იბერიის“ ახსნას

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ სახელის ენათმეცნიერული შესწავლა, მისი წარმომავლობის გარკვევა არაერთმა მეცნიერმა სცადა. აქედან გამომდინარე ამ საკითხის ირგვლივ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. განვიხილოთ ისინი.

XVIII ს. სახელგანთქმული მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი, ანუ ვახუშტი ბაგრატიონი (1696 – 1756 წწ.) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა რამეთუ „იი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ჴმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“ - მოვერივე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რამეთუ ოდეს ი მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თჳსითა, მაშინ აღუტევა ჴმა სპათა მიმართ თჳსთა: „იი, ვერიე!“ და განჴდა ჴმა ესე, და იტყოდიან ყოველნი მისისათჳს; ამის გამო იწოდა ივერია“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 39).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი შეეცადა აეხსნა სახელწოდება „იბერიის“ - „ივერიის“ გაჩენა. მისი აზრით, არშაკის დამარცხებით აღტაცებული მეფე ადერკის შეძახილი „იი“, ვერიე!“ გახდა „ქართლის“ სინონიმი. ვფიქრობთ, დიდი ქართველი ისტორიკოსის ამ, თუნდაც გონებამახვილურ, დაკვირვებას არაფერი აქვს საერთო ტერმინ „იბერიის“ მეცნიერულ კვლევასთან, თუმცა იგი ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების გარკვეული ეტაპისათვის უდავოდ საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ტერმინ „იბერიის“ საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ნ. მარმა. იგი ამ სახელს ასე ჰყოფდა: ი-ბერ („i-ber“); მეცნიერი „ი“-ს მიიჩნევდა სიტყვის ფუნქციურ ნაწილად, პრეფიქსად, ხოლო „ბერ“, ნ. მარის აზრით, იყო ფუძე და ამავე დროს განსაზღვრული ტომის სახელწოდება. აქედან გამომდინარე მკვლევარისთვის უთუო იყო „ბერული

ტომების“ („берские племена“) ანდა „ი-ბერული ტომების“ („и- берские племена“) არსებობა (Марр, 354-355).

აღნიშნულ პრობლემას შეეხო ს. კაკაბაძე. იმ საკითხის გარკვევისას, „თუ ვინ იყვნენ ივერიელნი“, მან წამოაყენა მოსაზრება: „ის ტომი, რომლესაც ბერძენი და რომაელები უწოდებდნენ იბერიელებს, ქართული გამოთქმით იწოდებოდა ჰერებად. ისინი იყვნენ მონათესავე მეორე ძლიერი ხალხისა, რომელიც სელჯუკების მოსვლამდის ბატონობდა და ბინადრობდა მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კასპის ზღვამდის - სახელდობრ ალბანელებისა“ (კაკაბაძე, 11). ამ დებულებას ს. კაკაბაძე „იბერისა“ და „ჰერ“-ის სახელების იგივეობითაც ამაგრებდა. ამ სახელების მსგავსება მეცნიერს შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი: „იბერ, ჰვერ, ჰერ, არრან, ალბან, ჰალბან, შარვან“ (კაკაბაძე, 12).

კ. კეკელიძემ თითქმის გაიმეორა ს. კაკაბაძის მოყვანილი მოსაზრება. იგი თვლიდა, რომ იბერთა ტომმა ჩამოაყალიბა „საკმაოდ ძლიერი სამეფო, რომელსაც კლასიკური მწერლები იბერიას უწოდებენ, სომხები კი ვირქს, რაც იგივე იბერიაა“. მეცნიერის აზრით, „ქართული სახელი ამ სამეფოისა უნდა იყოს ჰერეთი“ (კეკელიძე, 16).

გვინდა შევნიშნოთ, რომ თუ კ. კეკელიძის აზრი ტერმინების „იბერიის“ და „ვირქის“ იგივეობის შესახებ მთლიანად მისაღებია, ამას ვერ ვიტყვით მისი მსჯელობის მეორე ნაწილზე. ე. ი. ვერ გავიზიარებთ ს. კაკაბაძის და კ. კეკელიძის შეხედულებას, რომ „იბერიის“ ქართული შესატყვისი „ჰერეთი“ უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სომეხთა „ვირქ“-ი ჰერეთს კი არ უდრიდა როგორც ამას კაკაბაძე - კეკელიძე ამტკიცებენ, არამედ გოგარეთს, ანუ ქართლის თემს. ამგვარად, სომხური „ვრაც აშხარჰ“ ვრაცთა ქვეყანა ანუ იბერია ქართლს აღნიშნავდა“ (ჯავახიშვილი, 247).

ტერმინ „იბერიის“ შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო ს. ჯანაშიამ. იგი ამ სახელს ჰეროდოტეს „ისტორიის“

სასპეიერებს უკავშირებდა. მართლაც, ძველი ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, მეწამულ ზღვასა და ფასისს შორის ცხოვრობდნენ სპარსელები, მიდიელები, სასპეირები, კოლხები (IV, 37; IV, 40). იგივე ავტორი გვამცნობს, რომ კოლხიდასა და მიდიას შორის მხოლოდ ერთ ტომია - სასპეირები (I, 104). ს. ჯანაშიამ თვალი გაადევნა ბერძნულ მწერლობაში ამ სახელის ცვალებადობას. მან ერთმანეთს დაუკავშირა ჰეროდოტეს სასპეირები, ქსენოფონტის ჰესპერიტები, აპოლონიოს როდოსელის საპეირები, ამ ხალხების საცხოვრებლის სტრაბონისეული სახელწოდება სჳსპირიტიდა, ქართული და სომხური ისტორიული წყაროების სპერი, თურქული ისპირი. ვრცელი ენობრივი ანალიზის შედეგად, ს. ჯანაშიამ ტერმინი „იბერია“ სწორედ მათგან წარმოშობილად მიიჩნია. იქვე მეცნიერი შენიშნავდა, რომ ეს ფორმა ქართული არ უნდა იყოს და ბერძნული ტრადიციიდან მომდინარეობს (ჯანაშია, 1952, 60).

ს. ჯანაშიამ თავისი ეს მოსაზრება კიდევ ერთ ნაშრომში გაიმეორა. მან აღნიშნა, რომ ქართველების ყველა უცხოური სახელწოდება, ხმარებული აზიისა და ევროპის ხალხების მიერ, „იბერ“ ფუძემდე დადის. ასეთებია სომხური „/ი/ვირ-ქ“ ի/վիր-ք „ქართველი“, ახალი სომხური „ვრაც“, ძველი სპარსული „ვრკ-ან“ და „ვრჯ-ან“ (?), სირიული „გურზ-ან“, ახალი სპარსული „გურჯ“, არაბული „ჯურზ“, თურქული „გურჯ“ და სხვა (ჯანაშია, 1959,50-51).

სატომო სახელწოდების „იბერიის“ შესახებ ფრიად საინტერესო მოსაზრება წამოაყენა დ. მუსხელიშვილმა. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ „ბერ“ (გავიხსენოთ:„ბერ“ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა“) მან იგივე „იბერის“ ექვივალენტად მიიჩნია და დაასკვნა, რომ: 1) „იმ სატომო სახელწოდებას, რომელსაც ქართველ ხალხს უცხოელები უწოდებდნენ, იცნობდნენ თვით ქართველებიც“; 2) „კახეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლე („პირველშენებული“) იბერიული ტომი იყო“; 3) „შეუძლებელი არ არის

პლინიუსის „იბერი“ მდ. იორთან („ივერთან“) დავაკავშიროთ“; 4) დასაშვებია, „სავარაუდოდ, მდ. იორის (ივრის) დაკავშირება გეოგრაფიულ „ბერ“-თან და საბოლოო ჯამში ივერ-იბერების სატომო სახელთან“ (მუსხელიშვილი, 75).

დ. მუსხელიშვილის ეს თვალსაზრისი გაიმეორა და თავის მხრივ განამტკიცა ჟ. ერიაშვილმა. მკვლევარმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ბერის ინსტიტუტს და ეთნონიმ იბერის შესახებ შემდეგი დასკვნა შემოგვთავაზა: „ცნობილია, რომ ტომების ჩამოყალიბების ხანაში ტომი და ინდივიდი, ხოლო შემდგომ მაღალი ფენა, ერთი და იმავე სახელწოდების მატარებლები იყვნენ. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ბერი არის გარკვეული ტომი, ხოლო იბერია - ქვეყანა, რომელიც ბერის ტომით არის დასახლებული, ანუ - ბერების კუთვნილი ქვეყანაა“ (ერიაშვილი, 132).

სულ უკანასკნელ ხანს ტერმინ „იბერიის“ წარმოშობასთან დაკავშირებით ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კიდევ ერთი ახალი მოსაზრება გამოითქვა. იგი ეკუთვნის ალ. სარჯველაძეს. მან არ გაიზიარა ნ. მარის, დ. მუსხელიშვილის, ჟ. ერიაშვილის ზემოთ მოყვანილი შეხედულებანი და ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება უცხოენოვან გარემოში გაჩენილად მიიჩნია. ამას ალ. სარჯველაძე იმით ამტკიცებს, რომ ტერმინი „იბერია“ პირველად, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ძველ ბერძენ ავტორებთან გვხვდება და იგი აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს, ხოლო უძველესი ქართული წყაროები ამ რეგიონს მხოლოდ და მხოლოდ „ქართლს“ უწოდებენ (სარჯველაძე, 118-123).

ალ. სარჯველაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გარდა ტერმინი „იბერია“ აგრეთვე იხმარებოდა ძველი ირლანდიის აღსანიშნავადაც (თუმცა სხვადასხვა ფორმით „Hibern“, „Ivern“ ან „Iern“). აქვე ძველი აღთქმიდან მოყვანილია ებრაელთა სახელწოდება ʿibʿrI,

როგორც მათ უწოდებდნენ ქანაანელნი და აგრეთვე სემიტები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველ ებრაულში სიტყვა ʿēber ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა. იგი წარმოდგება ʿbr ფუძისაგან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის, დაბრკოლების გადალახვას.

აქადურ ენაშიც ʿbr ძირიდან წარმოშობილი ზმნა ebêru აღნიშნავს გადალახვას, გადაცურვას, გადასვლას. ამის შემდეგ, ალ. სარჯველაძეს მოჰყავს მრავალი მაგალითი არამეული, არაბული, ბერბერული, სხვადასხვა ინდოევროპული ენებიდან და დაასკვნის, რომ სიტყვა „იბერ-ი“ წარმოდგება საერთო ინდოევროპულ-სემიტური ძირიდან - „ʿbr“-დან.

ალ. სარჯველაძის აზრით, ტერმინი „იბერი“ ბერძნულ ენაში ახსნას ვერ პოულობს და იგი სემიტურიდან უნდა იყოს შესული. მკვლევარი ვარაუდობს, რომ იმ სემიტ ხალხებს შორის, რომლებსაც შეეძლოთ გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებული ქვეყნებისათვის ეწოდებინათ სახელი „იბერია“, განსაკუთრებულ ყურადღებას ფინიკიელები იპყრობენ. მართლაც, ეს უკანასკნელნი ოდითგანვე სახელგანთქმული მეზღვაურები იყვნენ. ისინი ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში დამკვიდრდნენ ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე და აქ თავიანთი კოლონიები დააარსეს. ძვ. წ. VII ს. ფინიკელმა ზღვაოსნებმა ბრიტანეთს, მოგვიანებით კი ირლანდიასაც მიაღწიეს. ასევე ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში ფინიკიელები შავი ზღვის აუზის ქვეყნებსაც გაეცვნენ.

ალ. სარჯველაძე მიიჩნევს, რომ ისტორიულ კოლხიდაში მოსული ფინიკიელებისათვის აღმოსავლეთ საქართველო იქნებოდა ქვეყანა, რომელიც მცირე კავკასიონის ქედის გადაღმა (ʿeber) მდებარეობდა. აქ მეცნიერი ანალოგიისათვის იშველიებს ქართულ. ტერმინს „იმერეთს“, რომლითაც

აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი მოიხსენიებენ ლიხის ქედის იქით მდებარე (ანუ „იმერ“) ქვეყანას.

საბოლოოდ ალ. სარჯველაძე დაასკვნის, რომ ტერმინი „იბერია“ ჩაისახა ფინიკიელებში. ის აღნიშნავდა ზღვის ან მთის გადაღმა არსებულ ქვეყანას და სწორედ ფინიკურის გავლენით დამკვიდრდა ძველბერძნულ ენაში.

ჩვენი აზრით, ალ. სარჯველაძის ზემომოყვანილი მსჯელობა ყურადსაღებია. იგი მდიდარ ენათმეცნიერულ მასალას ემყარება და კარგად ხსნის ტერმინ „იბერიის“ წარმოშობას, რომლითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად არაერთი ქვეყანა იწოდებოდა.

ასეთია მოკლედ „იბერიისა“ და „იბერების“ შესახებ ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში დაცული ცნობები და ამ ეთნონიმის გაჩენის ისტორია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აბიდენოსი. Fragmenta, IV, Parisiis, 1885.

2. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1959.

3. აპოლოდოროსი. Fragmenta, I, Parisiis, № 111, 1885.

4. არისტოტელე. პოლიტიკა. წიგნში: საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.

5. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

6. გაბლიანი ეგნ. ძველი და ახალი სვანეთი. ტფილისი, 1925.

7. ერიაშვილი ჟ. ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1987.

8. თეოფანე მიტილენელი. Fragmenta. IV, №4.

9. თეოფრასტოსი, ქვათა შესახებ. წიგნში: Известия древних писателей греческих и латинских о Скафии и Кавквзе. Т. I, вып. II, СПБ., 1896.

10.კაკაბაძე ს. წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. თბ., 1912.

11.კეკელიძე კ. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონოლოგიური საკითხები, „მიმომხილველი", I, 1926.

12.მეგასთენე. Fragmenta, II, Parisiis, 1888.

13.მელიქიშვილი გ. ქართლი (იბერია) ძვ. წ. IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, თბ., 1970.

14.მემნონი. Fragmenta, III, Parisiis, № 22, 1883.

15.მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977.

16.პლატონი. კანონები. წიგნში: საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.

17.პლუტარქე, ლუკულუსი, XXVI.

18.სარჯველაძე ა. კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1989.

19.ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.

20.ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957.

21.ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

22.ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზულებანი თორმეტ ტომად, I,თბ., 1979.

23.ჯანაშია ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. შრომები, II, თბ., 1952.

24.ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ. შრომები, II, თბ., 1952.

25.ჯანაშია ს. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბ., 1959.

26.ჰეკატეოს მილეტელი. FGH, I, Berlin, 1923.

27.Марр Н. Я. Избранные работы, т.V., Л., 1935.

28.Меликишвили Г.А. К истории древней Грузии. Тб., 1959.

ვ. ვაშაკიძე

ტერმინი „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში

რეზიუმე

აღმოსავლეთ საქართველოს სახელწოდება „იბერია“ და, შესაბამისად, ამ ქვეყნის მოსახლეობა - „იბერები“ - ბერძენ და ლათინ ავტორებთან გვხვდება. ძველქართულ წერილობით წყაროებში აღმოსავლეთ საქართველოს აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „ქართლი“, რომელიც ქართველური ტომების „ქართების“ სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი.

ანტიკური საისტორიო ტრადიციის თანახმად ორი იბერია არსებობდა: პირინეის (ე. ი. ესპანეთის) და კავკასიის. პირველად კავკასიის იბერიის ირიბი მოხსენიება გვხვდება ძველბერძენ ავტორ მეგასთენესთან (ძვ. წ. IV ს.), რომელიც თავის თხზულებაში „ინდიკაში“ მოგვითხრობს პირინეის ნახევარკუნძულიდან იბერების კავკასიაში გადმოსახლების შესახებ. მისი მომდევნო ავტორები თეოფრასტოსი (ძვ. წ. IV-

III სს.), აპოლოდოროსი (ძვ. წ. II ს.), თეოფანე მიტილენელი (ძვ. წ. II-I სს.), მემნონი (ძვ. წ. I ს.), სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 - ახ. წ. 23/24 წწ.) და სხვები ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ქართლი -იბერიის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

კავკასიის „იბერიის" სახელწოდების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ნ. მარი „იბერიას" ქართველურ ნიადაგზე ხსნიდა და მას „ბერთა" ტომის ქვეყნად მიიჩნევდა. მისი აზრით, ტერმინი „იბერ-ი" შედგებოდა პრეფიქსისაგან „ი" და ტომის სახელწოდება „ბერ"-ისაგან. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს დ. მუსხელიშვილმა, ჟ. ერიაშვილმა და სხვებმა.

ს. ჯანაშია თვლიდა, რომ ტერმინი „იბერი" წარმოდგება ძველი ქართული პროვინციის სპერის და ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) „ისტორიაში" მოხსენიებული იქ მცხოვრები ტომის - „სასპეირების" - სახელიდან.

სტატიაში გაზიარებულია ა. სარჯველაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ტერმინი „იბერია" უცხოენოვან სამყაროშია გაჩენილი, რადგან გარდა აღმოსავლეთ საქართველოსი და ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსი ამ სახელს იყენებდნენ ძველი ირლანდიის აღსანიშნავადაც.

ა.სარჯველაძე თვლის, რომ ტერმინი „იბერ" აღმოცენებულია საერთო ინდოევროპულ - სემიტური ძირიდან „ʿbr", რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის გადალახვას. ის რომ „იბერი" ბერძნულ ენაში ახსნას ვერ პოულობს, ხოლო სემიტურ ენებში ʿbr ძირიდან წარმომდგარი სიტყვები აღნიშნავენ მდინარის, მთიანი ზღუდის ან ზღვის გაღმა მდებარე ადგილს, ამ ტოპონიმების სემიტურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს.

სემიტ ხალხებს შორის, რომელსაც შეეძლო სახელი „იბერია" ეწოდებინა ერთმანეთისაგან ესოდენ დაცილებული

ქვეყნებისათვის, ყურადღებას იმსახურებენ ფინიკიელები, რომლებიც სახელგანთქმული მეზღვაურები იყვნენ. ისინი, პირველ რიგში, კავკასიაში, რა თქმა უნდა, გაეცნენ შავი ზღვის სანაპიროს - კოლხიდას (დასავლეთ საქართველოს) და, ამდენად, მათთვის აღმოსავლეთ საქართველო - ქართლი - მცირე კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე ქვეყნად („ɛeber") აღიქმებოდა. ასე, რომ ტერმინი „იბერია" ფინიკიურ ენაში უნდა ჩასახულიყო, საიდანაც ის ძველბერძნულ ენაში შევიდა და დამკვიდრდა.

В. В. Вашакидзе

ТЕРМИНЫ „ИБЕРИЯ" И „ИБЕРЫ" В АНТИЧНИХ ИСТОЧНИКАХ

Резюме

Название Восточной Грузии „Иберия", а соответственно населения этой страны – „иберы", встречаются у греческих и латинских авторов. В древнегрузинских письменных источниках для обозначения Восточной Грузии используется термин „Картли", происходящий от названия грузинского племени „картов".

По античной исторической традиции существовали две Иберии – Пиринейская (т.е.Испанская) и Кавказская. Впервые косвенное упоминание Кавказской Иберии встречается у греческого автора Мегасфена (IV в. до.н.э.), который в „Индике" сообщает о переселении иберов с Пиринейского полуострова в Закавказье. Последующие писатели Феофраст (IV-III вв.до.н.э.), Аполлодор (II в.до.н.э.), Феофан Митиленский (II-I вв.до.н.э.), Мемнон (I в.до.н.э.), Страбон (64/63 гг.до.н.э. – 23/24 гг.н.э.) и другие уже дают ценнейшие сведения об исторической географии, социальной и политической жизни Иберии – Картли.

О происхождении Кавказской Иберии в научной литературе высказаны разные мнения. Н. Я. Марр, объясняя „Иберию" на грузинской почве, считал ее страной „берских племен". Термин „Ибер", по его мнению, состоял из префикса –и- и названия племени „бер". Эту точку зрения разделили Д. Л. Мусхелишвили, Ж. Г. Эриашвили и др.

С. Н. Джанашия считает термин „Ибер" происшедшим от встречающегося в „Истории" Геродота (V в.до.н.э.) названия древнегрузинского племени – саспеир.

В статье придерживаемся мнению А. З. Сарджveладзе, по которому термин „Иберия" следует считать возникшим в иноязычной среде, так как наряду с названиями Восточной Грузии и юго-восточного побережья Испании слово „Иберия" служило также для обозначения древней Ирландии.

А. З. Сарджveладзе предполагает, что термин „Ибер" восходит к общеиндоевропейско-семитскому корню „ʿbr", имеющему значение преодоления водной и горной преграды. То, что „Ибер" не находит объяснения в греческом языке, а в семитских языках производные от ʿbr слова имеют значения по ту сторону реки, горного хребта, или моря, должно указывать на семитское происхождение топонимов. Среди семитских народов, которые могли дать название „Иберия" странам столь отдаленным друг от друга, внимание привлекают древнейшие мореходы финикийцы. Они на Кавказе конечно, в первую очередь посещали Колхиду (Западную Грузию). А для человека, находящегося в Колхиде, Восточная Грузия являлась страной, расположенной по ту сторону (ʿeber) хребтов Малого Кавказа.

V. Vashakidze

THE TERMS „IBERIA" AND „THE IBERIANS" IN CLASSICAL SOURCES

Summary

The designation of eastern Georgia, „Iberia", and correspondingly the „Iberians" for the population of the country, occurs in Greek and Latin authors. The term Kartli – deriving from the designation of the Georgian tribe of Karts – is used in Old Georgian written sources in reference to eastern Georgia.

In Classical historical tradition there were two Iberias: Pyrenean (i.e. Spanish) and Caucasioan. The first indirect mention of Caucasioan Iberia occurs in the Greek author Megasthenes (4th cent. B.C.) who, in his Indica speak of the migration of the Iberians from the Iberian Peninsula to the Transcaucasus. Later authors: Theophrastus (4th-3rd cen. B. C.), Apollodorus (2 th cent. B.C.), Theophanes of Mitilene (2nd-1st cent. B.C.), Memnon (1st cent. B.C.), Strabo (64/63 B.C. – 23/24 A.D.), and others provide highly valuable information about the historical geography, and social and political life of Iberia-Kartli.

Various views have been expressed in the specialist literature regarding the origin of Caucasian Iberia. N. Ya. Marr – interpreting „Iberia" on the Georgian basis – considered it the country of the „tribes of the Ber". In his opinion, the term Iber consisted of the prefix i and the designation of the tribe ber. This point of view was shared by D. Z. Muskhelishvili, Zh. G. Eriashvili, and others.

S. N. Janashia believed the term Iber to have originated from the designation of the ancient Georgian tribe of Saspeiros, occurring in Herodotus· History (5th cent. B.C.).

The present writer concurs with A. Z. Sarjveladze's view, according to which Iberia should be considered as a term that originated in a foreign-language setting, for – along with the

designations of Eastern Georgia and the south-eastern littoral of Spain – the word Iberia was also used to designate ancient Ireland.

Sarjveladze assumes that the term Iber, stems from the common Indo-European-Semitic root ʿbr with the meaning of overcoming a water –or mountain obstacle. The fact that Iber is not explained in Greek, whereas in the Semitic languages words derived from the ʿbr root have the meaning of „beyond a rivet, mountain range, or sea" must be indicative of the Semitic provenance of place names. Among the Semitic peoples that could have given the name Iberia to countires so far apart from each other attention is attracted by the ancient seafaring Phoenicians. In the Caucasus they of course first visited Colchis (Western Georgia). And to one being in Colchis Eastern Georgia was a country lying beyond (ʿeber) the range of the Lesser Caucasus.

კრებ.: საქართველოსა და ქართველების
ალმნიშვნელი უცხოური და ქართული
ტერმინოლოგია, თბ., 1993

აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“

გასრულდა აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის ნაშრომის - „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის“ გამოცემა. სამ ტომად გამოქვეყნებული ეს გამოკვლევა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების უდაოდ თვალსაჩინო შენაძენია.

ბერძნული ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, ფასდაუდებელია არამხოლოდ საკუთრივ საბერძნეთის, არამედ ყველა იმ ქვეყნის წარსულის მრავალი ასპექტის შესწავლისათვის, რომლებსაც ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ ძველბერძნულ, შემდგომში კი ბიზანტიურ სამყაროსთან. მარტო საქართველოში დღეისათვის 1000-ზე მეტი ბერძნული წარწერაა აღმოჩენილი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. V-XIX სს. მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ გამოვლენილ წარწერაში დაცული ცნობა ერთადერთია, და, ვფიქრობ, ზედმეტიც არის მათი შესწავლის აქტუალობაზე საუბარი.

თავის დროზე საქართველოში დაცულ ბერძნული ეპიგრაფიკის ნიმუშებს იკვლევდნენ ფრ. დიუბუა დე მონპერე, მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, ექ. თაყაიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ბოჭორიძე, ი. პომიალოვსკი, ა. ამირანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. მიუხედავად ზემოხსენებულ მეცნიერთა მიერ გამოთქმული ცალკეული ძალზე საინტერესო დასკვნებისა, ჩვენში შემორჩენილი ბერძნული წარწერების სრულად შესწავლისა და გამოცემის საქმეში აკად. თინათინ ყაუხჩიშვილს ღვაწლი უცილობლად გამორჩეულია. იგი საქართველოში ბერძნული ეპიგრაფიკის დარგის ფუძემდებელია.

1951 წელს გამოვიდა აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის წიგნი „ბერძნული წარწერები საქართველოში“. ეს იყო საქართველოში დაცული ბერძნული ეპიგრაფიკის ძეგლების

მოძიების, შესწავლის და სათანადო მეცნიერული აპარატით გამოცემის პირველი ცდა. მონოგრაფიაში მოცემულია წარწერათა პირები, ტრანსლიტერაცია, შევსებული ტექსტები, ქართული თარგმანები, კომენტარები, დამოწმებული ლიტერატურა, სახელთა საძიებელი. აი რას წერს აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი ხსენებულ წიგნზე: „დღესდღეობით ეს შრომა, რომელიც თავის დროზე საინტერესო იყო არა მხოლოდ ეპიგრაფიკოსისათვის, ვერ აკმაყოფილებს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც მიღებულია კორპუსისათვის. ამდენად, დადგა საკითხი საქართველოში დაცული ბერძნული წარწერების კორპუსის შექმნისა. . . ამჟამად ადრე გამოქვეყნებულ წიგნში მოყვანილი ყველა წარწერა შემოწმებულია და ახალი თვალით დანახული“ (თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, გვ. 8).

ამდენად, აკად. თინათინ ყაუხჩიშვილისათვის დამახასიათებელმა თვისებამ, რომ ყოველი გამოკვლევა დაგროვილი ცოდნის მხოლოდ გარკვეული ეტაპის ასახვაა და მას მუდმივად სრულყოფა სჭირდება, მეცნიერი აიძულა განმეორებით მიბრუნებოდა ბერძნული ეპიგრაფიკის კიდევ მეტი გამოწვლილვით შესწავლის საქმეს.

შეუძლებელია არ ითქვას მარტივი ჭეშმარიტება: წარწერის საგულდაგულო, ყოვლისმომცველი შესწავლა ერთია, ხოლო მისი გამოსაცემად მომზადება - მეორე. ამ უკანასკნელში თითქმის არ აისახება მკვლევრის ხანგრძლივი, მომქანცველი ლაბორატორიული მუშაობა. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამგვარი სამუშაოს ჩატარება მეცნიერისაგან მოითხოვს დიდ გამოცდილებას, ღრმა ცოდნას, განუსაზღვრელ შრომისმოყვარეობას და მოთმინებას.

1981-1989 წწ. მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა მხარეში: სვანეთსა და აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, რაჭაში, მესხეთში, კახეთში, ზემო, შიდა და ქვემო ქართლში; გადამოწმდა საქართველოს მუზეუმებში დაცული ბერძნული ეპიგრა-

ფიკის ძეგლები. გაწეული დიდი მუშაობის შედეგად აკად. თინათინ ყაუხჩიშვილმა 1999-2000 წწ. სამ ტომად გამოსცა „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“.

ვინც აღნიშნულ კორპუსს იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ძველის გამეორება. უპირველეს ყოვლისა, კორპუსი მნიშვნელოვნად არის შევსებული ახალი მასალით. მაგალითად, დამატებულია წარწერები მონეტებზე, საქართველოს შესახებ უცხოეთში დაცული მასალა, დაზუსტებული და შევსებულია არაერთი წარწერა, დიდი ადგილი ეთმობა ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს და სხვა.

საინტერესოდ განმარტავს აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი ბერძნული ეპიგრაფიკის ცნებას. იგი წერს: „ბერძნული ეპიგრაფიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს წარწერებს, რა შინაარსისაც არ უნდა იყვნენ ისინი, შესრულებულს ბერძნულ ენაზე, ბერძნული დამწერლობით, გამოყვანილს ყოველგვარ მასალაზე, ჭილისა, ეტრატისა და ქაღალდისა. ე.ი. მასალა არის ქვა, ლითონი, ხე, კერამიკა, მინა, მინანქარი. ასევე ეპიგრაფიკის საგანია მოზაიკური და ფრესკული წარწერები, წარწერები ნაქარგებზე (შესრულების ტექნიკა, ცხადია სხვადასხვაგვარია). ეპიგრაფიკა სწავლობს წარწერის გარეგნულ სახეს (საწერ მასალას, ასოთა მოხაზულობას, წერის საერთო სტილს, ენას, ფორმულებს), ასევე მის შინაარსს; იძლევა მის დათარიღებას, ინტერპრეტაციას და უჩენს სათანადო ადგილს ისტორიაში (ამ ცნების ფართო გაგებით). ესაა მაქსიმუმი, რაც ევალება ეპიგრაფისტს. ამ ამოცანის ჯეროვანი შესრულება უკვე მკვლევარის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული“ (თინათინ ყაუხჩიშვილი, „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“, I, გვ. 8).

დამეთანხმებით, რომ ეპიგრაფიკის ცნების ამგვარი, აკად. თინათინ ყაუხჩიშვილისეული, გაფართოება საფუძველშივე მიზნად ისახავდა წარწერების ყოვლისმომცველ შესწავლას, ხოლო ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი ციტატის

ბოლო სიტყვებს - „ამ ამოცანის ჯეროვანი შესრულება უკვე მკვლევარის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული“ - თავად განსახიღველი მონოგრაფია ადასტურებს.

„საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსში“ ეპიგრაფიკული მასალა, პირველ რიგში, სისტემატიზირებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ). ამ პირველ საკლასიფიკაციო ნიშანს ემატება საწერი მასალა. ე.ი. გეოგრაფიულ პუნქტში ცალკე გამოყოფილია ლაპიდარული, მეტალზე შესრულებული, მოზაიკური, ფრესკული წარწერები.

წინამდებარე ნაშრომი ხასიათდება შესწავლილი პრობლემების მრავალფეროვნებით. მათგან ზოგიერთის წარმოჩენა კიდევ უფრო ცხადყოფს კორპუსის მომზადებისა და გამოცემის მნიშვნელობას. ამგვარ პრობლემათა რიგს განეკუთვნება მნიშვნელოვნად დაზიანებული წარწერების აღდგენა - დათარიღება. ვფიქრობ, ამის კარგი მაგალითია 1985 წ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტი, რომელზეც 26 სტრიქონი გაირჩევა, აქედან პირველი ათი სტრიქონი ხანძრისგან ძლიერ დაზიანებულია.

აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი მისთვის დამახასიათებელი სიფრთხილით, ენის და შესაბამისი ისტორიული კონტექსტის ღრმა ცოდნით აღადგენს წარწერის დაზიანებულ ნაწილს და ჩერდება იქ, სადაც მოცემული მასალა მეტ შესაძლებლობას არ იძლევა.

ტექსტის რეკონსტრუქციას მოსდევს წარწერის დათარიღება, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენას, ტერმინოლოგიას, ასოთა მოხაზულობას, მასალას და სხვა. ჩვენ შემთხვევაში ვანის ფილა ძვ. წ. III-ით არის დათარიღებული (თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, გვ. 149-150).

ფრიად საინტერესოა და ყურადსაღები აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის დაკვირვებები სხვადასხვა ეპოქაში ბერძნუ-

ლი ენის გავრცელებაზე საქართველოს კუთხეებში. შთამბეჭდავია მისი შეხედულებები საკუთარ სახელთა წარმომავლობაზე, ტოპონიმიკაზე, სოციალურ ინსტიტუტებზე, წარმართულ ღვთაებებზე, ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციაზე, საეკლესიო ხასიათის წარწერებზე (ფრესკათა დასათაურება, ექსცერპტები ძველი და ახალი აღთქმიდან, წმ. მამათა თხზულებებიდან) და სხვა.

საქართველოში დაცული ბერძნული წარწერების ენობრივი მონაცემების შესწავლით მიღებულ მასალას აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი იყენებს ბერძნული ენის ისტორიის კვლევისათვის. იმის გამო, რომ ეს წარწერები დიდ პერიოდს მოიცავენ, ბუნებრივია, მეცნიერი ენობრივ თავისებურებათა შესახებ მსჯელობისას მათ ქრონოლოგიური პრინციპით აჯგუფებს. ასე იხილავს იგი ამა თუ იმ ასოს, სიტყვის თავისებური დაწერილობის, შემოკლების, იტაციზმის, დიფთონგების, ბგერათა გადმოცემის თავისებურების და სხვა. შემთხვევებს და ფრიად საინტერესო და საგულისხმო დასკვნებს აკეთებს.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის“ III ტომი - საძიებლები. აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი თავად აღნიშნავს, რომ კორპუსით სრულფასოვნად სარგებლობისათვის საჭიროდ ჩათვალა ორგვარი საძიებლის (სახელთა და ტექსტების) დართვა. ამგვარი მეცნიერული აპარატი კიდევ უფრო მეტ ღირსებას მატებს ამ მართლაც შესანიშნავ ნაშრომს.

ჩემი აზრით, ეს მოკლე რეცენზია მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსს“ გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბერძნული ეპიგრაფიკის და სხვა არაერთი საკითხით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი. განხილული მონოგრაფია ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში ნათქვამი ახალი სიტყვაა.

ვ. ვაშაკიძე

აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“

რეზიუმე

ბერძნული ეპიგრაფიკა ფასდაუდებელი წყაროა არამარტო საკუთრივ საბერძნეთის, არამედ ყველა იმ ქვეყნისა და ხალხის წარსულის მრავალი ასპექტის შესასწავლად, რომელთაც ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ ძველბერძნულ, შემდგომში კი ბიზანტიურ სამყაროსთან.

საქართველოში დაცულ ბერძნული ეპიგრაფიკის ნიმუშებს თავის დროზე იკვლევდნენ ფრ. დიუბუა დე მონპერე. მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, ექ. თაყაიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ბოჭორიძე, ი. პომიალოვსკი, ა. ამირანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბერძნული ეპიგრაფიკის, როგორც მეცნიერული დარგის ფუძემდებელი თ. ყაუხჩიშვილია.

დღემდე მოღწეული ეპიგრაფიკული ძეგლების კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით 1981 – 1989 წწ. საქართველოს ყველა რეგიონში მოწყობილმა საველესამეცნიერო ექსპედიციებმა არაერთი წარწერა დააზუსტა და ბევრი ახალი ნიმუში გამოავლინა.

მონოგრაფიაში ეპიგრაფიკული მასალა, პირველ რიგში, სისტემატიზირებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ); ამას ემატება საწერი მასალა: ცალ-ცალკეა გამოყოფილი ლაპიდარული, მოზაიკური, ფრესკული და სხვ. წარწერები.

ხელშესახები ადგილი ეთმობა ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს. საკვლევი პრობლემები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათგან აღსანიშნავია: ტექსტის რეკონსტრუქცია და დათარიღება, რომელიც ეფუძნება ბერძნული ენის

თავისებურებებს, ტერმინოლოგიას, ასოთა გრაფიკულ მოხაზულობას და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა აკად. თ. ყაუხჩიშვილის მეცნიერული დასკვნები, რომელიც ეხება ტოპონიმიკას, სოციალურ ინსტიტუტებს, წარმართულ ღვთაებებს, ისტორიულ პირებს, საეკლესიო ხასიათის წარწერებს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაცული ბერძნული წარწერები დიდ ქრონოლოგიურ პერიოდს (ძვ. წ. V – XIX სს.) მოიცავს. მათი ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, თ. ყაუხჩიშვილი თავად ბერძნული ენის განვითარების ისტორიას სწავლობს.

დასკვნის სახით შეიძლება თამამად ითქვას, რომ აკად. თ. ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ბერძნული ენის, ეპიგრაფიკის და სხვა მრავალი საკითხის კვლევით დაკავებულ ყველა მეცნიერს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს.

В. В. Вашакидзе

Монография академика Т. Каухчишвили „Корпус греческих надписей в Грузии“

Резюме

Греческая эпиграфика не только бесценный источник изучения множества аспектов прошлого самой Греции, но и богатейший материал для тех стран и народов, которые имели интенсивные связи сначала с древнегреческим, а впоследствии с византийским мирами.

Образцы древнегреческой эпиграфики, сохранившиеся в Грузии, в свое время исследовали Дюбуа де Монпере, М. Броссе, Пл. Иоселиани, Дим. Бакрадзе, Г. Церетели, Э. Такайшвили, Л. Меликсет-Бек, Г. Бочоридзе, И. Помяловский,

А. Амиранашвили, С. Каухчишвили и другие. Но бесспорно можно утверждать, что академик Т. Каухчишвили является основоположником научного изучения греческой эпиграфики в Грузии.

Результатом научно-полевых экспедиции (1981-1989 гг.) во всем регионам Грузии, с целью более глубокого изучения сохранившихся эпиграфических образцов, были выявлены новые материалы, уточнены и реконструированы многочисленные надписи.

В монографии весь эпиграфический материал систематизирован, в первую очередь, по географическому признаку (с запада на восток), а также по видам материала, на которых производилось письмо (лапидарные, мозаичные надписи, надписи на фресках и другие).

Существенное место уделено теоретическим вопросам эпиграфики. Исследуемые проблемы характеризуются многосторонне.

Выделяются:

- Реконструкция текста;
- Датирование, которое опирается на особенности греческого языка, терминологию, графическое изображение букв и т.д.

Представляют особенные интерес научные выводы акад. Т. Каухчишвили, касающиеся топонимики, социальных институтов, языческих божеств, идентификации исторических личностей, церковных надписей и др.

Следует отметить, что сохранившиеся в Грузии надписи охватывают большой хронологический период (V в. до. н. э. – XIX в.). Научные выводы, полученные в результате исследований языковых особенностей вышеуказанного материала использованы академиком Т. Каухчишвили для изучения развития греческого языка.

В заключении можно отметить, что монография академика Т. Каухчишвили „Корпус греческих надписей в Грузии" окажет бесспорную услугу всем тем ученым, которые занимаются исследованием вопросов истории Грузии, ее культуры, греческого языка, эпиграфики и т.д.

V. Vashakidze

'Corpus of Greek Epigraphs of Georgia' - by Academician Tinatin Kaukhchishvili

Summary

Greek epigraphy is a priceless source to study many aspects of the past not only of Greece, but of all those countries and people, who had very close relations with old Greek and later with Bizantoan World.

Greek epigraphs preserved in Georgia was studied by Fr. Diubua De Monpere, M. Brosse, Pl. Ioseliani, Dim. Bakradze, G.Tsereteli, Ekvtime Takaishvili, L.Melikset-Beg, G. Bochoridze, I. Pomialovski, A.Amiranashvili, S.Kaukhchishvili and etc.

However, it can be said freely that Greek Epigraphy, as the field in Georgia was founded by T. Kaukhchishvili.

Scientific expeditions arranged in 1981-1989 in all regions of Georgia to deeply analyze the epigraphic monuments that came to us, managed to specify many epigraphs and reveal lots of new samples.

In the monograph the epigraphic material, first of all, is systemized according to Geographic principles (from west to east); plus writing material: the epigraphs are divided into lapidary, mosaic, fresco and etc.

Important place is given to the theoretical issues of epigraphy. The research problems are various. Text reconstruction and dating is the most noteworthy among them. It is based on the

peculiarities of Greek language, terminology, letter graphics and etc.

Academician T.Kaukhchishvili's scientific deductions are especially interesting. They concern toponymy, social institutions, pagan idols, historic figures, church epigraphs and etc.

It must be mentioned that Greek epigraphs preserved in Georgia encompasses chronologically long period (from V c. B.C. to XIX c. A.D.). Taking into the consideration their language specificity, T. Kaukhchishvili studies the development history of Greek language itself.

To sum up, it can be said freely, that 'Corpus of Greek Epigraphs of Georgia' by Tina Kaukhchishvili will be very helpful for the scientists researching Georgian History and culture, Greek language, epigraphy and etc.

ჟურნ. „კლიო“,
19, თბ., 2003

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და ელინისტური ხანის ქართლის სოციალური სტრუქტურის საკითხები

ელინისტური ხანა, რომელიც ტრადიციულად მოიცავს წარსულის მონაკვეთს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შექმნიდან ე. წ. რომაულ ეპოქამდე, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია. ამ დროს, ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს - ყალიბდება ერთიანი ქართლის, ანტიკური წყაროების იბერიის სამეფო. ეს იყო შედეგი ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მრავალსაუკუნოვანი სოციალური და პოლიტიკური განვითარების და იმ ხელსაყრელი ისტორიული ვითარებისა, რაც ალექსანდრე დიდის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულების გაჩენას მოჰყვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიის საკითხების შესწავლა ქართველოლოგიის მარად აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. იგი დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია და გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული პერიოდის ქართლის საზოგადოების სოციალური ყოფის კვლევას უამრავი საინტერესო თვალსაზრისი და არაერთი მონოგრაფია მიეძღვნა (დაწვრილებით იხ. ვაშაკიძე, 6-23).

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სპეციალურად არ სწავლობდა ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალურ ისტორიას, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი დაკვირვებები დღესაც ფრიად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით კი ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ მეცნიერის მიერ თავის დროზე გამოთქმული მოსაზრებები დიდად წაადგა პრობლემის შემდგომი კვლევის საქმეს.

1938 წლის 23 ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნიკო ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება, რომლითაც იგი ეპაექრა დისერტანტს. ეს უკანასკნელი გახლდათ აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომელიც მაშინ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად იცავდა დისერტაციას თემაზე: „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

მოგვიანებით, 14 წლის შემდეგ, ოპონენტმა ეს სიტყვა უცვლელად დაბეჭდა და რეცენზიის (ასე უწოდებს თავად ნიკო ბერძენიშვილი 1938 წლის 23 ივნისს წაკითხულ მოხსენებას - ვ. ვ.) შესავალ ნაწილში აღნიშნა: „ზოგი რამ დღეს ამ ჩვენი რეცენზიიდან მისაღები აღარაა, მაგრამ ზოგი დებულება დღესაც ფასიანად მიგვაჩნია. გარდა ამისა რეცენზიას ისტორიული ინტერესიც აქვს“ (ბერძენიშვილი, 361-384).

თავდაპირველად ნიკო ბერძენიშვილმა იმ დღემდე შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, რომ „ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის უბანში ზეიმია“ და დისერტანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მნიშვნელობისა და საკვლევი პრობლემის სირთულის დასამტკიცებლად განაცხადა: „ვინც მცირედ მაინც გაცნობილია ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობას საერთოდ და განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, რომელსაც აქ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება, იცნობს საამისო ისტორიულ წყაროთა თუ დამხმარე საისტორიო დისციპლინების მონაპოვართა მდგომარეობას, ის ადვილად გაითვალისწინებს იმ დიდ სიძნელეებს, რომელთა დაძლევა ავტორს უხდება“ (ბერძენიშვილი, 362).

ამის შემდეგ ნიკო ბერძენიშვილი თანმიმდევრობით ჩამოთვლის სადისერტაციო ნაშრომის ღირსებებს, აღნიშნავს, რომ „წარმოდგენილი შრომა პირველი სპეციალური გამოკვლევაა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის

წარმოშობის შესახებ“ და დაასკვნის: „ორიგინალურია და უცილობლად დამტკიცებულია ძირითადი დებულება ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობების არსებობის შესახებ საქართველოში აღნიშნულს ეპოქაში. . . სწორედ არის წარმოდგენილი ამ ეპოქის შინაარსი, როგორც ჭიდილი სამი სოციალურ-ეკონომიურ წყობისა ფეოდალური წყობის თანდათანი გამარჯვებით დრომოჭმულ საგვარეულო წყობილებაზე და შედარებით განუვითარებელ მონათმფლობელობაზე“ (ბერძენიშვილი, 363).

ნიკო ბერძენიშვილი დამაჯერებლად მიიჩნევს დებულებას „კოლხეთ-იბერიაში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ I ს. ქ. წ.“ და აღნიშნავს, რომ „ეს დებულებაც ამიერიდან ქართული ისტორიული მეცნიერების საუნჯეში შევა“ (ბერძენიშვილი, 364).

ოპონენტი იზიარებს სიმონ ჯანაშიას აზრს იმის თაობაზედ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა და წერს: „ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად გამოცხადება პოლიტიკურად რომის გავლენის ერანისაზე უპირატესობის დადასტურებაა, ხოლო სოციალურად ქართლის წარჩინებულთა კლასობრივი გამარჯვებაა“ (ბერძენიშვილი, 364).

ნიკო ბერძენიშვილი უეჭველად მიიჩნევს დასკვნას, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარება „ერის“ სოციალური დიფერენციაციის გზით მიდიოდა და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ საქმეში სიმონ ჯანაშიას მიერ მიგნებული მტკიცებულების - მძიმე აბჯრის - მნიშვნელობას.

რეცენზიის ავტორი ღრმას და მახვილგონივრულს უწოდებს სიმონ ჯანაშიას მეცნიერულ დაკვირვებებს „სახლის“, „სახლისშვილობის“, „ერის“, „წურილი ერის“, „სეფეს“, „სეფეწულობის“, „პალატბანაკის“, „სოფლის“ და სხვათა

შესახებ და თვლის, რომ „ის ძვირფას შენაძენად დარჩება ქართულ ისტორიოგრაფიას“ (ბერძენიშვილი, 365).

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, „ახალი, ორიგინალური და ძირითადად სწორია დაკვირვება სოციალური კონფლიქტის შესახებ ქართლში V-VI ს-ში მეფის ხელისუფლებას და წარჩინებულთა შორის“, რის გამოც „მეფობის გაუქმება ეს იყო არა იმდენად გარეშე ძალის აქტი, რამდენად წარჩინებულთა, აღმავალი ფეოდალური კლასის სოციალური მოწიფულობის შედეგი“ (ბერძენიშვილი, 365).

ოპონენტი ნაშრომიდან გამოყოფს ნარკვევს ციხექალაქ პეტრას ადგილმდებარეობის შესახებ და წერს: „პროფ. ს. ჯანაშიას პასუხი ამ საკითხზე აქამდის არსებულთაგან უფრო სრული და დამაჯერებელი ჩანს“ (ბერძენიშვილი, 365).

რეცენზიის მომდევნო ნაწილში ნიკო ბერძენიშვილი სადისერტაციო ნაშრომის ნაკლზე ჩერდება. ამავე დროს იგი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით იმეორებს: „პრინციპულად სადაო ამ შრომაში წამოყენებულ დებულებებთან მე არა მაქვს რა და პროფ. ს, ჯანაშიას ისტორიული კონცეფცია ადრინდელი ფეოდალიზმის შესახებ ძირითადად სწორად მიმაჩნია“ (ბერძენიშვილი, 368).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რამდენადაც ობიექტური და გულუხვია ნიკო ბერძენიშვილი თავისი კოლეგის ღვაწლის აღნიშვნა-შეფასებისას, იმდენად მკაცრია, მისი აზრით, ნაშრომში წამოყენებული დაუსაბუთებელი დებულებების თუ ნაკლებ სისრულით დამუშავებული საკითხების კრიტიკისას.

ნიკო ბერძენიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სიმონ ჯანაშიამ პირველმა წამოაყენა აზრი ძვ. წ. პირველი საუკუნის იბერია-კოლხეთში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ და სწორად მიიჩნევს საკითხის ავტორისეულ გადაწყვეტას. აქვე იგი დასძენს: „სტრანობისეული იბერიის სოციალური სურათის ავტორისებური გაგება დამაჯერებლად ვერ გამოიყურება“. შემდეგ იგი

განაგრძობს მსჯელობას: „სტრაბონისეული იბერიის სოციალური სურათის შედარებისას ამავე დროის სხვა ისტორიულ მონაცემთა ნიადაგზე მიღებულ სოციალურ სურათთან, აშკარა ხდება არსებითი განსხვავება მათ შორის. სტრაბონის ბასილევსი მხედართმთავარი არაა, ის არც მსაჯულია და არც მეზობლებთან სადავო საკითხებს აწესრიგებს. პირველი ორი ფუნქცია მეფის შემდგომ მეორე პირის ხელშია, ხოლო მესამე - ქურუმთა პრეროგატივაა“.

ამის შემდეგ ნიკო ბერძენიშვილი სხვა ანტიკურ ავტორთა (დიონ კასიუსი, ტაციტუსი და სხვ.) ცნობებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ სტრაბონის პერიოდის იბერიის მეფეები ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან, ხოლო „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) მოხსენიებულ ბასილევსს რეალურ მეფედ არ მიიჩნევს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნიკო ბერძენიშვილი დაასკვნის: „ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა“ (ბერძენიშვილი, 369).

მართალია, ნიკო ბერძენიშვილი ამ უმნიშვნელოვანეს დასკვნას ერთგვარი მოკრძალებული ფორმით („ჩვენ ეჭვი გამოვთქვით“) გამოთქვამს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ ეს იყო ელინისტური ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის კვლევის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი. აქამდე ამ პრობლემას სწავლობდნენ მეცნიერთა სხვადასხვა თაობები (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ალ. ჭყონია, ს. გორგაძე, გ. ხალათიანცი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ი. მანანდიანი, ს. ჯანაშია) (ვაშაკიძე, 2-23), რომლებმაც ელინისტური ეპოქის ქართლის მოსახლეობის სოციალური ყოფის შესასწავლად მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანეს სტრაბონის „გეოგრაფიის“ (XI, 3, 6) ცნობა, ნაწილობრივ აწარმოებს ბერძენი გეოგრაფოსის ტერმინოლოგიის კვლევაც, შემოგვთავაზეს ჩვენთვის საინ-

ტერესო ადგილის თარგმანები, მნიშვნელოვან დასკვნამდეც მივიდნენ, მაგრამ არცერთ მათგანს არ უცდია სტრაბონის თხზულების აღნიშნული პარაგრაფის წყაროს მოძიება და, შესაბამისად, ამ მონაცემზე დაყრდნობით, ცნობის დათარიღება. ყველა ზემოჩამოთვლილი მკვლევარი „გეოგრაფიის“ ამ მონაკვეთს თვით სტრაბონის შეთხზულად თვლიდა და, ბუნებრივია, წყაროსაც ძვ. წ. I - ახ. წ. I სს. ათარიღებდა.

როგორც უკვე ითქვა, ნიკო ბერძენიშვილი იყო პირველი ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში, ვინც მეცნიერულად ივარაუდა სტრაბონის „გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის პირველწყაროს არსებობა.

ამდენად, ნიკო ბერძენიშვილმა არ გაიზიარა სიმონ ჯანაშიას მოსაზრება, რომ „სტრაბონი აგვიწერს კონსტიტუციას, თეორიულ ნორმას, რომელთან შედარებითაც სინამდვილე გაცილებით უფრო შორს იყო წასული და ქართლის მეფე თავის ხელს მმართველობის ყველა დანარჩენ სფეროში ურევდა, მეტნაკლები უფლებამოსილებით“ და აღნიშნა: „არა გვგონია, ასეთი მსჯელობით შეიძლებოდეს სტრაბონის ბასილევსის გადარჩენა“ (ბერძენიშვილი, 371).

ნიკო ბერძენიშვილი იზიარებს სიმონ ჯანაშიას შეხედულებას, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ პირველი გენოსის სახელწოდება „სეფე“ უნდა იყოს. იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ „მეუფე“ ენობრივად „მეფესთან“ დაკავშირებით არის აღმოცენებული, „სეფეს“ კი, რომელიც „მეფის“ წინამორბედია, ასეთი მნიშვნელობის შესატყვისი არ მოეპოვება. „მეუფის“ მსგავსი შესატყვისის როლში გამოდის ნაწილობრივ „სოფელი“, რომელისაც „სეფეს“ მნიშვნელობა არასოდეს მიუღია.

რეცენზიის ავტორი მიჰყვება სიმონ ჯანაშიას მსჯელობას, რომ „მეუფე-სუფელი“ პატრიარქალური ხანის უკანასკნელი პერიოდის ნაშთია, ხოლო „მეფე-სეფე“ კლასობრივ საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება და კიდევ ერთხელ სვამს მეტად საჭირო კითხვას: „როდის

მოხდა ის ძლიერი გარდატეხა, რომლის შედეგადაც „მეუფე-სუფელის“ ადგილი „მეფე-სეფემ“ დაიჭირა“ (ბერძენიშვილი, ჯანაშია, 373).

უაღრესად საინტერესოა ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება „სეფე-წულებთან“ დაკავშირებით. იგი დასაწყისში ეთანხმება სიმონ ჯანაშიას შეხედულებას, რომ „სეფე-წულები“ თანდათანობით დაშორდნენ მთავარ სამეფო შტოს და ძველი ქართლის არისტოკრატიის უმაღლეს წრედ, უძველეს აზნაურებად გადაიქცნენ, თუმცა იქვე საკითხის დამატებით დაზუსტებას მოითხოვს. ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „საინტერესო იყო ანგარიში გასწეოდა იმ დამაფიქრებელ გარემოებას, თუ რატომ მოხდა, რომ ქართულ ფეოდალური ურთიერთობის საშუალო და გვიან ხანაში უმაღლესი არისტოკრატიის აღსანიშნავად ეს ტერმინი აღარა გვხვდება. . . ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს ფენებს X-XI საუკუნეში თავიანთი გენეალოგია ქართლის მეფის „სახლიდან“ არ გამოჰყავთ“ (ბერძენიშვილი, 374).

ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომში სხვა არაერთი საკითხიც არის განხილული, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, აუცილებლად აღსანიშნავია ის მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც გამოთქმულია წინამდებარე რეცენზიაში. ავტორი კატეგორიულობით მოითხოვს, რომ ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის პროცესის მეცნიერულ კვლევისას გამოყენებული იყოს „საანალოგიო მასალა (სახელდახელოდ: ლეონტი, სვანეთის საბუთები, მთიულეთ-ხევის თუ საერთოდ ქართულ მთიანეთის ფოლკლორი. . .)“ (ბერძენიშვილი, 375).

ნიკო ბერძენიშვილის ეს შეხედულება კარგად ჩანს სტრაბონისეული ქართლის მეფის ხელისუფლების თეოკრატიულ ხასიათზე მსჯელობისას. აქ რეცენზიის ავტორი ეთანხმება სიმონ ჯანაშიას, მაგრამ იქვე დასძენს: „ესაა ჰიპოთეზა, რომლის დამტკიცება ვალად გვაწევს. არავითარი პირდაპირი საამისო ჩვენება იმდროიდან ჩვენ არ გაგვაჩნია

(სტრაბონიც ხომ იბერია-კოლხეთში საამისოს მცირედ უჩვენებს. . .). ასეთ პირობებში „მერმინდელ ფეოდალურ საზოგადოების ზოგიერთ მოვლენაზე“ დაკვირვება არის „ზიარების მისწრება“, როგორც იტყვიან“ (ბერძენიშვილი, 376).

ნიკო ბერძენიშვილი ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის შესწავლისას სავალდებულოდ მიიჩნევს იმდროინდელი ქართლის მეზობელი ქვეყნების, სომხეთისა და ალბანეთის, ისტორიიდან სათანადო მასალების მოშველიებას. იგი კიდევ ერთხელ ეთანხმება სიმონ ჯანაშიას შეხედულებას „ერის“ სოციალური დიფერენციაციის საქმეში მძიმე აბჯარის მნიშვნელობის შესახებ და სომეხთა და ალბანელთა მსგავს შეიარაღებას სამართლიანად ვარაუდობს იბერიაშიც. თუმცა ნიკო ბერძენიშვილი აქვე დასძენს, რომ „არქეოლოგიურ მონაპოვართა ამ თვალსაზრისით გათვალისწინება, უეჭველია, საგულისხმიერო დასკვნების მიღების საშუალებას მისცემდა ავტორს“ (ბერძენიშვილი, 377).

ვფიქრობ, წარმოდგენილი მასალა ნათლად აჩვენებს, რომ ნიკო ბერძენიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მას სპეციალურად არ უკვლევია ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიისსაკითხები, განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა პრობლემის სრულყოფილად შესწავლის საქმეში. სწორედ ის იყო პირველი, რომელმაც განაცხადა: „მართებულად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, საკითხი დაისვას სტრაბონის ცნობათა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ“ (ბერძენიშვილი, 373).

თუ ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებებს შევაჯამებთ, ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიის საკითხების შესწავლისათვის, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) დაცული ცნობის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება, შევუპირისპიროთ მას ორიგინალური ქართული წყაროების სათანადო მონაცემები, გავითვალისწინოთ უმდიდრესი არქეოლოგიუ-

რი, ეთნოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალები და კვლევისას ვისარგებლოთ შედარებით ისტორიული მეთოდით.

ჩემი აზრით, ნიკო ბერძენიშვილის განხილული რეცენზია თავისი დროისათვის საეტაპო მნიშვნელობისა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მომდევნო პერიოდში ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიის საკითხების კვლევა სწორედ მის მიერ დასახული გზით წარიმართა.

ქართველ მეცნიერთა არაერთმა თაობამ მონოგრაფიულად შეისწავლა აღნიშნული პრობლემა, რამაც მნიშვნელოვნად გააღრმავა ჩვენი ცოდნა ელინისტური ხანის ქართლის საზოგადოების სოციალური ყოფის შესახებ. ამ საქმეს კი, არ შევცდები თუ ვიტყვი, განუზომელი ღვაწლი დასდო აკად. ნიკო ბერძენიშვილმა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. რეცენზია. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966;

2. ვაშაკიძე ვ. ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან. თბ., 1991.

ვ. ვაშაკიძე

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და ელინისტური ხანის ქართლის სოციალური სტრუქტურის საკითხები

რეზიუმე

ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის მეცნიერულ კვლევაში დიდია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დამსახურება. მან, პირველმა ქართულ

ისტორიოგრაფიაში, დასვა საკითხი სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 6) დაცული ცნობის ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ.

პრობლემის სრულფასოვანი კვლევისთვის ნ. ბერძენიშვილი ასევე საჭიროდ მიიჩნევდა ორიგინალური ქართული წყაროების, უმდიდრესი არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალების, იმდროინდელი ქართლის სამეფოს მეზობელი ქვეყნების (სომხეთის, ალბანეთის) ისტორიიდან სათანადო მონაცემების გათვალისწინებას. ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ თავისი დროისათვის აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებები სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენდა.

В. В. Вашакидзе

Академик Нико Бердзенишвили и вопросы социальной структуры Картли эллинистической эпохи

Резюме

Академик Нико Бердзенишвили внес неоценимый вклад в исследовании социальной структуры Картлийского царства эллинистической эпохи. Он, первым в грузинской историографии, поставил вопрос о всестороннем источниковеденческом изучении сведения сохраненной в «Географии» (XI, 3, 6) Страбона.

Для полноценного исследования проблемы, Н. Бердзенишвили считал необходимым учитывать также оригинальные грузинские источники, богатейшие археологические, этнологические и эпиграфические материалы, соответствующие данные из истории соседних стран (Армении, Албании) Картлийского царства той поры. Достоверно можно утверждать, что соображения академика Н.Бердзенишвили являлись новым словом для своего времени.

V. Vashakidze

ACADEMICIAN NIKO BERDZENISHVILI AND THE SOCIAL STRUCTURE ISSUES OF KARTLI KINGDOM IN HELLENISTIC PERIOD

Summary

Academician Niko Berdzenisvili greatly contributed to the research of social structure of Kartli Kingdom in Hellenistic period. He was the first scholar in the Georgian historiography, who had scientifically supposed existence of a primary source for the accounts found in chapter XI, 3, 6 from Strabo's „Geography".

For a complete research of the problem he considered necessary to take into consideration original Georgian sources, archeological and epigraphic monuments and relevant materials of the corresponding period from the history of countries bordering with the Kingdom of Kartli. Due to this, Academician Niko Berdzenishvili's considerations can be considered a new significant phasa of the time.

კრებ.: საქართველოს ზოგა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005

ძველი ქართული წარმართული ღვთაებები და სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა ერთიანი ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე

ელინისტური ხანა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო პერიოდია. ამ დროს წარმოიშვა ერთიანი ქართლის, ანტიკური წყაროების იბერიის, სამეფო. ეს იყო შედეგი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხნის წინ დაწყებული ეთნო-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა და იმ ხელსაყრელი საგარეო ვითარებისა, რაც ალექსანდრე დიდის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულების გაჩენას მოჰყვა.

აღნიშნული ეპოქის ქართლის სამეფოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის მეცნიერულ შესწავლას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ეს ინტერესი არც მკვლევარ-ისტორიკოსთა დღევანდელ თაობას განელებია. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც უკანასკნელ წლებში თ. დუნდუას, მ. სანაძის, ვ. გოილაძის, მ. გოგოლაძის, გ. ანჩაბაძის, ნ. ნიკოლოზიშვილის და სხვათა მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები თუ სპეციალური წერილები (დუნდუა, 1997; სანაძე, 2001; გოილაძე, 2002; გოგოლაძე, 2004; ანჩაბაძე, 1999; ნიკოლოზიშვილი, 2006). ზემოხსენებულ გამოკვლევებში ვრცლად არის განხილული ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს ისტორიის არაერთი პრობლების შესწავლის ისტორიოგრაფიაც, რაც, მეტნაკლებად, გვათავისუფლებს სათანადო მიმოხილვის საჭიროებისაგან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ავხსნათ ძველი ქართული წარმართული პანთეონის ჩამოყალიბების მიზეზები (ან, უფრო ზუსტად, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი),

ვაჩვენოთ გაცის, გაიმის და არმაზის ტრიადის თანაარსებობის სიმბოლური მნიშვნელობა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, როცა ალექსანდრე მაკედონელმა მცხეთა დაიპყრო „თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჳ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვრული დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა და წარვიდა.

ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად - გაცი და გაიმ.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზოჲ, ძჳ არიან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხურსა ზედა, და დადვა სახელი მისი არმაზი“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ , 81-82).

მეორე ქართული წყარო „მეფეთა ცხოვრება“ ამ ამბავს განსხვავებულად მოგვითხრობს. ამ უკანასკნელის მიხედვით, ალექსანდრე დიდმა ქართლის პატრიკად დააყენა აზონი, „ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით“ და მას დაპყრობილი ქვეყნის მმართველობა ჩააბარა.

აზონის ქართლში ბატონობის ჟამს „იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა. . . და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო.

ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმა, და შელტოლვილ იყო კავკასიად. და მუნ აღზრდილ იყო და მოსრულ იყო მცხეთას, მამულსა თჳსსა“ („მეფეთა ცხოვრება“, 18-21).

ამ თხრობას მოსდევს ფარნავაზის დახასიათება, შემდეგ კი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა ფარნავაზმა დიღმის მიდამოებში ნადირობისას განძეულობით სავსე გამოქვაბული.

ფარნავაზმა დაიწყო აზონის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადება. მან კავშირი შეკრა ეგრისის მმართველ ქუჯისთან, მიიმხრო ოვსნი და ლეკნიც.

„მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, დიდად შეჭირვებული აზონი „მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა“. ამასობაში ფარნავაზმა მცხეთას მიაშურა, „დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა („მეფეთა ცხოვრება“, 22-23).

ამის შემდეგ ფარნავაზმა ანტიოქოს ასურასტანის მეფისაგან ითხოვა შეწევნა. ამ უკანასკნელმა მას „უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი“ („მეფეთა ცხოვრება“, 23).

მოკავშირისაგან ძალმიცემულმა ფარნავაზმა არტაანში გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა აზონს და სასტიკად დაამარცხა იგი. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. ფარნავაზმა კლარჯეთიც დაიპყრო, „უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. . .

და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი. . . ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს. . . “ („მეფეთა ცხოვრება“, 23-25).

„მეფეთა ცხოვრება“ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მოექცა გამარჯვებული ფარნავაზი საკუთარი მოსისხლე მტრის აზონის მიერ აღმართულ კერპებს - გაცის და გაიმს. მოგვიანებით, როცა მემატიანე მოგვითხრობს წმიდა ნინოს ქართლში შემობრძანების ამბავს, თხზულებიდან ვიგებთ, რომ ფარნავაზის მიერ აღმართული არმაზის

კერპის მარჯვნივ იდგა „კაცი იგი ოქროსი და სახელი მისი გაცი. და მარცხნით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“ („მეფეთა ცხოვრება“, 89-90).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წმიდა ნინოს ათქმევინებს: „და მარჯუულ მისსა (არმაზის -ვ. ვ.) დგა კერპი ოქროჲსა და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა - კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თჭუენთა არიან ქართლით“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 119-120).

როგორც მოტანილი წყაროები მოწმობს, გამარჯვებული ფარნავაზი კი არ ამხობს „მეფეთა ცხოვრების“ ვერსიით ქვეყნიდან გაძევებული და განადგურებული დამყრობლის - აზონის - მიერ ქართლში მოტანილ და აღმართულ გაცისა და გაიმის კერპებს, არამედ მათ შორის დგამს თავისსავე მიერ შექმნილ არმაზის ღვთაებას. არადა, ლოგიკური იყო, მამულის გათავისუფლების შემდეგ ფარნავაზს, მტრის ფიზიკურ განადგურებასთან ერთად, მის მიერ მოტანილი კერპებიც გაეცამტვერებინა. ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენა ახსნას საჭიროებს.

თავის დროზე გ. მამულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ფარნავაზმა აზონის მიერ მცხეთაში აღმართული გაცისა და გაიმის კულტები კი არ გაანადგურა, არამედ მათ შორის, ცენტრში, თავისი საგვარეულო კულტი არმაზი აღმართა, რაც სიმბოლურად ასახავდა ფარნავაზისა და აზონის „სახლების“ სოციალურ კონსოლიდაციას“ (მამულია, 90).

ვ. გოილაძის აზრით, „ფარნავაზმა, მართალია, ქართლი აზოს ბატონობისაგან გაათავისუფლა, მაგრამ მის მიერ ასევე ქართველური სამყაროდან (პონტო-კაპადოკიიდან) შემოტანილი გას და გაცის კერპები ქართველთა სალოცავად დატოვა. ისინი, ასევე, მცირე აზიიდან, როგორც ივარაუდება, ჰვ. წ. 676 წლის შემდგომ ახლო ხანაში მუშქთა მიერ შემოტანილ არმაზს (ამ დროს უნდა შემოეტანათ მუშქებს

ზადენის კერპიც) ამოუყენა მხარში - შექმნა ღვთაებათა ტრიადა. არმაზისა და სხვათა ქართველთა პანთეონის სათავეში ჩადგომა რომ უმტკივნეულოდ მოხდა და არსებითი ცვლილებების მომასწავებელი არ ყოფილა, ეს ამ კერპთა ქართული სამყაროდან წარმომავლობით უნდა აიხსნას" (გოილაძე, 90).

უკანასკნელ ხანს, „გაბარება-გაძიძავების" წეს-ჩვეულების შესწავლისას, თ. შარაბიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ რამდენადაც ის საზოგადოება ეთაყვანებოდა ორ კერპს - „გაცის" და „გაიმს", საფიქრებელია, სწორედ ეს ორი კერპი ასახავდა ანდროგინი ღვთაების ორ მხარეს. მკვლევარი დასძენს, რომ „ქართველთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზე ანდროგინი ღვთაებაა, რომლის ბუნების (ამომავალი და ჩამავალი) რელიგიური და სოციალური მნიშვნელობით გააზრების გამო მოხდა მისი დანაწევრება „მზე შინად" - ცოცხალთა სამყოფელის და „მზე გარეთად" - გარდაცვლილთა სამყაროს ღვთაებად. . . შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „გაბარება"//"გაძიძავების" წეს-ჩვეულება ასახავდა მზის ღვთაების ანდროგინულ ბუნებას ორი კერპით: „გაცით" და „გაიმით" (შარაბიძე, 166-167).

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი არმაზის, გაცის და გაიმის, თუ მხოლოდ გაცის და გაიმის, თანაარსებობის ახსნისა მეტად საინტერესოა, მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ ნაწილობრივ გვაძლევს წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შესახებ.

ის რომ ერთიანი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბება ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დიდი პოლიტიკური გაერთიანებების - „ხევების" - ურთიერთდაპყრობის გზით მოხდა, ჩემი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ვაშაკიძე, 109-119). ეს ურთულესი და ხანგრძლივი პროცესი კარგად არის ასახული „მეფეთა ცხოვრებაში". მემატიანის თქმით, „რომელ ჟამსავე აღდგიან ამათგანნი (ქართლოსის შთამომავალნი - ვ. ვ.) ორნი

ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანეთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშუდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან“ („მეფეთა ცხოვრება“, 10).

„მეფეთა ცხოვრების“ ეს მონათხრობი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ისტორიულ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ჰეგემონობისათვის წარმოებულ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლებზე. ამ პროცესში უეჭველად გასათვალისწინებელია პოლიტიკური გაერთიანებების (განსაკუთრებით მოკავშირე ერთეულების, გავიხსენოთ: „. . . აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას“...) სათავეში მდგარი სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენელთა სოციალური კონტრაქტის, სოციალური კონსოლიდაციის ფაქტორი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გ. მამულიასეული ახსნა გაცისა და გაიმის კერპებს შორის არმაზის კერპის აღმართვის შესახებ უსაფუძვლო არ არის, თუმცა ჩემი აზრით, ამ ტრიადის შექმნას კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური და სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა.

ასევე ინტერესმოკლებული არ ჩანს ვ. გოილაძის მოსაზრება, რომ გაცისა და გაიმის კერპების დატოვება არმაზისა და ზადენის გვერდით მათი ქართველური სამყაროდან წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, მინდა ჩემი ვარაუდი გამოვთქვა. ვფიქრობ, იმ პერიოდისათვის, როცა „მეფეთა ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღნიშნული ტრიადის შექმნას ვარაუდობენ, საერთოქართველური ცნობიერების არსებობა არაფრით დასტურდება. ეს ფენომენი აშკარად გვიანდელი მოვლენაა, ჩემი აზრით, არაუადრეს VII-VIII სს-სა, და იმ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი, როცა ზემოხსენებული წერილობითი წყაროების გადაწერა - რედაქტირება ხდებოდა. სწორედ ამიტომ, იმ პერიოდისთვის, როცა

საზოგადოება ორ ბანაკად - „თვისად“ და „უცხოდ“ - იყოფა, რაც ასე აშკარაა ერთიანი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ხანისათვის, საერთოქართველური ცნობიერება ამ ტრიადის არსებობას ვერ ახსნის. ამასთან უნდა დავბინო, რომ ჩემი ეს მსჯელობა სულაც არ ეწინააღმდეგება ვ. გოილაძის იმ მოსაზრებას, რომ უძველეს დროში კაპადოკია - მცირე აზია ქართველური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული.

მეტად საინტერესოდ მიმაჩნია თ. შარაბიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გაცი და გაიმი მზის ღვთაების ანდროგინულ ბუნებას ასახავდნენ, მაგრამ არც ეს იძლევა პირდაპირ პასუხს კითხვაზე, თუ რით იყო განპირობებული ფარნავაზის მიერ გაცისა და გაიმის კერპების დატოვება და მათ შორის საკუთარი, არმაზის კერპის აღმართვა. მაშ რასთან გვაქვს საქმე?

ჩემი აზრით, პრობლემის გადაჭრისათვის ფრიად საინტერესოა ახსნას იძლევა შედარებით-ისტორიული მეთოდის მოშველიება. მსგავსი მოვლენები უცხო არ არის ჩვენი მეზობელი სამყაროსათვის. . .

ნ. ნიკოლოზიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ლეგენდების ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც საერთოა მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოების დინასტიების დამაარსებლებისათვის. აქემენიანთა დინასტიის ფუძემდებლის კიროსის, სელევკიანების დინასტიის - სელევკოსის, პონტოს სამეფოს - მითრიდატე კტისტის, არშაკიდებისა- არშაკის შესახებ დაცულ ისტორიებში არსებული სიმბოლიკის კვლევა ცხადჰყოფს, რომ „ცხოვრება ფარნავაზისი“ ამ ლეგენდების არაერთ ელემენტს შეიცავს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ ამ ლეგენდებში ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი ლეგიტიმურობის ელემენტია: კიროსი მიდიის მეფის სიძეა, ანუ მმართველ სამეფო ოჯახს ენათესავება; არშაკი და საუკუნეების შემდეგ სასანიც, აქემენიდების შთამომავალნი არიან;ფარნავაზი მცხეთის მამასახლისის მემკვიდრეა (მისი ხელისუფლების ლეგიტი-

მურობის გასაძლიერებლად აზონი უცხოელად არის გამოცხადებული)“ (ნიკოლოზიშვილი, „ცხოვრება ფარნავაზისი“, 23-27).

ძალზე საინტერესოა ნ. ნიკოლოზიშვილის დასკვნა, რომ ძველ ცივილიზაციებსა და ტრადიციულ საზოგადოებებში წარმართული პანთეონის სტრუქტურირება საზოგადოების იერარქიული მოწყობის ანალოგიით ხდებოდა. მსგავსი სურათია ქართულ წარმართულ პანთეონშიც: უზენაესი ღვთაება არმაზი „დიდი ღმერთი“ ან „ღმერთი ღმერთთა“, ხოლო გაცი და გა მხოლოდ „დიდი ღმერთები“ არიან. ყოველივე ეს უზენაესობის კონცეფციის ადგილობრივ გაცნობიერებაზე მიუთითებს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მეფობის აღმოსავლური კონცეფცია საქართველოსთვის ნაცნობი და მიღებულიც იყო“ (ნიკოლოზიშვილი, „მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“, 100).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფობის აღმოსავლური კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლების კანონიერების შესახებ სზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებას ეფუძნებოდა. ამ პრინციპის თავგადაკლული დამცველია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი, რაც კარგად შენიშნა ხ. გვარაძემ (გვარაძე, 43).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აქემენიანი მეფეები კიროსი და დარიოსი მიისწრაფოდნენ თავიანთი დაპყრობითი პოლიტიკისათვის, ბაბილონსა და ეგვიპტეში ხელისუფლების მოპოვებისათვის გარეგნულად კანონიერი ფორმა მიეცათ. ამისათვის ისინი დამორჩილებულ ქვეყნებში მეფედ კურთხევის მთელს ცერემონიალს გადიოდნენ, იღებდნენ ადგილობრივ მეფეთა ტიტულებს, თაყვანს სცემდნენ იქაურ ღვთაებებს და სხვ. (Дьяконов, 31).

1957წ. სოფ. წაქკართან (სომხეთი - ვ. ვ.) აღმოჩნდა ქვის სტელა არამეული წარწერით: „არტაშესმა, მეფემ, ზარეჰის ძემ, ერვანდიანმა, დაჰყო მიწა ნაწილებად“ (Тирацян, 88). მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ წარწერაში

მოხსენიებული არტაშესი, მეფე, ზარეჰის ძე იგივე არშაკიანთა დინასტიის დამფუძნებელი, არტაშეს I (189-160 წწ. ძვ. წ.) არის. ის სომხეთის ტახტზე დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ერვანდიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი. ერვანდიანთა საგვარეულომ არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, არტაშეს I გამეფების შემდეგ თავისსავე მიერ განადგურებული წინამორბედის გვარი მიიღო. სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ, რომ არტაშეს I მიერ საკუთარი თავის ერვანდიანად მოხსენიება, ეს არის სომხეთის სამეფო ტახტის კანონიერი გზით დაუფლების გამართლების ცდა (Тирацян,89-90).

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ერთიანი ქართლის სამეფოს ფუძემდებლის - ფარნავაზის - მიერ არმაზის ღვთაების აღმართვა არიან ქართლიდან (ჩემი აზრით, ისტორიული საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური გაერთიანება) აზონის მოტანილ გაცისა და გაიმის კერპებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდა: ამით ფარნავაზიანთა დინასტიის მამამთავარმა ხაზი გაუსვა შემოერთებულ პოლიტიკურ ერთეულზე - არიან ქართლზე - თავისი ხელისუფლების გავრცელების კანონიერებას და გაერთიანებული ქართლის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ერთობას. ვფიქრობ, ამის დასტური უნდა იყოს „მეფეთა ცხოვრების" ერთი მინიშნებაც, რომ ფარნავაზმა აზონის ხალხი „იპყრნა. . . კეთილად („მეფეთა ცხოვრება", 25).

1. ანჩაბაძე გ. ძველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროისა და პირობების შესახებ, „ანალები“, N2, 1999.

2. გვარამე ხ. „მცხეთელი მამასახლისის“ საკითხისათვის ლეონტი მროველის თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“, „კლიო“ (საისტორიო ალმანახი), 14, თბ., 2002

3. გოგოლაძე მ. ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, თბ., 2004

4. გოილაძე ვ. ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002.

5. დუნდუა თ., ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.

6. ვაშაკიძე ვ. ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან, თბ., 1991.

7. მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.

8. მეფეთა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

9. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.

10. ნიკოლოზიშვილი ნ. ლეგენდები დამაარსებლებზე და „ცხოვრება ფარნავაზისა“, „კლიო“ (საისტორიო ალმანახი), 14, თბ., 2002.

11. ნიკოლოზიშვილი ნ. „ მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“ - ქართველ მეფეთა ტიტულატურის საკითხისათვის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002.

12. ნიკოლოზიშვილი ნ. ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და

„ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006.

13. სანაძე მ. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001.

14. შარაბიძე თ. ქართული სახელმწიფოს ტრადიციული იდეოლოგია, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, VII, თბ., 2005.

15. Дьяконов М. М., Очерки истории древнего Ирана, М., 1961

16. Тирацян Г. А, Новонайденная надпись Арташеса I, царя Армении, ВДИ, N1, 1959.

ვ. ვაშაკიძე

ძველი ქართული წარმართული ღვთაებები და სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა ერთიანი ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე

რეზიუმე

ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს (ანტიკური წყაროების იბერიის) ისტორიის სხვადასხვა საკითხის კვლევას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ისტორიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთიანი ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ნაშრომი მიზნად ისახავს, ახსნას ის მიზეზები, რომელმაც ხელი შეუწყო უძველესი ქართული წარმართული პანთეონის ფორმირებას და აჩვენოს გაცის, გაიმისა და არმაზის ტრიადის თანაარსებობის სიმბოლური მნიშვნელობა.

ქართული წერილობითი წყაროების -„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „მეფეთა ცხოვრება“ - მონაცემების შესწავლა ცხადყოფს, რომ, ისე როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (აქემენიანთა ირანი, სელევკიანების სირია, პონტოს სამეფო, არშაკიანთა პართია, სომხეთის სამეფო), ქართლის სამეფოშიც წარმართული პანთეონის სტრუქტურა საზოგადოების იერარქიული მოწყობის ანალოგიით ხდებოდა და სამეფო ხელისუფლების კანონიერების შესახებ აზრის დამკვიდრებას ემსახურებოდა.

ისტორიულ - შედარებითი მეთოდის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ერთიანი ქართლის სამეფოს ფუძემდებლის - ფარნავაზის - მიერ არმაზის ღვთაების აღმართვა არიან ქართლიდან აზონის მოტანილ გაცისა და გაიმის კერპებს შორის ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდა: ამით ფარნავაზიანთა დინასტიის მამამთავარმა ხაზი გაუსვა შემოერთებულ პოლიტიკურ ერთეულზე - არიან ქართლზე - თავისი ხელისუფლების გავრცელების კანონიერებას და გაერთიანებული ქართლის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ერთობას.

В. В. Вашакидзе

Древнегрузинские языческие божества и проблема легитимности царской власти на первоначальном этапе формирования единого Картлийского (Иберского) государства

Резюме

Исследование различных вопросов истории Картлийского царства (Иберии античных источников) эллинистической эпохи имеет длительную традицию. Особый интерес историков вызывает формирование единого Картлийского государства.

Работа ставит целью объяснить те причины, которые способствовали формированию древнегрузинского языческого пантеона и показать символическое значение сосуществования триады (Гаци, Гаими и Армази).

Изучение грузинских письменных источников «Мокцеваи Картлисаи» («Обращение Картли») и «Мепета цховреба» («Житие царей») доказывает, что, как и в странах древнего Востока (Ахеменидский Иран, Селевкидская Сирия, Понтийское царство, Аршакидская Парфия, Армянское царство), так и в Картлийском царстве структура языческого пантеона была создана по аналогии иерархического устройства общества и служила упрочнению мнения о законности царской власти.

На основе историко-сравнительного метода становиться ясным, что водружение божества Армази, между привезенными Азоном из Ариан-Картли идолами Гаца и Гаима, основателем единого Картлийского царства Фарнавазом, служила одной великой цели: тем самым родоначальник династии Фарнавазидов подчеркнул законность распространения своей власти на присоединенную политическую единицу – Ариан-Картли и политическое и идеологическое единство объединенной Картли.

V. Vashakidze

The Ancient Georgian Heathen Idols and the Problem of Legality of the Royal Authority of Unified Kartli (Iberia) on the Prior Stage

Summary

The research of the history of Hellenistic Kartli Kingdom (Iberia of the ancient historical sources) has a long tradition. The formation of the unified Kartli state was the issue of a historians special interest.

The work aims to show the reasons, particularly one of the most important reason, of the ancient Georgian heathen pantheon formation and the symbolic meaning of Gatsi, Gaimi and Armazi triad co-existence.

According to the Georgian written sources – "Moktsevai Kartlisai" and "Kartlis Tskovreba" and with the assistance of the preserved data about the founders of royal dynasties of the ancient East states (Akemenian Iran, Selevkianian Syria Kingdom, Pont Kingdom, Arshakidians Pathia and Armenia Kingdom) is obvious that the structure of heathen pantheon was the analogous of hierarchical social structure and the eastern conception of reign was based on the inculcation of public opinion about the power legality.

On the basis of historical – comparative method, it is considered that erestion Armazi idol by Parnavazi between Gatsi and Gaimi idols brought by Azon from Arian Kartli was of a great importance. The founder of the Parnavazians dynasty emphasized the legality of his power on the newly annexed political unit of Arian Kartli and the political and ideological unity of unfied Kartli Kingdom.

კრებ.: ისტორიულ - ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბ., 2007

ფლეგონის ცნობა ქართლის (იბერიის) სამეფოს შესახებ

ძველბერძენ ავტორთა თხზულებებში დაცული მონაცემები ფასდაუდებელი წყაროა საქართველოს ძველი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად. ქვემოთ განვიხილავთ ფლეგონ ტრალიანოსის (II ს.) ცნობას, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო ლიტერატურაში.

ფლეგონი იყო რომის იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მიერ გააზატებული პირი. მისი ნაშრომი „ოლიმპიადები და ქრონიკა", რომელიც 16 წიგნს მოიცავდა, ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული და სტეფანე ბიზანტიონელის (VI ს.) „ეთნიკამ" შემოგვინახა. დასახელებული თხზულება მოიცავს ამბებს პირველი ოლიმპიადიდან მოყოლებული ადრიანეს სიკვდილამდე. მასში ლაპარაკია ოლიმპიადებზე, სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებზე, ქვეყნის მხარეებზე, წინასწარმეტყველებზე და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფლეგონი, როგორც იმპერატორთან ფრიად დაახლოებული პირი, თავისი ნაშრომის წერისას სანდო წყაროებით და ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობდა (Der kleine Pauly).

ფლეგონის მოკლე ცნობაში ნათქვამია: „მოტიენე, იბერიის მხარე, რომაელთა კოლონია [არის]" (Fragmenta, III, N 24; Die Fragmente, II, N 28).

მოტიენეს (ვარიანტები: მატიენე, მატიანე - ვ. ვ.) ქვეყანას თუ იქ მცხოვრებ ხალხს სხვა არაერთი ძველი ბერძენი ავტორი მოიხსენიებს.

ჰეკატეოს მილეტელის (ძვ. წ. VIს.) „აზია" ფრაგმენტების სახით დაცულია სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკაში". ეს უკანასკნელი მოგვითხრობს: „მოსხები, კოლხთა ტომი, [სახლობს] მატიანების მეზობლად. ჰეკატეოსი [ამბობს] „აზიაში" (Fragmenta, I, N 188; Die Fragmente, I, N287);

ან „ჰიოპე, მატიანების ქალაქი, გორდიების მეზობლად. ჰეკატეოსი „აზიაში“ [ამბობს]: იქაური ხალხი ისეთსავე ტანსაცმელს ატარებს, როგორც პაფლაგონიელები (Fragmenta, I, N189; Die Fragmente, I, N288).

მატიენებისა და მატიენთა ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტეს (ძვ. წ. Vს.) „ისტორია“. მასში ნათქვამია: „მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდ. ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მოედინება, ხოლო ქვემოთ, მის მარჯვნივ სახლობენ მატიენები, მეორე მხარეს კი - ფრიგიელები“ (ჰეროდოტე, I, 72).

„როდესაც კიროსი მიდიოდა ბაბილონზე, მივიდა მდ. გინდესთან, ამის სათავეები არიან მატიენთა ქვეყანაში, ხოლო მიედინება ის დარდანელთა მიწა-წყალზე, ერთვის მეორე მდინარეს ტიგრესს „ (ჰეროდოტე, I, 189).

„ხოლო მდინარე არაქსი მომდინარეობს მატიენთაგან, საიდანაც მოედინება გინდესიც. . . „(ჰეროდოტე, I, 202).

მილეტის ტირანი არისტაგორესი სპარტის მეფეს კლეომენესს ეუბნება, რომ იონიელების მეზობლოდ არიან ლიდიელები, მათ აღმოსავლეთით - ფრიგიელები, ამათ მეზობლად კაპადოკიელები, „რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ“; ამათ მეზობლად - კილიკიელები, მათ მეზობლად არმენიელები, „ხოლო არმენიელების მეზობლად არიან მატიენები, რომელთაც ეს ქვეყანა უჭირავთ. მათ მეზობლად არის კასიის ქვეყანა, რომელშიც მდ. ქოასპესთან მდებარეობს სუსა. . . „(ჰეროდოტე, V, 49).

ჰეროდოტე აღწერს არისტაგორესის მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებისაკენ მიმავალ გზებს და განსაზღვრავს მანძილს: „. . . კილიკიის და არმენიის საზღვარია ევფრატესი, არმენიაში არის 15 სადგური, 56 ფარსანგი, აქ მოედინება 4 სანაოსნო მდინარე: ტიგრესი, ძაბატოსი ეწოდება ორ მდინარეს, მაგრამ ისინი სხვადასხვანი არიან, რადგან „პირველი მათგან, არმენიელთაგან მოედინება, ხოლო მეორე

- მატიენთაგან. ამ მდინარეთაგან მეოთხეს სახელად ჰქვია გინდესი. . . ამ არმენიიდან შევდივართ მატიენეს ქვეყანაში, აქ 34 სადგურია, 137 ფარსანგი" (ჰეროდოტე,V,52).

ჰეროდოტე გვამცნობს ქსერქსეს ლაშქრის შემადგენლობასა და აღგვიწერს მის შეიარაღებას: „ლიგიები, მატიენები, მარიანდინები და სირიელები ისე იყვნენ სალაშქროდ მოწყობილნი, როგორც პაფლაგონელები. ამ სირიელებს სპარსელები კაპადოკიელებს უწოდებენ. პაფლაგონელებსა და მატიენებს დოტოსი განაგებდა, მეგასიდროსის ძე" (ჰეროდოტე, VII, 72).

ჰეროდოტეს თქმით, დარიოსის დროს „მატიენებს, სასპეirებსა და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია" (ჰეროდოტე, III, 94).

სტრაბონი (ძვ. წ. 24/23 - ახ. წ. 23/24 წწ.) თავის „გეოგრაფიაში" ბევრჯერ მოიხსენიებს მატიენე-მატიანეს. ერთგან მას მოაქვს ერატოსთენეს ნათქვამი: „არტაქსერსეს მეფობისას ისეთი ძლიერი გვალვა იყო, რომ დაშრნენ მდინარეები, ტბები და ჭები, ხოლო მას ზღვისაგან დაშორებულ ბევრ ადგილას - არმენიაში, მატიენეში და ქვემო ფრიგიაში - უნახავს ქვები ნიჟარის ფორმისა" (I, 3,4).

ჰირკანიისა და მისი სიმდიდრეების (ვენახი, მარცვლეული, თაფლი და სხვ.) აღწერისას სტრაბონი წერს: „ ასეა მატიენეში, მიდიის პროვინციაში, საკასენეში და არაკსენეში, არმენიის მხარეებში" (II, 1, 14).

„გეოგრაფიის" XI, 7, 2-ში ეს მოტანილი ცნობა მეორდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ავტორი „მატიენეს" ნაცვლად ხმარობს „მატიანეს".

ატროპატიის მიდიაზე საუბრისას სტრაბონი განმარტავს: „მდებარეობს ეს ქვეყანა არმენიისა და მატიანეს აღმოსავლეთით, დიდი მიდიის დასავლეთით, ხოლო ორივეს მიმართ ჩრდილოეთით. ჰირკანიის ზღვის უბესთან და მატიანესთან (მცხოვრებლებს) ემეზობლებიან სამხრეთიდან" (XI, 13, 2).

„გეოგრაფიაში" დიდ მიდიაზე ნათქვამია, რომ „ქვეყნის დიდი ნაწილი მაღალია და სუსხიანი. ასეთია ეკბატანას ზემოთ მდებარე მთებიცა და ის (ადგილებიც), რომლებიც რაგესთან და კასპიის ბჭესთან მდებარეობს და საერთოდ ჩრდილოეთი ნაწილი აქედან ვიდრე მატიანემდე და არმენიამდე (XI, 13, 7).

სტრაბონი სხვადასხვა ხალხების დახასიათებისას და განსახლების აღწერისას ერთგან იმოწმებს ერატოსთენეს და ამბობს: „. . . ჰირკანთა მეორე ნაწილში კი (არიან) დერბიკები, ხოლო კადუსიები ეხებიან მიდიელებსა და მატიანებს პარახოატრას პირში" (XI, 13, 1).

სტრაბონი არ ეთანხმება ჰეროდოტეს „ისტორიის" ზემოთ მოტანილ ცნობას (ჰეროდოტე, I, 202), რომ არაქსი მოედინება მატიენებისაგან და იქვე ამატებს:

„განიყოფება (არაქსი - ვ. ვ.) 40 მდინარედ და ჰყოფს სკვითებსა და ბაქტრიანებს" (XI, 14, 13). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძენი გეოგრაფოსის ეს დამატება ჰეროდოტესთან არსად გვხვდება და გაუგებარია, რატომ მიაწერს სტრაბონი ამ აზრს ჰეროდოტეს.

მატიენებს-მატიანებს იხსენიებს პომპონიუს მელა (I ს.) თავის „ხოროგრაფიაში". როგორც ცნობილია, ეს ავტორი ძველ წყაროებს იყენებდა. მისი თქმით, „ტიბარანები (ვარიანტი - ტიბარენები) მატიენების-მატიანების მეზობლად იგულისხმებიან" (გამყრელიძე, 23-29).

ასეთია ჩვენამდე მოღწეული ცნობები მოტიენე-მატიენე-მატიანეს შესახებ. მათი ანალიზის საფუძველზე არაერთი მკვლევარი შეეცადა მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრას.

ჰეროდოტეს „ისტორიის" ორი ცნობის (I, 202 და III,94) და ჰეკატეოს მილეტელის პირველი ფრაგმენტის მონაცემებზე დაყრდონით, ივ. ჯავახიშვილი მატიენებს გვიანდელი ბასიანის მახლობლად, სასპეჭრების აღმოსავლეთით ათავსებდა (ჯავახიშვილი, 18).

ს. ჯანაშიას აზრით, ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობების თანახმად, მატიენებს ეკავათ მთელი ჩრდილოეთ მესოპოტამია, მერ-სომხეთის სამხრეთი, ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილები (ჯანაშია, 53-55 და შმდ.).

გ. მელიქიშვილის შეხედულებით, მატიენების ადგილსაცხოვრისი იყო სასპეირების სამხრეთით, ვანის ტბის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით (Меликишвили, 266).

ი. დიაკონოვი მიიჩნევს, რომ ჰეროდოტესეული მატიენები სახლობდნენ მდინარეების ჰალისისა და არაქსის სათავეების მახლობლად და ურმიის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადის სათავეებში (Дьяконов, 1956, 5; Дьяконов, 1968, 17).

ნ. ადონცი მატიენებს მდ. ზაბის (მდ. ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადი -ვ. ვ.) აღმოსავლეთით ათავსებს (Адонц, 419).

ი. ალიევი მატიენების საცხოვრისად მდ. დიალას სათავეებს თვლის (Алиев, 67).

ე. ფორერმა ჰეროდოტეს “ისტორიის“ ერთი ცნობის (I, 72) საფუძველზე მატიენები გვიანანტიკური ხანის კამანენეს ტერიტორიაზე, მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) აუზში განათავსა (Forrer, 77).

მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციის და საქართველოს ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემების შესწავლისას მატიენების-მოტიენების-მატიანების ადგილმდებარეობის გარკვევას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ხაზარაძემ (ხაზარაძე, 1971, 123-132; ხაზარაძე, 1984, 7-34; Хазарадзе, 1973, 111-119; Хазарадзе, 1973, N2, 200-210). მკვლევარმა კრიტიკულად გააანალიზა ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობები და დაასკვნა: „მატიენები სამ სხვადასხვა ოლქში ბინადრობენ: მდ. ჰალისის აუზში - კილიკიელების, ფრიგიელების, პაფლაგონიელების და კაპადოკიელების მეზობლად; მდ. არაქსისის სათავეებთან - სასპეირებისა და ალაროდიელების მახლობლად და მდ.

ძაბატე მე-2 - გინდეს სათავეებთან, არმენია-კისიას შორის მდებარე ოლქში!“ (ხაზარაძე, 1984, 19).

მართლაც, თუ ზემოთ მოტანილი წყაროების მონაცემებს შევაჯერებთ და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს გავითვალისწინებთ, მოტიენე-მატიენე-მატიანეს ადგილდებარეობა შემდეგნაირად გვესახება:

1. მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) ქვემო წელი, დინების მარჯვენა მხარე, პაფლაგონიის, ფრიგიისა და კაპადოკიას შორის;
2. მდ. არაქსის სათავეები, სასპეჱრების აღმოსავლეთით, გვიანდელი ბასიანის მახლობლად;
3. დიდი მიდიის დასავლეთით, ატროპატენეს მიდიის აღმოსავლეთით, ორივესთვის ჩრდილოეთით, მდ. ძაბატე 2 -გინდის სათავეებთან, არმენია-კისიას შორის.

ბუნებრივია, ამას ახსნა სჭირდება.

ვფიქრობთ, ჩვენამდე მოღწეულ ცნობებში მოტიენე-მატიენე-მატიანეს სხვადასხვა დროის ეთნო-პოლიტიკური ისტორია აისახა. როგორც ჩანს, წყაროთა ერთი რიგი, რომელსაც ს. ჯანაშიას მოსაზრება ეყრდნობა, ამ მხარის მოსახლეობის თავდაპირველ, იმ უძველეს ვითარებას უნდა გადმოსცემდეს, როცა მატიენებს-მატიანებს-მოტიენებს მთელი ჩრდილოეთ მესოპოტამია, მერ-სომხეთის სამხრეთი, ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილები ეკავა (ჯანაშია, 53-55). მოგვიანებით, ჩვენი აზრით, ალექსანდრე დიდის ლაშქრობას და მის შემდგომ მცირე აზიაში დატრიალებულ ისტორიულ მოვლენებს უნდა დავუკავშიროთ ამ ხალხის კონსოლიდაცია სასპეჱრების აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. არაქსის სათავეებთან, გვიანდელი ბასიანის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე.

ახლა მივუბრუნდეთ ფლეგონის ცნობას, სადაც მოტიენე იბერიის მხარედ იწოდება, თუმცა ნათქვამია, რომ ის რომაელთა კოლონიაა. ჩვენ არავითარი საფუძველი არა

გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმპერატორ ადრიანესთან დაახლოებული ავტორის ამ განცხადებაში. ეჭვგარეშეა, ის კარგად ერკვეოდა იმდროინდელ ვითარებაში. როგორც ჩანს, მოტიენე იმპერატორ ადრიანეს ზეობის ხანაში რომაელთა ხელში იყო. მაგრამ რა ვუყოთ ფლეგონის იმ მინიშნებას, რომ მოტიენე იბერიის მხარეა?

ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი ქართულ საისტორიო ტრადიციაში უნდა ვეძებოთ. „ქართლის ცხოვრება“ ვრცლად მოგვითხრობს აზო-ფარნავაზის დაპირისპირების შესახებ: „ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს, ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს მჯედარნი ქართლისანი. მოუწოდა მათ და უჴმო ქუჯის და ოვსთა და შეკრბეს ესე ყოველნი, და მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით. და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ, და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური. . . „და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდძალი. და მოსწდეს ორგნითვე ურიცხჳ. ხოლო იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნეს. და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეციით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრნა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“ (ქართლის ცხოვრება, 23).

ამ ცნობაში, პირველ რიგში, აუცილებელია განვმარტოთ ტერმინი „საბერძნეთი“. ამის შესახებ გ. მელიქიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „ამ ადრეული შუა საუკუნეების წყაროს „საბერძნეთი“ უეჭველია, ბიზანტიის სამფლობელოებს გულისხმობს“ - ე.ი. მცირე აზიას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 440). ოდნავ ქვემოთ მკვლევარი დაასკვნის, რომ ფარნავაზის მიერ დაარსებული „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განვრცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული

ოლქების ანძიაძორისა და ეკელეცის (ანტიკ. წყაროების აკილისენა, სოფენას ჩრდილოეთით ევფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრაზე“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 455).

კიდევ უფრო შორს მიდის ნ. ხაზარაძე. იგი მიიჩნევს, რომ „ქაჯთა ქალაქთან აზონზე ფარნავაზის გამარჯვების შემდეგ, ქართლის მეფემ „საბერძნეთის“ და არიან-ქართლის (აზონის ქვეყნის) საზღვარზე ჯერ ანძიაძორა მოაოხრა, ხოლო კლარჯეთში მაინცდამაინც ეკლეცზე გავლით მოაღწია (ხაზარაძე, ჯუანშერისეული. . . ,2000, 68).

ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ აზონის დამარცხების შემდეგ ფარნავაზისეული ქართლის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა ყოფილი არიან-ქართლის მიწები, მათ შორის ანძიაძორა. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

ფრიად საინტერესოა, რომ ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის აღწერისას ანძორეთს ახსენებს ჯუანშერიც. მემატიანის თქმით, „წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჯრნა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი“ (ქართლის ცხოვრება, 160).

ჩვენი აზრით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ანძიაძორა-ანძორეთის ადგილდებარეობის შესახებ სრულიად დამაჯერებელი მოსაზრებაა გამოთქმული. გ. ქავთარაძის და ნ. ხაზარაძის მიხედვით, ის მდებარეობდა ერზინჯანის ზეგანზე, დასავლეთ ევფრატის ხეობაში, დარანალიქ - თორდანის შემოგარენში (ხაზარაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს..., 2000, 33-40).

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ ანძიაძორა-ანძორეთი შორს არ იყო ჩვენთვის საინტერესო მოტიენეს მხარედან. ნ. ხაზარაძე სამართლიანად დაასკვნის, რომ „ჩვენთვის საინტერესო ქალაქი (მხარე) თავსდება არტანისა-ერუშეთის, კარნუ-ქალაქისა და ტაო-კლარჯეთის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, იმ ტერიტორიაზე, სადაც ჯერ „საბერძნეთისა“ და არიან-ქართლის საზღვარი გადიოდა,

ხოლო მოგვიანებით - ბიზანტიისა და დიდი არმენიისა“ (ხაზარაძე, ჯუანშერისეული. . . , 2000, 69).

ის, რომ ერთიანი ქართლის სამეფოს დამაარსებელი მეფე ფარნავაზი მოსხური მთების გადაღმა, სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში აქცევს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ერის ისტორიული მეხსიერება, რაც კარგად აისახა ჯერ ფარსმან „ქველის“ (II ს. 30-50-იანი წწ.) დაჟინებულ ლაშქრობებში ქართლის სამეფოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მოგვიანებით კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგ გორგასლის ლაშქრობებშიც. თუ არა იმის განცდა, რომ დასახელებული მეფეები მოსხურ მთებს გადაღმა ტერიტორიას თავისად მიიჩნევდნენ, მართლაც ძნელი იქნებოდა ფარსმან „ქველის“ თუ ვახტანგ გორგასლის ლაშქრობათა მიმართულების ლოგიკური ახსნა.

ჩვენი აზრით, მოტიენე-მატიენე-მატიანეს ბედი შემდეგნაირად წარიმართა: ერთიანი ქართლის სამეფოს ფუძემდებელმა ფარნავაზმა ეს მხარე, როგორც არიან-ქართლის განუყოფელი ნაწილი, თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოიყვანა. ასე უნდა გაგრძელებულიყო ძვ. წ. II ს. 80-იან წლებამდე, როდესაც ის დროებით დაიკარგა და ჯერ გაძლიერებული სომხეთის, ხოლო ძვ. წ. I ს. რომის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს ვითარება შენარჩუნდა II ს. შუა ხანებამდე, ვიდრე რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) იძულებული არ გახდა ფარსმან „ქველის“ აქტიური და მიზანსწრაფული საგარეო პოლიტიკის წყალობით ეცნო ქართლის (იბერიის) სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შორს გაწეული საზღვრები. სწორედ ასე უნდა გავიგოთ დიონ კასიუსის „რომის ისტორიაში“ დაცული ცნობა: „როცა ფარასმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინუს პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო. . . “ (დიონ კასიოსი, XX, 2).

ვფიქრობთ, ფარსმან „ქველის“ ზეობის ხანაში მოტიენე კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში უნდა დაბრუნებულიყო.

სასანიანთა ირანის გაძლიერების ხანაში, კერძოდ, შაბურ I (242-272 წწ.) დროს, ქართლის სამეფოს კვლავ უნდა დაეკარგა მოტიენეს მხარე. მისი დაბრუნება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ვახტანგ გორგასალმა სცადა. კიდევ უფრო გვიანდელ პერიოდში, X ს.-დან მოყოლებული ვიდრე XVI ს. I ნახევრის ჩათვლით, ბასიანის ოლქი (ანუ, ჩვენი აზრით, ძველი ბერძნული წყაროების მოტიანე-მატიენე-მატიანე) დროდადრო შემოდიოდა ქართული პოლიტიკური ერთეულებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის საზღვრებში. უკანასკნელად მას სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III (1517-1535 წწ.) ფლობდა.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი მსჯელობა ლოგიკურ ახსნას აძლევს ფლეგონის ჩვენთვის საინტერესო ცნობას: „მოტიენე, იბერიის მხარე, რომაელთა კოლონია (არის)“. იმპერატორ ადრიანესთან დაახლოებულმა პირმა უთუოდ კარგად იცოდა, ვის კუთვნილებას წარმოადგენდა ის ტერიტორია, რომელიც მისი დროისათვის რომის სამფლობელოებში შედიოდა. ვფიქრობთ, ცნობის ავტორმა ასახა ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ. წ. I ს.-დან იმპერატორ ადრიანეს გარდაცვალებამდე.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფლეგონის ცნობა ქართლის (იბერიის) შესახებ სანდო წყაროა. აქედან გამომდინარე, გამოვთქვავთ მოსაზრებას, რომ ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი მოსხურ მთებზე კი არა, არამედ უფრო სამხრეთით გადიოდა და მდ. არაქსის სათავეებს აღწევდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, 1, თბილისი, 1965.

2. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, თბილისი, 1960.

3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970.

4. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

5. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957 (ქვემოთ სტრაბონის ტექსტი ყველგან ამ გამოცემის მიხედვით მოგვყავს).

6. ხაზარაძე ნ. ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი, მაცნე, ისტორიის სერია, 1971, N2.

7. ხაზარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბილისი, 1984.

8. ხაზარაძე ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, II, ახალციხე, 2000.

9. ხაზარაძე ნ. ჯუანშერისეული სტერის იდენტიფიკაციისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბილისი, 2000.

10. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950.

11. ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. შრომები, II, თბილისი, 1952.

12. ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. ტ.I, თბილისი, 1975; ტ. II, თბილისი, 1976.

13. Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана, СПб., 1908.

14. Алиев И. История Мидии, Баку, 1956.

15. Дьяконов И. М. История Мидии, М-Л., 1956.

16. Дьяконов И. М. Предистория армянского народа, Ереван, 1968.

17. Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.

18. Хазарадзе Н. Гекатеевы матиены, Вопросы древней истории, IV, 1973.

19. Хазарадзе Н. К вопросу о локализации матиенов в свете древнегреческих источников VI-V вв. до н.э., Ереван, 1973, N2.

20. Der Kleine Pauly. Lexicon der antike. 20. Lieferung.

21. Die Fragmente der griechischen Historiker (FGRHIST) von Felix Jacoby, Zweiter teil, Zeitgeschichte, B, Berlin, 1929.

22. Forrer E. Die Provinzeinteilung des assyrischen Reichrs. Leipzig, 1920.

23. Fragmenta Historicorum Graecorum, Garolus Mullerus. Vol. tertium, Parisiis, MDCCCLXXXIII.

ვ. ვაშაკიძე

ფლეგონის ცნობა ქართლის (იბერიის) სამეფოს შესახებ

რეზიუმე

ნაშრომში კრიტიკულადაა შესწავლილი II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის, ფლეგონის, ცნობა, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. მასში ნათქვამია: „მოტიენე, იბერიის მხარე, რომაელთა კოლონია [არის]".

ქვეყანა მოტიენე (სხვადასხვა ვერსიებით - მატიენე, მატიანე) ან იქ მცხოვრები ხალხი სხვა ბერძენ და რომაელ ავტორებთანაც (ჰეკატეოს მილეტელი, ჰეროდოტე, სტრაბონი, პომპონიუს მელა და სხვა) იხსენიება. მათი მონაცემებით, მოტიენე მდებარეობდა მდ. არაქსის სათავეებში, სასპეჭრების აღმოსავლეთით, გვიანდელი ბასიანის მახლობლად.

ქართული საისტორიო ტრადიციისა და უცხოური წყაროების მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია ძვ. წ. IV- III სს. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მოგვიანებით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იან წლებში, ის მიტაცებულ იქნა. ეს ვითარება გრძელდებოდა რომის იმპერატორ ადრიანეს (117-138) ხანამდე, რაც აისახა კიდეც ფლეგონის ჩვენამდე მოღწეული თხზულების ფრაგმენტში.

მეფე ფარსმან II-ის (II ს. 30-50-იანი წწ.) აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით, მოტიენე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. იმპერატორი ანტონიუს პიუსი (138-161) იძულებული იყო, ამ ფაქტს შეგუებოდა.

მოცემული ნაშრომი ფლეგონის ამ ცნობის სანდოობას ადასტურებს. ფლეგონი, იმპერატორ ადრიანესთან დაახლოებული პირი, იმდროინდელი ვითარების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. სასანიანთა ირანის გაძლიერების ხანაში, უფრო ზუსტად, შაბურ I-ის (242-272) დროს, ქართლის სამეფოს მოტიენეს მხარე კვლავ უნდა დაეკარგა. ეჭვგარეშეა, რომ ეს მიწა, თავდაპირველად, ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამას ნათლად ადასტურებს ქართული საისტორიო ტრადიცია, რომლის თანახმადაც ქართველი მეფეები აღნიშნული ტერიტორიის დაბრუნებისათვის ბალ-ღონეს არ იშურებდნენ. ეს ქმედებები დროდადრო წარმატებული იყო.

В. В. Вашакидзе

Сведения Флегона о Картлийском (Иберийском) царстве

Резюме

В работе критически изучена сведение греческого историка II века Флегона, которая впервые вводится в научный оборот, где говорится: «Мотиене, Иберийская земля [является] колонией римлян».

Страна Мотиене (по разным версиям – Матиене, Матиане) или проживающий там народ упоминается и другими греческими и римскими авторами (Гекатий Милетский, Геродот, Помпоний Мела и другие). По их данным, Мотиене была расположена у верховья реки Аракс, восточнее саспеиров, поблизости позднего Басиани.

Согласно грузинской исторической традиции и иностранным источникам, указанная территория входила в состав Картлийского царства IV- III вв. до н.э. Позднее, в 80-ых годах II века до н.э., она была отобрана. Так продолжалось до эпохи римского императора Адриана (117-138), что и отобразилось в дошедшем до нас фрагменте труда Флегона.

Благодаря активной внешней политике царя Фарсмана II (30-50 гг. II в.), Мотиене оказалась в составе Картлийского царства. Император Антоний Пий (138-161) был вынужден смириться с этим фактом.

Данная работа подтверждает достоверность приведенной Флегоном сведения. Флегон, приближенное к императору Адриану лицо, был хорошо информирован о положении того времени. В период укрепления Сасанидского Ирана, точнее, во время Шапура I (242-272), край Мотиене вновь потерян для Картлийского царства. Несомненно, что эта земля, изначально, была неотделимой частью Грузинского государства. Это доподлинно подтверждает грузинская историческая тради-

ция, согласно которой грузинские цари прилагали все усилия для возвращения указанной территории. Временами эти действия были успешными.

V. Vashakidze

Phlegon's Information about the Kartli (Iberia) Kingdom

Summary

Given work has critically studied reference from Greek historian of the II century, Phlegon, which is now entering the scientific literature. The reference says: "Motiene, the Iberian land, [is] a Roman colony.

Motiene (or different versions – Matiene, Matiane), the land or its people are mentioned by a number of Greek authors (Hecatheos from Mileth, Herodotos, Strabon, Pomponius Mela and others). According to their data Motiene was situated by headwaters of the river Araxis, East of Saspeus, close to the late Basiani district.

Based on the Georgian Historical tradition and foreign literary sources an assumption is made that the territory mentioned above was a part of the kartli Kingdom in the IV-III Centuries B. C. Later, in the 80's of the II Century B. C., it was taken away for sometimes; this continued under the Emperor Adriane's (117 – 138) rule, which is reflected in Phlegon's work that have partially survived up to day.

King Pharsman II's (II century years 30-50) active External political actions have helped the Kartlian Kingdom to get the land of Motiane back. The emperor Antonius Pius (138 -161) was forced to tolerate.

Given work is concluding that Phlegon's reference is worth trusting. Phlegon was approximated to the Emperor and was well-informed about current events of the time. Given work suggests that the land of Motiene might have been lost during the

time of strengthening of the Sasanian Iran, more specifically, during the rule of the King Shabur I (242-272). It is without doubt that the land was originally an inseparable part of the Kartli Kingdom. This statement is supported by the Historic memory that is well-reflected in the actions of the Georgian Kings – their intention to reinstate their power on the given territory. These actions have been successful from time to time.

ჟურნ. „ანალები", 5, თბ., 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge